716
1930

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯვრელები

წიგნი მეხუთე

ქართველ მწერალთა გამოცემა

პარიზი

1930

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კავკასიონი

KAVKASSIONI

RECUEIL GÉORGIEN LITTÉRAIRE

წიგნი მეუთხე

პარიზი — 1936

ეროვნული ბიბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოე რამიშვილი

ნოე რამიშვილი დაიბადა 1881 წ.. 1902 წ. იგი დაითხოვეს იურიევის უნივერსიტეტიდან სტუდენტთა პოლიტიკურ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისათვის. საქართველოში იგი ებმება მუშათა მოძრაობაში და მისი მეთაურობით ხდება მუშათა და გლეხთა მოძრაობის გაერთება სოციალდემოკრატიულ პარტიაში. იგი მრავალჯერ იქმნა დაპატიმრებული და გადასახლებული, მაგრამ იგი ყოველთვის ფარულად უკან ბრუნდებოდა და პოლიტიკურ ბრძოლას განაგრძობდა. 1905 წ. იგი რევოლუციის ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო და მას ირჩევდენ სოც.-დემ. პარტიის ყველა სახელმძღვანელო ადგილზე.

1917 წლის რევოლუციაში ნოე რამიშვილი თამაშობდა მთავარ როლს. იგი იქმნა არჩეული რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრად, შემდეგში ამიერკავკასიის სეიმისა და საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად.

ნოე რამიშვილი იყო დიდი პატრიოტი, დიდი მოღვაწე, დიდი რევოლუციონერი. იგი იყო უჩვეულო ადამიანი: რკინის ნერვებით, ფოლადის ნებისყოფით, უდიდესი ორგანიზატორული ნიჭით, გაუტეხელი ოპტიმიზმით. იგი იყო უბადლო მებრძოლი: პირდაპირი, დაუეჭვებელი, უკანდაუხევი. იგი იყო ნიჭიერი პუბლიცისტი, უანგარო, მოუსყიდველი. მას არა ჰქონდა პირადი მე, მისი ცხოვრება იყო მხოლოდ ბრძოლა და ამ ბრძოლაში იყო იგი აუღელვებელი, შეუდრეკელი.

საქართველოს სახელმწიფოებრივ აღდგენაში მას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის: ერთი პირველთაგანი, იგი იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და იგი გახდა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მთავრობის პირველი თავჯდომარე. შემდეგ იგი რჩება ყველა მთავრობაში შინაგან საქმეთა მინისტრად; მასვე მიენდო ერთ ხანს სამხედრო და განათლების სამინისტრო; მისი ხელმძღვანელობით ხდება ჯარის მოწყობა, სკოლის რეფორმა. ფოსტა-ტელეგრაფ-ტელეფონით ქვეყნის მოფენა, შინაური წესრიგის დამყარება და სხვ.

მოსკოვის ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ნოე რამიშვილი მთავრობასთან ერთად გაიხიზნა ევროპაში, სადაც იგი საქართველოს განთავისუფლების საქმეს ემსახურებოდა, მაგრამ ეს თავდადებული მებრძოლი მტრის ტყვიამ წუთისოფელს უდროოდ გამოასალმა და საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლას ერთი დიდი მხედარი მოაკლო.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძაძუცა

ჩოლოყაშვილის

სიმღერა

მთა-ხევსურეთში ჩავდექი,
ვაქა, კოხტა და რკინაო;
მტერს რომ ზედ მკერდზე დავარტყი,
სიკვდილით დაიკივლაო.

ზვავად მოწოლილ ჯარებში,
ცეცხლის ქარ-თქეშად მოვვარდი;
დედას ვფიცავარ, ვეხეთქე,
როგორც პიტალო ფოლადი.

ბრგე მიუვარდი კარ და კარ,
მაგრად შემომხვდა იგეცა;
მაგრამ, უღმერთოდ დავკარ და
შიგ ხრამში გადაიკეცა.

მაგეც შენ! ველარ გაჰხარდე!
მაშ, რა გეგონა ვერაგო!
ღვთის მადლმა, ისე გაგხადე,
საკუთარ თავსაც ვერ არგო!

ჩემს მიწას დაგანებებდი?
ეს მიწა-წყალი ჩვენია!
პაპების სისხლით მორწყული,
ბედისგან დანარჩენია!

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კიდევ გაბედავ! მობრძანდი.
მკერდს შეგახვედრებ კახურად;
ჯაბანი იყო, სულ-ძაღლო,
თუ არ მოხვიდე კაცურად.

თამარის ძუძუს ვფიცავარ,
ერეკლეს ვაქკაცობასა,
ისე გაგიხდი სიცოცხლეს,
რომ ვერ მოხვიდე ცნობასა.

თუ ტყვია შემომელევა,
ხანჯალს დაგაგებ რისხვიანს;
გატყდება?! გულს ამოვიგლეჯ,
სახეში გფეთქავ სისხლიანს!

სიმრავლით ვერ შემაშინებ,
ტანში ცეცხლი მაქვს დაღვრილი.
თუ ვერ გაგკვეთო მხარდამო,
ცხენზე გამიწყდეს აღვირი!

— — —

ვლასა მგელაძე

გოდება

(დღიურიდან)

ვაი ჩემს დღეს, ჩემს მოსწრებას! რა სამოთხე დამეკარგა! გამწარებული სიცოცხლე ჩემი — აწი რაღად ვარგა?! ჩემი გული სამუდამოდ დაიხშო და დაიხურა! მზე ჩამიქრა, დამიბნელდა, გარს ყოველი დაიბურა! სამლოცველოში ჩამიქრა გაბრწყინვებული ლამპარი; სული ყელში მებჯინება, გულზე მესობა ლახვარი!

წუთისოფელმა მიმუხთლა, ჩემი ბედი დაიშურა; გამუდმებული ტირილით თვალთ ცრემლები დაიწურა! ვარდი წალიკად მიქცია, შაქრის ლერწამი ანწლადა; საწამლავი და სამსალი შემომაპარა წამლადა! კვიპაროსი და ალკის ხე თვალწინ მომიჭრა ცულდითა; სხვის კარზე დაევეხეტები დაკოდილითა გულითა!

სტამბოლი, 1923 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ. მარუშიძე

ვარდენი

(მოთხრობა)

— ალიბო, ალიბო! ერთი გამოიხედე, თუ და ხარ! ალიბო!

— ჩამოდი ვინცხა ხარ, ნუ გეშინია, ძაღლი დამბულია! ალიბო, გამოდი, მოხედე ერთი შენ გაზდას, მგონია ნიკოიე ტურზულაძის ქალიშვილია, შენ გიძახის, — დაუძახა თავის რძალს ბასია სულაბერიძემ, რომელიც სახლის გვერდით ურემს ათვალიერებდა: — ხვალ საპარასკევოდ, ხონში წასასვლელად ემზადებოდა.

სახლიდან საჩქაროდ ახალგაზდა ლამაზი ქალი გამოვიდა და ტანის კოხტა რხევით მეგობარ ქალს მხიარულად მიეგება:

— ჩამოდი, მარიკო, შე ქალო, რავა შორიდან იძახი!...

— არ მცალია, ალიბო გენაცვალე, ჩამოსასვლელად; ერთი რაცხა მინდა გითხრა და მერე ქე წავალ ისთევლე.

— კაი ერთი, თუ და ხარ, ჩამოდი, გადაავლე ერთი თვალი ჩვენ მზადებას!

მარიკომ ბევრი აღარ აცდევინა ალიბოს: ეტყობოდა, თვითონაც უნდოდა ჩამოსვლა, გადმოაბიჯა ღობეზე და ორივე ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა სახლისაკენ.

— მარიკოს ვახლავართ ოცდა ხუთი ცხენოსნით! რავა ხართ სახში? — გადმოუძახა მუშაობაში გართულმა ბასიამ ახალგაზდა ქალს.

— რავა ვიქნებით, შენი ჭირიმე, მადლობ, ქე ვართ ასე, გვარიანათ

— კაი დაგემართოს!-ო ჩაილაპარაკა ბასიამ, პირიდან ყალიონი გამოიღო, გადააპურჭყა და ისევ თავის საქმეს შეუდგა.

ახალგაზდა ქალები სახლში შევიდენ. — აქ დიდი ფუსფუსი იყო, დიდი მზადება. ბასიას ცოლი მაკრინე საცივისათვის ქათმებს პუტავდა, ალიბო ხაჭაპურისათვის ფქვილს სცრიდა; ორი გოჭი შამფურზე, მზად იყო შესაწვავად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ფა, ფა, ფა, ფა! წამოიძახა მისალმებასთან ერთად მარიკომ, დიდი ამბავი ქე გქონიათ თქვენ აქანე, ძაან ქეიფი გვექნება ამელამ, რავარც ეტყობა. რავა მიდის ლატარიის საქმე, ალიბო, ბევრმა მოაწერა ხელი?

— რატო არ მოაწერდა ბევრი ხელს, ჩემო მარიკო, — დაასწრო რძალს დედამთილმა. დარეიის ნაკიტკა და გიტარა ყველას ქე უნდა მოიგოს ერთ მანეთში, — ქე მოაწერა აგერ ორმოცდაათმა კაცმა და ქალმა ხელი. ალიბოსაც არ უნდა შეირცხვინოს თავი და, რაც შეიძლება, ვემზადებით.

— ,ჟურჟელი იშონეთ მერე, დანაჩანგალი, სტოლი, სკამი? ამდენ სტუმარს რა გოუძლებს!

— დავხიკეთ, სამე რამე იყო მეზობლებში.

— ერთი, თუ და ხარ, კაი დროება გავატაროთ ამელამ. სიმღერა და ცეკვა შენზეა, — უთხრა ალიბომ მეგობარ ქალს.

— სიმღერა და ცეკვა, თვარა შენ ნაკლები სიმღერა და ცეკვა იცი. — უპასუხა ცოტა პრანჭვით მარიკომ.—პუზიკა და დაირა ხომ გაქ

— მარიკო, დაბრუნდა მამა-შენი დიდლოურიდან? რავარი ნათლობა ქონია ნიკოიე ლოტრიას? — შეეკითხა ახალგაზდა ქალს უცბად კარზე მომდგარი ბასია.

— ამ დილას დაბრუნდა, მზე ახალი ამოსული იყო ისთე. თეთრად გოუთენებიათ. ძაან მასინძელი ყოფილა ნიკოიე. ნათლიათ რემანოზე წივწივაძე, ვაჟარი, ყოლია. თურმე რუსეთიდან ჩამოსულა ახლა და თლა გოუმსია საჩუქრებით ახალ-განათლული, ნათლიდედა და ნათლიმამა. მამა-ჩემი კვირობს: სეიდან ჩეიგდო ამ გლახამ ასეთი კაცი ხელშიო. ღვინოც ნათლიას გამოუგზავნია. აბა, ნიკოია ბრუტიანს ვინ მიცა ღვინო, — მის ცოლშვილს ციცი ჭადით, ლობიით და წყალით მუცელი აქ გახეთქილი. ძაან ღვინო ქე ყოფილა! სტუმრები ბევრი ყოფილარიენ. სამარუშიძეოდან სეითე მარუშიძე ყოფილა, სარდიონი, — კოწიე მარუშიძე თავისი აზნოუშვილებით ხო იყო და იყო თურმე: — იგი აბა რავა დააკდებოდა ქეიფს. გოეხკაცობაც ბევრი ყოფილა. მამა-ჩემი რო წამევიდა, იგენი ისთეელე სტოლზე იჯდენ თურმე გარეთ და სვამდენ. კოწიას სეფე ადამიძესთან ჩხუბი მოსვლია და კაი მაგრად გოულახავს, — მერე ხანჯალი უშიშვლებია და თურმე რო სეითა მარუშიძე არა, სეფეს ქათამივით თავს წააგდებიებდა.

— რავა დეიკარგა თლა მა კაცი, თავსაც იღუპავს და ქონებასაც მიდგომია და ყიდის, თუ რამე გააჩნია. თუ ჩეიგდო ფული ხელში, — იცოცხლე იმას მალე გამოუყვანოს წირვა. ღმერთმა თუ ადამიძეები და ავალიანები არ მოუშალა, მალე წულის საყიდი ფულიც არ ექნება. რავა უნდა ჩაყაროს ასთე კაცმა ღვინოში, არღანში და ზურნაში მთელი, დედ-მამის ქონება, წევე კაი დრო იყვეს. თუ დათვრა, ვინმეს რო ჩხუბი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ ოუტეხოს და სატევარი არ იშიშვლოს, რავა იქნება. ისთე კაი მოგ-
ცეს ღმერთმა, კაი ბიჭი, კაი შესახვედრი ახალგაზდა კოწია იყვეს. რა
უშავს რა — გვარიშვილობა მაგას არ აკლია და თვალტანადობა. რავა?
სიმონ, დათა, სამსონ და მამა-მისი იასონი ხენწიფის თანტოლი კაცები
არ იყვენ თუ? რუსის ხენწიფე რო ქუთეიში ჩამევიდა და სადილათ დაჯ-
და, მაგენი გვერდში ამეიჯინა. რათ გინდა მერე? ჰე, ჰე, ჰე! გაქეიცვალა
დროება!...

— კაი ერთი კაცო, გაჩუმდი მამაშენი ნუ წაგიწყდება, თვარა მო-
კრავს კოწიე ამას ყურს, ატყდება ერთი ალიაქოთი და მერე უყარე კა-
კალი — სთქვა მაკრინემ.

— მოკრავს რა, ტყულს ვუნოფ თუ? მერე ამას ჩვენში ვუნოფ
აგერ, თვარა სხოგან კარ ვიტყვი, — უპასუხა ბასიამ.

— ალიბო, ვარდენიდან არაფელი ამბავი მოგსვლია ჭიათური-
დან? — წამოისროლა უცბად მარიკომ.

— არა! — დაბნევით უპასუხა ახალგაზდა ქალმა, რომელიც აქამ-
დე ჩუმად იჯდა კუთხეში და ხაჭაპურისათვის ეხლა ყველს ფჩხვნიდა.

— მაგი არ მკლავს, ჩემო მარიკო ბეჩა, — დაუმატა მაკრინემ,
ორ თვეზე მეტია აგერ არაფელი ამბავი არ ვიცით ბიჭის.

— თუ ეხლა ამ საკვირიკობოდ არ ჩამევიდა, ან წიგნი არ მოი-
წერა, — არ ვიცი რა ვქნა, რა წყალში გადავარდე. გლახა არაფელი ჭი-
დეს იმ ოჯახქორს, — სთქვა ჩაფიქრებით ბასიამ და ყალიონისათვის
თუთუნს ჭრა დაუწყო.

«აღმოსავლეთით შენა ხარ — ჰოი რანუნი,
«დასავლეთით მე საწყალი — ჰოი რანუნი»... მოისმა
შორიდან საგანგებოდ შეწყობილი სიმღერა.

— იგენი აოიენ, იგენი. — წამოიძახა მარიკომ.

— ვინ? იგენი? — შეიძახა ალიბომ, ზე წამოვარდა და ყველში
გასვრილი ხელი საჩქაროდ შეიხოცა.

— ვინ და კოწიე მარუშიძე თავის აზნოუშვილებით, ალბად ახ-
ლა ბრუნდებიან ნათლობიდან.

«ჩვენ შორს დიდი საზღვარია-ა-ა» — წამოიწყო მშვენი-
ერი ტენორით პირველმა; — «ჩვენ შორს დიდი საზღვარია» — უპასუხა
მკორემ, — «საზღვარია-ა-ა-ა» — დააგუგუნეს ბანებმა, შეხვდენ ერთმა-
ნეთს «ჰოი რანუნში» და გაიშალენ მწყობრ, დამატკბობელ შეერთებაში:
— «მოჩუხჩუხებს ცენისწყალი, ჰოი რანუნი»...

— რა კარგად იმღერიენ, — სთქვა მარიკომ.

— რო იწყებს, იგი კოწიეა, — ჩაფიქრებული ღიმილით დაუმა-
ტა ალიბომ...

მალე ბასია სულაბერიძის ჯისკარს ექვსი ახალგაზდა ცხენოსანი
მოადგა. წინ, შავ ცხენზე ოცდაოთხი წლის ყმაწვილი იჯდა. შავი თმა,

შავი თვალ-წარბი, ასეთივე მოკლე წვერ-ულვაში უმშვენებდენ მას თეთრ სახეს. მშვენივრად მოყვანილ ტანზე მოკლე ეღალი ჩოხა და თეთრი ახალუხი ეცვა. ფეხებზე ყვითელი საცვეთები; წელზე, სადა სარტყელზე კოხტა სატეკარი და რევოლვერი ეკიდა. მხარზე აბრეშუმის ყაბალახი ჰქონდა გადაგდებული. მხლებლები სოფელ სამარუშიძეოში მცხოვრები აზნაურიშვილები — ადამიძეები და ავალიანები იყვენ.

— ბასია, თუ კაცი ხარ, ერთი ჭიდან ახალამოღებული წყალი დაგვალევინე; დედალოურიდან მოვდივართ, თელი ღამე არ გვიძინია, დევიხჩვით ამ სიცხეში — დაიძახა კოწია მარუშიძემ.

— ახლავე თავადო! — ალიბო, ერთი შენ გაზდას წყალი მოართვი თავადს. საით ბძანებულხართ აქით, ბატონო?

— სლავენ ადამიძის გადამკიდე, მე თვითონ არ ვიცი, სადა ვარ, ჩემო ბასია, — წაიხუმრა ახალგაზდა კაცმა. დედალოურში ვიყავით ნათლობაში ნიკოია ლორიასას. კაი მასპინძელი იყო ჩვენი ნიკოიე, ძაან გვაქეიფა.

ამ დროს მარიკომ და ყურებამდე გაწითლებულმა ალიბომ დოქით ცივი წყალი მოიტანეს.

— ჰოო! ალიბოს ვახლავართ, ალიბოს! მარიკოს გაუმარჯოს! რავა სულ კეთდება და კეთდება ეს შენი რძალი, ბასია! დაგიმშვენა, მე და ჩემმა ღმერთმა, ოჯახი! ბედნიერი კაცი ყოფილა ვარდენი! ჰე! კაია ოჯახი, მე არ მეღირსა თვარა!

ალიბომ ჭიქით ახალგაზდა კაცს ცივი წყალი შესთავაზა: მიირთვით-ო. — ასე გაგიცივდა მტერი, ჩემო ალიბო, — იყო პასუხი.

— რა ამბავი მოგდის ვარდენისგან, ბასია? — იკითხა კოწიამ.

— კაი ხანია, ბატონო, არაფელი ვიცი; შეშინებული ვარ, შე ნუ მომიკვდები, ძაან; რა ვიცი რა ჭირს!

— რა ეჭირება, შე კაცო! ჩამოვა ალბათ საკვირკობოთ.

— ველი, ბატონო, ბაგრამ რა ვიცი, ჩამოვა კი?

— აბა, ყმაწვილებო, გოუდგვთ გზას აწი! მართლა ამეღამ თქვენი სტუმრები ვართ. რავაა, ალიბო, შენი ლატარიის საქმე? აბა, თქვენ იცით, ქალებო, რავა დაგეხდებით! მაკრინეს ვახლავართ, ჩვენ მაკრინეს! რავა იმალები, შე ქალო! — გადაუძახა კოწია მარუშიძემ ბასიას მეუღლეს, რომელიც სახლის კარებში გაჩერებულიყო და იქიდან უყურებდა მგზავრებს. — ღმერთმა შენი თავი მიცოცხლოს, ბატონო! — უპასუხა მაკრინემ და მორცხვად თავსაფარი გაისწორა.

— აბა! მშვიდობით, ნახვამდის! — და მარუშიძემ შემოჰკრა ცხენს მათრახი, მას მისი მეგობრებიც მიჰყვენ.

«ჩემო ციცინათელა, რად დაფრენ ნელა-ნელა;
შენმა შორით ნათებამ დამწვა და დამანელა» — შემოსძახა მარუშიძემ და შუადღის სიცხით მოთენთილი სიმშვიდე დაარღვია ტკბილმა სიმღერამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეხლა მეც უნდა წევიდე სახში, დამაგვიანდა — სთქვა მარიკომ — დედია, კინაღამ არ დამავიწყდა! ჩემო მაკრინე, დედა-ჩემმა ცოტა წითელი ბოლოკის თესლი გთხოვა.

— კი, ჩემო მარიკო, მარა გვიან არ არი ახლა წითელი ბოლოკის დათესა? ალიბო, დედა, ამეიღე ზანდუკიდან წითელი ბოლოკის თესლი, იქინეია კუთხეში და მიეცი მარიკოს, რამდენიც უნდა — მარიკო, მეიკითხე სახში ყველი.

— მარიკო, თუ და ხარ, ამ საღამოს ადრე გადმოდი, უნდა მომეხმარო მიწყობ მოწყობაზე, — მიაძახა მეგობარ ქალს ალიბომ.

შორიდან კვლავ მოისმოდა «ციცინათელა»...

***

2

მზე ახალი ჩასული იყო, როდესაც სულაბერიძის სახლს პირველი სტუმრები მოადგენ. ყველაზე ადრე, რასაკვირველია, მარიკო მოვიდა. თანდათან ეზო და სახლი ხალხით აივსო. უმრავლესობა ახალგაზდობა იყო. ქალებმა სახლში დარჩენა არჩიეს. ვაჟები კი, პატარა, მაგრამ ლამაზ ეზოში გაიშალენ. ზოგი მოლზე წამოწვა, ზოგი ხის ძირში, სკამზე დაჯდა. ახმაურდა ბასიას სახლკარი. ხანში შესულები მოსავალზე მუსაიფობდენ, ახალგაზდები ხუმრობდენ. სახლიდან მალე გიტარის ხმა მოისმა და სიმღერა: «საყვარლის საფლავს ვეძებდი»...

კარგად შეღამებული იყო, როდესაც კოწია მარუშიძე თავისი ადამიძე-ავალიანებით მოვიდა.

— რა ღირს ბილეთი, ქალბატონო?—მოხდენილი თავაზიანობით იკითხა მან.

— მანეთი, ბატონო — მიუგო ხანდაზმულმა ქალმა, რომელიც კართან იჯდა და «ლატარიის» საქმეს განაგებდა.

— ძალიან კარგი! ჩვენ ექვსი ვართ — ექვსი მანეთი, მარა სლავენ ადამიძის მადა რო ვიცი, ექვსი მანეთი საყოფი არ იქნება — სთქვა მარუშიძემ ღიმილით და მაგიდაზე ოქროს თუმნიანი დააგდო. შემდეგ ყველა იქ მყოფთ სალამი მისცა და ეზოში გავიდა.

— სა გვიპირებს ნეტა ბასიე ამელამ დატევას? თუ შიგნით დაგვაჯინა, შენი მტერი დამხჩვალა, ჩვენ დევიხჩვეთ შვაცეცხლის კვამლში — წაიხუმრა სლავენ ადამიძემ.

— ჰე, დეიწყო სლავენმა! — სთქვა ვიღაცამ.

— დეიწყო, თვარა შენ კი ასე არ ფიქრობ, შე ნუ მომიკვტე!...

მთვარემ თავი ამოჰყო და პირველი გამაგრილებელი შუქი ესროლა მზის ცხელი სხივებით დაღალულ, დამთვრალ დედამიწას. დადგა ზაფხულის მშვენიერი, გრილი ღამე: მშვიდი. წყნარი. უშველებელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცაცხვის ქვეშ, მოლზე დამჯდარი თუ წაწოლილი ხალხი, ტკბილად მობაასე, განსაკუთრებულ სულისკვეთებას ჰქმნიდა: ყველას დავიწყებოდა დღის ჭირვარამი და სავსე გულით განიცდიდა ბუნების და ადამიანის ასე გარდამქნელ სიახლოვეს. ნათესაობას... სახლიდან გიტარის და სიმღერის ხმა ისევ მოისმოდა. უცბად ხმა შეწყდა. ეზოშიც სიჩუმე ჩამოვარდა. — მობძანდით, მობძანდით სახში. ლატარია იწყება — დაიძახა მარიკომ. ყველამ სახლს მიაშურა: ზოგი შიგ შეკიდა, ზოგიც კარებში შესავალთან დადგა.

«ლატარიის ბილეთები» ქუდში ეყარა. ხელისმომწერი თვითონ იღებდა ბილეთს. ქუდთან, რომელიც სახლის შუა ადგილზე, სკამზე იყო დადებული, იგივე ხანდაზმული მანდილოსანი იდგა ქაღალდით ხელში და მონაწილეებს იწვევდა.

— ივანე რუხაძე, ბიჭინა ტურძულაძე, როსტომ სულაბერიძე, ნესტორ კიკაბიძე... — ნელი, დინჯი დაძახებით კითხულობდა ქალი ხელისმომწერლების გვარებს... მომგებიანი ბილეთი არსად სჩანდა. გამგე ქალი ამშვიდებდა იმედ-გაცრუებულებს და ისევ დინჯად, აუჩქარებლად გაიძახოდა: — ბათუ ჯუბაბრია, მარიკო ტურძულაძე, ელიზბარ ჯღარკავა!, თავადი კოწია მარუშიძე! ჰკითხულობს ქალი ამაღლებული ხმით.

— ჩემ მაგიერ ალიბო ამეიღებს — ამბობს სიცილით მარუშიძე და გადახედავს ბასია სულაბერიძის რძალს, რომელიც იბნევა, აქეთ-იქით იყურება, წითლდება, არ იცის როგორ მოიქცეს.

— მიდი და ამეიღე ბოშო, — ეუბნებიან ალიბოს ახალგაზდა ქალები, ზოგი მუჯლუგუნის წაკვრით წინ გამოგდებას უპირებს.

— მიდი და ამეიღე, შვილო, რაის გცხვენია, — უთხრა დედამთილმა ახალგაზდა რძალს. კნიაზის ოჯახში არა ხარ გაზდილი პატარობიდან, ცხონებული კნეინა-ქალბატონი შვილივით არ გივლიდა და გასტაველიდა? დედა, კოწიეს რავა უნდა ეერიდებოდეს?..

მორცხვი ნაბიჯით, მაგრამ ბუნებრივ მოხდენით მივიდა ალიბო ქუდთან და ბილეთი ამოიღო. ის ველარავის ხედავდა. ათრთოლებული ხსნიდა ქაღალდს და ფიქრში «ღმერთო მომაგებიე, ღმერთო მომაგებიე» იმეორებდა... ყველა მას მისჩერებოდა... ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა.. როგორც იქნა გახსნა ქალმა ქაღალდი... კინაღამ ფეხები ჩაეკეცა, უცებ მოტრიალდა და გაქცევით ქალების ჯგუფს შეერია.

— არ გვქონია, ალიბო, მე და შენ ბედი მოგებაში! — მხიარულად წამოიძახა კოწიამ და თავისი შავი თვალები აღელვებული ქალის ყღალ თვალებს გაუყარა.

— ჯაჯანა ავალიანი. სპირიდონ სურმავა, ალექსანდრე ჯუბაბრაი, სლავენ ადამიძე!

— არიქა, სლავენ, უშველე სლავენ! — შეუძახეს აქეთ-იქიდან ადამიძეს, რომელიც ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა ქუდს. ამოიღო ბილეთი, გახსნა და ერთი შეჰყვირა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ქე არ მევიგეეე! — შეიქნა სიცილ-ხარხარი.

— ჰოი დასწყევლა ღმერთმა! ამ შეჩვენებულს ძაღლის ბედი აქ პირდაპირ, ღმერთმანი.

— რა გიშავს აწი, ჩემო სლავენ, რა! წამეიკიდე ზურგზე ნაკიტკა, დეიკავე გიტარა ხელში და იარე კარდაკარ ხელგაშვერილი, იქნება მოქცეს ვინმემ რამე, —გაჰკრა მწარედ სლავენს ალექსია ადამიძემ. ყველას გულიანად გაეცინა.

— შუ მამაცხონებულო, მე მაინც დარაიის ნაკიტკაში და გიტარით ვიარ, მარა შენ რო ნიდაყვ გამოვარდნილ ჩოხაში და დაღლეტილ აზიაცკში დადიხარ, გაგიშვერია ხელი სამათხოვროდ და იძახი: «ერთი ზელცკი დამალევე, ერთი პაპიროზი მომაწევე, ერთი აბაზი მასესხე», — ეს უფრო ვარესი არ არი? ამდონი «ერთი, ერთი» არ მოგწყინდა? — ასტყდა ისევ სიცილ-ხარხარი. — მოგსპო, ჩემო ალექსია, მოგსპო — უთხრა მარუშიძემ, — სლავენს შენ რავა აჯობებ, მაგას ენაზე პიმპილი და მარილი აქ წაყრილი.

— პიმპილი და მარილი, თვარა სერგიე ერისთავია...

— შენთან, ჩემო ალექსი, სერგიე ერისთავიც ვარ და მოსოსტრი დადიშქელიანიც — უპასუხა სლავენმა და თვითონაც გაეცინა...

ყველა ეზოში გამოვიდა. აქ ხის ძირში უკვე სუფრა გაეშალათ, უბრალოდ, ლამაზად. ყველასათვის საკმარისი ჭურჭელი, დანაჩანგალი და სკამები ვერ ეშოვათ, მაგრამ ისე სუფთად, ისე კოხტად მოეწყოთ ქალებს ის, რაც იყო, რომ სტუმრებს, რომ იტყვიან, გული შეექნათ.

შუა სუფრაზე დიდი ლამფა იდგა, რომელიც საკმაოდ ანათებდა იქაურობას. საცივი, შემწვარი გოჭები, ყველი, ცხელი ხაჭაპურები, «საკვირიკობო», ჭურიდან ახალამოღებული ცივი თეთრი ღვინო დოქებში. მწვანილი, ცხელი მჭადი და ღომი, დაჭრილ სულგუნით გატენილი, მაძღარსაც კი მადაზე მოიყვანდა. მაკრინე, ალიბო და მარიკო თავს დასტრიალებენ სუფრას.

— აბა მობძანდით, დაბძანდით. თქვენი ჭირიმე. — მოიპატიჟა ბასიამ სტუმრები. კნიაზო სეითა და კოწია, თქვენ ბატონო, აგერ დაბძანდით, თავში. აბა, ბიუებო. დაჯექით. ქალები აქით დააჯინეთ, თქვენ იქით დაჯედით. ყველა დალაგდა. ყველამ მოძებნა თავისი ადგილი და მადიანად შეექცა გემრიელ ვახშამს. კარგი ხანი ჭურჭელის ხმაურის მეტი არაფერი ისმოდა.

— აბა, ტოლიბაში ევირჩიოთ. თავადო კოწიო, დაგვამშვენეთ. კოწიეს სადღეგრძელო იყოს... დაიძახეს აქედან—იქიდან.

— მე კი არა, აგერ თავად სეითა მარუშიძეს მიულოცეთ ტოლიბაშობა, უფროსი კაცია, ჩემზე უფრო კარგათ წოუძღვება სუფრას.

— კოწია არ მომიკვტეს, შენ უნდა დადგე დღეს აქ ტოლიბაშათ

— კოწია, კოწიე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუ არ მემეშვებით, რა გეეწყობა. მარა, იცოდეთ, სმაში უნ- და მომყვეთ. აბა, ყმაწვილებო. აამსეთ ჭიქები. მოსიმღერეებო, თქვენ ცოტა აქით მეიწიეთ: სლავენ, ალექს, სეფე, ოსია. სეითაც შამოგვაწვეს აგერ თავის ბანს. აბა, სმენა. ეს ღმერთმა ადღეგრძელოს ჩვენი მასპინძ- ლები, კეთილი ცხოვრება მისცეს მათ, ერთი ორმოცი წელიწადი კიდო ასე ჯანმთელათ ყოფილიყოთ, ბასია და მაკრინე, თქვენი რძალით და შვილით, ამისთანა დროება ბევრჯელ გეგვეტარებიოს თქვენ ოჯახში. ალავერდი სეით? იახშიოლ. დაცლაზეა. აბა. სლავენ, «მრავალჟამიერი» წამომიწყე ერთი, «ცედურნი».

«მრა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ბასია, ღმერთმა გიდღეგრძელოს შენი ვარდენი, იმისთანა ბიჭი ბევრი გამოსულიყვეს ამ ჩვენ საზოგადოში, — ეუბნებოდენ მასპინძელს.

«ქუჩუჩა გოგო, ჭირიმე შენი
უნდა გაკოცო, ყინი მაქვს შენი»...

შეათამაშა კოწია მარუშიძემ თავისი მშვენიერი ტენორი, განსხვავებული სიძლიერით და მონდომებით... სტუმრებს თანდათან შეზარხოშება დაეტყო... ახმაურდა სუფრა... შეიქნა ხმამაღლა ლაპარაკი, ხუმრობა, სიცილი, ვაქებსა და ქალებს შორის თამამი სიტყვების გაცვლა-გამოცვლა; გიტარაზე დამღერებას მეტი გამბედაობა მიეცა, მეტი ბუნებრივობა და სილამაზე... სადღეგრძელოს სადღეგრძელო მისდევდა...

— ლეკური... დაიძახა უცებ კოწია მარუშიძემ. გაჩნდა მუზიკა და დაირა; პირველი მარიკომ აიღო ხელში, მეორე ალიბომ.

— ტაში... — დასძახა უკვე საკმაოდ შემთვრალმა მარუშიძემ. ვაკეთდა წრე და ჩამოუარა ახალგაზდა კაცმა. როგორც ყოველთვის, კოწიამ ეხლაც მარტო იცეკვა: იცოდა, რომ მარტოდ ცეკვა უფრო შვენოდა და ამიტომ ქალს არასოდეს გამოითხოვდა. კოწია მარუშიძე განთქმული მოცეკვავე იყო: მის ჩამოსხმულ, ელასტურ ტანს, წენში რომ არ ირხეოდა და სწრაფ ფეხებს, აღტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი... განსაკუთრებული ეშხით და მოხდენით იცეკვა მარუშიძემ .. ალიბო, რომელსაც აღელვებით სახე გაბრწყინებოდა და აალგაზდა კაცს თვალს არ აშორებდა, ხელოვნებაში მოცეკვავეს დაირის დაკვრით ეჯიბრებოდა.

— ტაში, ტაში, ტაში... — აღტაცებით იძახოდენ მაყურებლები და გატაცებით თვალს აყოლებდენ მოცეკვავეს... გაათავა... იგრიალა ტაშმა... ეხლა იგრძნო დაღალვა მოცეკვავემ, და მოსხლეტილი იქვე სკამზე დავარდა.

— მაკრინე, რა საუცხოოთ უკრავს ალიბო დაირას, — სთქვა კოწიამ და ნდომით შეხედა აღელვებული ქალის მხიარულ სახეს... ახალ გაზდა ქალმა თვალი გაუსწორა ერთი წუთით და ეშმაკური გაცინებით გვერდზე გაიხედა.

— დედა-შენთან არ ისტავლა სასახლეში სუყველაფერი, შენი ჭირიმე? კნეინა მაია წერეთლის ქალთან რას არ ისტავლიდა? სტუმრიანობის და დროსგატარების მეტი რა იყო ცხონებულ შენი დედმამის დროს სასახლეში, — უპასუხა მარუშიძეს მაკრინემ.

უცებ კოწია ზე წამოხტა... — ჭიქები, ყმაწვილებო, ახლა მე ერთი სადღეგრძელო უნდა დავლიო. წახანე სლავენ ადამიძემ გამიხმო ეგერ და მითხრა: «თავადო კოწია, ცოლი მე არა მყავს და შვილი, დედა არ გამაჩნია და დაო, რათ მინდა, ვის მიუტანო, ერთი მითხარი, ნაკიტკა და გიტარაო; დამიდექი ერთი მოციქულათ ალიბოსთან, შენი ჭირიმეო, არ ეწყინოს და ნაკიტკა და გიტარა ჩემგან საჩუქრათ მიიღოსო. მე უთხარი, გონია ამაზე ალიბო ვარს არ იტყვის-თქვა. ღმერთმა ადღეგრძელოს ჩვენი სლავენი, კეთილი ცხოვრება მიცეს მას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყოჩაღ, სლავენ, ყოჩაღ, ღმერთმა ადღიგრძელოს სლავენი, — მხიარულად მიაძახეს მას ყოველი მხრიდან. გაშრა ადამიძე, სახე გაუყვითლდა, ტუჩები აუცმაცურდა, დაიბნა...

— მადლობას მოგახსენებ, კნიაზ, პატივისცემისთვის, — ძლივს მოაბრუნა მან ენა და ჩაჯდა, თითქო ფეხები ჩაეკეცაო. ალიბოს სიხარულის ალმურმა გადაჰკრა სახეზე და თამამი მისვლით კოწიას მადლობა უთხრა. — ალიბო. შე ქალო, საჩუქარი ჩემგან მიიღე და მადლობას კნიაზს ეუბნები, - ეს რა სამართალია? — მწარე ღიმილით ქიმართა ახალგაზდა ქალს ადამიძემ. — დანა პირს არ გიჭრის, მარა რას იზამ, — გადაუსროლა მას ალექსიამ.—უჰ, დანა კი ჩეგესო მა მუდამ მშიერ კუჭშო, — გაბრაზებით უპასუხა მას სლავენმა და სუფრიდან ადგა. ყველამ სიცილი დააყარა.....

შუაღამე უკვე დიდი ხნის გადასული იყო, როდესაც თამადამ ოკანასკნელი ჭიქა «საყოვლადწმიდო» აიღო ხელში: — ყოვლად წმიდა ღვთიშობელი იყოს ამ ოჯახის შემწე. კიდო ბევრჯელ გაგვეტარებიოს აქ ასთე კარგად დროება... სეფე ადამიძე, რავა ქათამივით გეყვინთება შე კაი კაცო, დაპირება ხო არ დაგვიწყებია? ხო იცი, ხვალ შენთან ვართ სადილათ... — რავა დამვიწყებია, რას უნოფ? თუ კი მიკადრებ, ძაან გამიხარდება სტორეთ... მობძანდით, შენი ჭირიმე...

— მოვბძანდეთ, თვარა შამფანცკები არ გაგვიხსნა! ცივი ჭადით, ყვითელი კიტრით და ციებიან ჭის წყლით დაგვხოცავს მა ოჯახდასაქცევი, — გადმოისროლა შორიდან სლავენ ადამიძემ.

— ბასია არ გადევიპატიქოთ, ჩემო სეფე?..

— ბასიას რა დაპატიქება უნდა, ისთეც ქე მოვა.

— არა, ბატონო, მე — ხვალ პარასკევია — ხონში უნდა გეახლო, გვიანამდე ვერ დავბრუნდები, — უპასუხა ბასიამ.

უცებ კოწიას და ალიბოს თვალები ხანგრძლივი, ბევრის მთქმელი, გამომწვევ-გამაღიზიანებელი დაპირდაპირებით ერთმანეთს შეხვდენ. ასეთი შეხედვაა, ბუნებრივ მორცხვობასაც რომ სძლევს და მხოლოდ მოულოდნელად გაღვიძებულ ვნებას, სქესს ალაპარაკებს...

«აღმოსავლეთით შენა ხარ...», შემოსძახა მარუშიძემ ხელების გაშლით, თითქო ვიღასაც გულში ჩაკვრას უპირებსო. — «აღმოსავლეთით შენა ხარ»- უპასუხა ყველას გასაკვირვლად, მშვენიერი გულიანი მეორეთი ალიბომ, ბანებიც ბატაცებით მიჰყვენ მათ და მთვარიან ღამის იდუმალ მშვენიერებას ხოტბა შეასხა ახალგაზდათა გულიდან აღმოხეთქილმა სიმღერამ... სიმღერის შემდეგ ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა..

— ყოვლად წმიდა ღვთიშობელი შეეწიოს ამ ოჯახს. იცოცხლეთ.

— მადლობთ, მადლობთ, თავადო. — და ნასიამოვნები სტუმრები გამოეთხოვენ სტუმართმოყვარე მასპინძლებს. — სეფე, მაშ ხვალ შენთან ვართ, — მოისმა ღობის გადაღმა კოწიას ხმა. — მობძანდით, ბატონო!.—თვარე თეთრი, მოცივო სიცილით დაჰყურებდა დედამიწას..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3

დილას ბასია ადრე წამოდგა, გააბა ურემში «შვილებივით გამოზდილი ხარები» და გაუდგა გზას ხონისაკენ. როგორც ყოველთვის, მას დღესაც შეშა, კვერცხები და ხილი მიჰქონდა გასაყიდათ. მაკრინე მილაგ-მოლაგებას შეუდგა, ალიბო სადილის მზადებას... ვერ იყო მშვიდათ ახალგაზდა ქალი: რაღაც აწუხებდა. ხელიდან ყველაფერი უვარდებოდა, საჭირო საგანს ეძებდა და ვერ ჰპოულობდა, ავიწყდებოდა, რასაც ეძებდა. დედამთილმა შეამჩნია, რომ მისი რძალი გუნებაზე ვერ იყო და ჰკითხა: «ალიბო, ავათ ხო არა ხარ, დედა?»

«არა, ავათ არა ვარ, მარა წუხელი გვიან რო დავწევით, გლახათ მეძინა და რაცხა თავი მტკივა», უპასუხა რძალმა.

«გეინძრ-გამეინძრიე, ცივი წყალი შეიხსი პირზე და გეივლის შვილო. უი სიკვტილი! რავა დამავიწყდა. ბეჩა, მე მიწა გასახეთქს, რო დემებარებია ი კაცისათვის ფოშტაში შესულიყო. იქნება ქე გამოგზანა ი ბიჭმა წიგნი».

«ფოშტაში შესვლა რავა დაავიწყდება, თლა იმიტომ არ წევიდა ხონში, რო ვარდენის ამბავი გეეგო?.. დედა, - წამოიძახა უცბად ალიბომ, თითქო რაღაც მხსნელმა აზრმა გაურბინა თავში და გამოაფხიზლაო; - ვანო რუხაძის ქალიშვილი რო არის, იმან მითხრა ამას წინეთ, მინდა შენთან ერთად შალი მოვქსოვო და როცხა დრო იშონო, მოდი ერთი ჩემთან და მევილაპარაკოთო. გადავაბიჯებ ერთი დღეს მასთან».

«ალიბო, დღეს პარასკევია. დუქნებზე მთვრალი ხალხი იქნება, ათასი მამაძაღლია, რა ვქნა, მეშინია არაფელი შეგემთხვეს...»

«რა შემთხვევა, დედა, მე დუქნებით კარ წავალ, ჩვენ ტყეზე რო გზა მიდის, იმით წავალ, და ქე დაგბრუნდები მალე».

«წადი, მარა, არ დეიგვიანო, იცოდე».

გამოცოცხლდა ალიბო... საჩქაროდ დაამზადა სადილი, სუფრა გააწყო... ნასადილევს ყველაფერი დარეცხა, დაასუფთავა, მიაწყო... შემდეგ, ხელპირი დაიბანა, ლამაზად გამოეწყო და წავიდა... მიდის და უხარია ალიბოს. მიდის, მაგრამ სად მიდის ან რატომ? შალის მოქსოვაზე მას და ვანო რუხაძის გოგოს რო ლაპარაკი არ ჰქონიათ? რო არც. უნახავს? რა უთხრას ეხლა ფოსიას, როცა მივა. რაზე გარჯილხართო რო კითხავს?... დედამთილი ხო მოატყუა, ისე მოატყუებს ფოსიასაც.. რატომ მოატყუა მერე? რა უნდა რუხაძისას? როდის დადიოდა რუხაძისას? შალის მოქსოვა რო უნდოდეს, დედამთილთან ერთად ვერ მოქსოვს? არა, შალი კი არა, რუხაძის სახლი სეფე ადამიძის სახლის პირდაპირაა. იქ დღეს კოწია მარუშიძეა დაპატიჟებული... ასე არ სთქვა გუშინ?... მერე მას შეხედა, და როგორ შეხედა... ალიბოს ტანში ჟრუანტელმა დაუარა და გაწითლდა... მერე რა, კოწია მარუშიძე რომ იქაა? რა უნდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მასთან?. მისი ქმარი, ვარდენი?. დღეს მამამთილმა იქნებ მისი წერილი მოიტანოს, იქნებ მალე თვითონაც ჩამოვიდეს?... შეკრთა, შეშინდა... სად მიდის, სად?.. სად მიდის და კოწიას ნახვა უნდა... ხო, ხო... არავის არ ეშინია და ვინც უნდა ის ჩამოვიდეს... რა ჰქნას, ბეჩა, მოწონს კოწია; უწინაც მოწონდა, სუყოველთვის უხაროდა მისი ნახვა და ყურება: ზაფხულში ქუთაისიდან რო ჩამოვიდოდა კოწია, სულ სასახლეში ყოფნა უნდოდა; მაშინ იგი გიმნაზისტი იყო. რა შვენოდა მერე მოწაფის ტანისამოსი.... თეთრად რო ჩაიცვამდა მაინც.... ხანდახან ამხანაგები მოვიდოდენ მასთან და სულ ქალებზე ხუმრობდენ და იცინოდენ... რამდენჯერ უყურებია. მას თვითონ რაღაც სხვანაირად გააყოლებდენ ხოლმე თვალს და კოწიას გადაუფურჩულებდენ. იგი მაშინვე ყველასა სჯობდა. ერთხელ ქალბატონმა მაყვალზე რო გააგზავნა, კოწიაც წაყვა, მოგეხმარებიო. როგორ იამა მისი გაყოლა. მაყვალს რო კრეფდა, -- უჰ, რა სიცხე იყო მაშინ, -- კოწიამ მას უცბად ხელი სტაცა და ტუჩებში კოცნა დაუწყო... არ ახსოვს, უპასუხა თუ არა, გონია კი; თავბრუ დაესხა, კიღამ ყველაფერი დაავიწყდა, მაგრამ მერმე უცბად ხელიდან გაუსხლტა. «უჰამუსო» დაუძახა და შინ გაიქცა... «ჩაგიგდებ ხელში, თუ ბიჭი ვყოფილვარ»-ო, დაუძახა მას კოწიამ. ეს ამბავი არავისთვის გაუმხელია, არც გული მოსვლია კოწიაზე. ამას შემდეგ კოწიას მისთვის არაფერი უკადრებია. კოწია მერმე გიმნაზიიდან გამოვიდა, მგონი გამოაგდეს, მასწავლებელი გალახა და იმიტომ. ეხლაც ყველას სჯობნის იგი, როგორ შვენის ჩოხა და რანაირი სიმღერა და ცეკვა იცის... ამ ბოლო დროს კიდევ სხვანაირად უყურებს მას კოწია: -- რომ გაივლის მიაჩერდება და უსათუოდ რაიმეს ეტყვის ან --- «შენ თვალ ვენაცვალე» ან «რავა მწყურივით გაპუტკუნებულხარ» და სხვა კიდევ. გული რო არ მოდის? მოსწონს, მოსწონს კოწია და რა ჰქნას?... ვარდენი? ღმერთო, რანაირი ფიქრებია ამ თავში.. ოჯახი? სადაა აქ ოჯახი? ვინ ფიქრობს მასზე, ახალგაზდა ქალზე? ვარდენს ის სულაც ვერ ხედავს... და ალიბომ ჯიუტური მზრების გაქნევით ფეხებს სიჩქარე მოუმატა...

«ლამაზ ქალის კოცნა მიყვარს»...

გამოაფხიზლა სიმღერამ ალიბო. ტანში ჟრუანტელმა დაუარა... რა უთხრას ეხლა ფოსიას? შალზე დაუწყოს ლაპარაკი, თუ სხვა რამეზე? შალზე სჯობს, შალზე! აგერ ვანო რუხაძის სახლი... უჰ, რავა ყველა გარედ ზის! როგორ გაკვირვებით უყურებენ? ვერ იცნეს თუ? როგორ არა! აგერ ფოსია მოდის... რა კარგად ეგებება.

«ჰოო, ალიბოს ვახლავარ! მადლობა ღმერთს რო გამიხსენე! რაზე გარჯილხარ»... (დედაია, მართლა ისე არ კითხა, რავარც ეგონა?)

«რაი-და მინდა შენთან შალი მოვქსოვო, თუ შეგიძლია? (დედა, დედა, რა უტიფრად ეუბნება, რავა ტყუის, არც კი ცხვენია)... და უხარია ახალგაზდა ქალს, რომ პირველი დაბრკოლება გადალახა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

«ეს ძაან გიფიქრია, ჩემო ალიბო! მეც ვეძებდი; შენზე უკეთეს ვის ვიშოვი... ჩამოდი, ჩამოდი, აგერ დავჯდეთ და მევილაპარაკოთ»..

(«რა მშვენიერათ მოეწყო ყველაფერი»..., ფიქრობს ალიბო და უხარია). ახალგაზდა ქალი თავდაბლად მიესალმა ხის ქვეშ ფეხმორთხმულად დამჯდარ რუხაძის ოჯახს, და მერმე ფოსიას გაჰყვა... ორივე სახლის წინ დაჯდა და მუსაიფს შეუდგა. ალიბოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და თვალი სულ სეფე ადამიძის სახლისაკენ ეჭირა. იქ, ხის ქვეშ გაშლილ სუფრას შემოსხდომოდენ კოწია მარუშიძე და ავალიან--ადამიძენი და გახურებული ქეიფი ჰქონდათ. ყველა გახსნილ ახალუხის-ამარა იჯდა. სუფრას უკვე არეულობა ეტყობოდა. ისმოდა ხმა-მაღალი ლაპარაკი, სიცილი, სიმღერა და ლოთური შეძახება — ჰეიჰეი!

«ამ დილის აქეთია, ბოშო, ასეთი ამბავი აქვენ. რა ენაღვლებათ რა, შვილი მაგენს არ გააჩნია და ძირი, რატო არ იქეიფებენ?.» სთქვა ფოსიამ. «სულ ქეიფი რავა შეიძლება, ბეჩა», უპასუხა ვითომდა დაწუნების კილოთი ალიბომ. «გუშინ ჩვენთან იყვენ, გუშინწინ ნიკოიე ლორიასას ნათლობაში, დღეს აქანეი, - არ დეიხოცებიენ?»... ჰუ, რა უხარია, რომ ვერავინ ვერაფერს ამჩნევს...

«ჰო, მართლა, როგორ ჩეიარა შენმა ლატარიამ? მე არ მცალოდა და ვერ მევედი, ძაან ქე დამწყდა გული».

«ასე, გვარიანათ, კაი დროება გავატარეთ».

ამ დროს ალიბომ შენიშნა, რომ სლაენ ადამიძემ, რომელიც პირით, რუხაძის სახლისაკენ იჯდა. რაღაც გადაულაპარაკა კოწია მარუშიძეს; ეს უკანასკნელი უცებ წამოდგა, ახალუხი გაისწორა, რუხაძის სახლისაკენ გამოიხედა, ახალგაზდა ქალებს თვალი გადაავლო და დაჯდა.

«ტუჩებ ღია ვარდსა გავხარ, ჰოი რანუნი,
დილის ცვარით დაპკურებულს, ჰოი რანუნი»...

შემოსძახა მარუშიძემ და ჰაერი გააპო სულ სხვა ეშხით და ტემპერამენტით თქმულმა სიმღერამ.

«დედაია, შენი პირიმე, რანეირათ იმღერიან, არ გადარევენ კაცს?» წამოიძახა სოფიომ. ალიბო ანთებული თვალებით მისჩერებოდა იმ ადგილს, საიდანაც ასეთი დამათრობელი ხმები მოისმოდა... კარგად შებინდებული იყო, როდესაც ალიბო რუხაძეებს გამოემშვიდობა.

«გაყოლა ხო არ გინდა, ალიბო, ხო არ შეგეშინდება? თუ გინდა, აგერ ჩემი ძმა გაგყობა.» უთხრა მეზობლის ქალს ფოსიამ.

«არა, ჩემო ფოსია, მადლობთ, არაფელი მიშავს, ასთე ტყით წავალ აგერ და მალე მივალ სახში. ძაან ქე დამაგვიანდა», უპასუხა ალიბომ, ერთხელ კიდევ მოავლო თვალი მოქეიფეთ და ჩქარი ნაბიჯით წავიდა შინისაკენ... ტყეზე გასასვლელ გზას რომ შეუდგა, იგრძნო, რომ უკან ვიღაც მოდის... «კოწიე», გაიფიქრა მან და გული აუფანცქალდა, ფეხები დაუსუსტდა... ეშინია?... რატომ უნდა ეშინოდეს კოწიასი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაყვება სახლამდე და მერმე დაბრუნდება ისევე... გრძნობა კი სულ სხვას ეუბნება... ალიბოს ახლო, სულ ახლო ესმის ფეხის ხმა... სულის თქმაც ესმის... რა ჰქნას? გაიქცეს? სად, რატომ? საშიშარი რა არის აქ? კოწიასი ხომ არ შეეშინდა? ახლა გვიანაც არის, თითქო რაღაცის გასამართლებლად გაიფიქრა ქალმა.. ტყეში სიჩუმეა მთვარიან შუადამების.. ჭოტ, ჭოტ, ჭოტ,— მოისმის შორიდან ჭოტის ხმა... ჰი, ჰი, ჰი, — იძახის ღამის ჭრიჭინა, თითქო დასცინის ვინმესო...

«ჩემო ყღალთვალა გოგო, ახლაც გამექცევი!»...

«დეგილუპე, გათავდა!»... გაუელვა ალიბოს თავში...

«მაყვალი არ გახსოვს, გოგო, მაყვალი»...

... დაბნეული სიტყვები... სუსტი გაბრძოლება... თავდავიწყება და ... ქალი ვაქის მკლავებს მიენდო... ტყე, სიჩუმე, მთვარიანი ღამე.

«რატო დეიგვიანე ამდონ ხანს, შე ქალო, არ გცხვენია? ეს იყო რო დამპირდი, მალე მოვალო?» უსაყვედურა რძალს დედამთილმა.

«რა მექნა, არ გამომიშვა ფოსიამ და ჩემი ბრალი ხო არაა, — მოულოდნელი ჯიუტური შეტევით უპასუხა ალიბომ.

«გასაწყრომი შენ ხარ და მე მიწყრები? კაცი მევიდა აგერ ახლა ხონიდან, ვახშამი უნდა, დაღალულია, უნდა დაწვეს... მე ქე დავწევი,-- რაცხა არ შემიძლია- გოუწყვე ერთი სუფრა და მერე წიგნი წაგვიკითხე, გონია ი ბიჭს გამოუგზავნია ჭიათურიდან»...

სახლში შემოვიდა ბასია, რომელიც აქამდე ხარებს ახალმოჭრილ ჩალას აჭმევდა. «სადა ხარ, გოგო, სა დატინტრიკობ ამ შვაღამეში, ვერ მოხვალ დროზე სახში? რავა იმასავით გაბუზულხარ... მოუკიდე ერთი დიდ ლამფას და ე წიგნი წაგვიკითხე აგერ».

ალიბომ უგულოდ გაუწყო მამამთილს ვახშამი, მოიტანა ანთებული ლამპარი, გახსნა წერილი და დაიწყო ხმამაღლა კითხვა.

ვარდენი იწერებოდა, რომ კარგად არის, კარგ ფულს შოულობს და საკვირიკობოდ ჩამოვალო. ცოლს უთვლიდა: დედმამას კარგად მოუარე და მე ვიცი შენი პატივისცემაო. მეზობლებს და მეგობრებს მოკითხვას უთვლიდა. მამას ეხვეწებოდა, თუ რამე გაგიჭირდეს, ნუ მოგერიდება, ილიკო ჭიჭაღუას მიმართე და ის ყველაფერში დაგეხმარებაო.

«შენ დეგენაცვლა შვილო, დედა-შენი» ცრემლიანი ხმით წამოიძახა მაკრინემ ლოგინიდან, «შენი იმედითაა რო ვცოცხლობ ქვეყანაზე, თორე ისთე რა გამაძლებიებს. როიც იქნება ერთი, რო პეტერე ბიჭი დეიჭყივლებს შენ ოჯახში, როის მომასტრებს ამას ღმერთი».

ალიბო ზანტად ადგა და დაღლილი ნაბიჯით და მიმოხვრით თავის საწოლისაკენ წავიდა. ბასიამ ვახშამი გაათავა, ყალიონს მოუკიდა, კმაყოფილებით ჩაახველა, წამოდგა და მხიარულად მიმართა რძალს: «არ გიხარია, ძღაბო, ქმარი რო ჩამოგიდის?»

«რავა არ მიხარია, ძაან მიხარია, ისთე ვერ ვიცეკვებ-და», უკმეხი ხმითა და მხრების გაქნევით უპასუხა ახალგაზდა ქალძა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

«რაცხა ფარცაკი არაფელი ჭირს ამ გოგოს დღეს, რავა იკმინები იმასავით, ვერ უყურეფ!» წამოიძახა ბასიამ. «რა დეგემართა შე სასიკვტილე. ამისთანა ამბავი მოგვიდოდა და შენ აქანე ყველაფრის წამწარებას გვიპირობ, თუ რავაა შენი საქმე?» შეუყვირა რძალს დედამთილმა.

«რა დამემართა და არაფელი... რო ყვირი, რას ყვირი თუ იცი, რა, წავახთინე რამე თუ?» იმავე უტიფარი კილოთი უპასუხა ალიბომ.

«დამიგე, დამიგე ერთი ლოგინი და, — შენ თუ ასე დეიწყე, ჩემო ალიბო, წასულია შენი საქმე.» სთქვა შეწუხებული ხმით და ყალიონის წევით ეზოში გავიდა.

მალე ყველა დაწვა. ბასიას და მაკრინეს მკვდარივით ჩაეძინათ. არ ეძინებოდა მხოლოდ ალიბოს; ბორგავდა ახალგაზდა ქალი... ის კმაყოფილი იყო, რომ მარტო დარჩა თავის ფიქრებთან, თავის განცდებთან, რომელნიც მხოლოდ ეხლა მის კოწიას და მასთან გატარებულ ბედნიერ წუთებს ეკუთვნოდენ... დედა, მამა, ვარდენი, წერილი — ყველაფერი ეს საღღაც შორს, შორს იკარგებოდა, ვით დაუბრუნებელი მწარე წარსული, ვით უსიამოვნო სიზმარი, და ტკბილი აწმყოთი იფარებოდა.. იფარებოდა იმ თავდავიწყებით და მათრობელ, ვნებიან ცოცხალ მოგონებით, რომელნიც მან ამ მთვარიან ღამეში განიცადა და რომელნიც მას სამუდამოდ საყვარელ ადამიანთან აკავშირებდენ... კოწიას მეტი არავინ უნდა ალიბოს... მას ეკუთვნოდა და... ეხლაც უნდა მას ეკუთვნოდეს... ის ხომ იმ კაცს დანებდა, რომელიც თავიდანვე მოსწონდა, მხოლოდ დღეს დანებდა ის მამაკაცს თავისი სურვილით... ქალმა ინსტინკტიურად ხელები ძუძუებისაკენ წაიღო და იქ შეჰკრა... სიტიტვლეს ითხოვდა ქალის სხეული... ქალის არსებაში ბუნებრიკი აუცილებლობით სირცხვილისა და სინანულის გრძნობა ადგილს უთმობდა მოგონებას ლამაზ საიდუმლოებაზე, რომელსაც მასთან ვაჟი იყოფდა, ვაჟი, რომელიც ყოველთვის უნდოდა... იყო წყნარი, თბილი მთვარიანი ღამე... ჭოტი კვლავ გაიძახოდა: — ჭოტ, ჭოტ, ჭოტ... ღამის ჭრიჭინა ისევ იცინოდა: — ჰი, ჰი, ჰი... შორიდან დროგამოშვებით ოდნავ მოისმოდა ხმა სიმღერისა და არღანის «ტრია, ტრია...»

ბასიას და მაკრინეს ტკბილად ეძინათ...

არ ეძინა მხოლოდ ახალგაზდა ქალს...

4

ქუთაისიდან ხონში ჩამოსულ «დელეჟანიდან» ერთი ახალგაზრდა კაცი გადმოხტა. მზე ჩასასვლელად ემზადებოდა. მაღალი ტანის, კარგად მოყვანილი, მოგრძო გამხდარი სახით, პატარა, შავი, ცოტა ჩავარდნილი თვალები და მაღალი მუბლით, ახალი ჩამოსული ენერგიულ შთაბეჭდილებას ახდენდა. ტანზე ლურჯი ბლუზა, შავი შარვალი, ფეხზე «აზიაცკი»

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაღალყელიანი წუღები. მხარზე შავი ყაბალახი ჰქონდა გადაგდებული. ახალგაზდა კაცმა «მედელეენე»-ს ერთი დიდი «ჩამადანი» და ფუთა-ჩამოართვა, იქვე დუქანში მიაბარა და თვითონ კი სამარუშიძეოში მიმავალ ნაცნობ მეურმის ძებნას შეუდგა, რომ ხაბაგის წაღება გაადვილებოდა. მან მალე მოძებნა ასეთი მეურმე-თანამგზავრი. ეს ს. სამარუშიძეოს მცხოვრები დიმიტრია კიკაბიძე იყო, რომელსაც ხელობის მიხედვით «დიმიტრია-სტოლიერს» ეძახდენ. მას ურემი ფიცრებით დაეტვირთა და იხ იყო სახლში წასასვლელად ემზადებოდა, რომ მოისმა:

«დიმიტრიას გაუმარჯოს»...

«ჰოჰ, ჩვენს ვარდენს ვახლავარ... როდის ჩამოდი, ყმაწვილო?»...

დიმიტრია «სტოლიერს» ხონის ახლო-მახლო სოფლებში კარგი ხელოსანის, მუდამ ცოტა «აფრაკი ჭკუის» კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ყოველთვის სუფთად ჩაცმული, — უქმე დღე უთუოდ თეთრ ჩოხა-ახალუხში, რომელიც, ამბობდენ, ჯერ კიდევ მის ქორწინების დროს იყო შეკერილი, — პატარა გამხმარი ტანის და ასეთივე სახის, მოკლე თეთრ წვერ-ულვაშით და პაწია, პაწია თვალებით, — დიმიტრია არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ახდენდა. ისეთი წვრილი ხმა ჰქონდა, რომ, თვითონ მას თუ არ ხედავდით, გეგონებოდათ პატარა ბავშვი ლაპარაკობსო. ბაასის დროს ყოველ წინადადებას თითქმის სიცილით ათავებდა და სახელის მაგივრად «ყმაწვილო»-თი მიმართავდა. «ყმაწვილო, ხი, ხი, ხი, ხი, ყმაწვილო, ხა, ხა, ხა, ხა»... — იცინოდა სტოლიერი და მასთან იცინოდა ყველა, იყო საჭირო თუ არა: — დიმიტრია თვითონ, მისი შეხედულება, მიხვრა-მოხვრა, ხმა, ჰგვრიდა მის მსმენელებს ხანდახან შეუკავებელ, გულუბრყვილო სიცილს... აგერ ლაპარაკის დროს, სრულებით მოულოდნელად, ეს სამოცდახუთი წლის მოხუცი შეუხტებოდა და შეჰკივლებდა: «ბუს, ბუს, ბუს»-ო. რას ნიშნავდა ეს «ბუს, ბუს, ბუს» კაცმა არ იცოდა, — არც თვითონ ხსნიდა. ისე «სტოლიერი» ყველას უყვარდა, რადგან მას მეტად კეთილი გული ჰქონდა და რითაც შეეძლო, ყველას ეხმარებოდა... ბევრს ეშინოდა კიდეც მისი: — სიმართლის თქმა პირში უყვარდა, — ზურგს უკან ძვირს ვერ ათქმევინებდი...

«ეს ესაა ახლა ჩამოვედი, ჩემო დიმიტრია, სახლში მძიმე ხაბაკი მაქ წასაღები და, თუ არ დეგეზარება და შენ ხარებს არ დაამძიმებს, დამავალე ერთი, თუ კაცი ხარ, დეიდევი ურემზე, — ერთი ჩემოდანი და ერთი ფუთა», სთხოვა ახალგაზრდა კაცმა, სამრუშიძეოელ დურგალს.

«იმე, ყმაწვილო, მაგაზე რავა გეტყვი ვარს, ხაბაგს კარა, რო დამასახელო, სახლს გადაგიტან. ხი, ხი, ხი, სადაა შენი ხაბაკი, ყმაწვილო?»

«რაა ახალი სამარუშიძეოში»? შეეკითხა ვარდენი დურგალს, ხონს რომ გასცილდენ.

«ახალი სოფელში რა იქნება, ყმაწვილო, ახალი ანბავი შენ უნდა მეგეტანა ქუთაისიდან და ჭიათურიდან ახლა... რავა გადეიკარგე, ყმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვილო, კაცმა ვერ გნახა, ასე უნდა?... დეიწერე ჯვარი თვარა, არ გასუ-ლა სულ ერთი თვე, დაკარი ფეხი და გადავარდი. ხი, ხი, ხი, ხი... ასთე რავა შეი ლება, ყმარწვილო... მიატუე ოჯახი, დედა, მამა, ახალმოყვა-ნილი ქალი, ეიი მე»... ჩაუწვრილა დიმიტრიამ. «თუ შოულოფ ქე მაინც რამეს, ყმარწვილო?... ხა, ხა, ხა, ხა»...

«რა ვქნა, ჩემო დიმიტრია, ოჯახის მიტოვება ასე ადვილი საქ-მე არ არი, მარა სხვაფერ რო არ მოხერხდა... ახლა იმისთანა დრო და-დგა, რო თუ ცოტა გარედან არ წეეხმარე ოჯახს, ისე ვერ წავა მისი საქმე წაღმათ».

«რას უნოფ, ყმარწვილო, ოჯახს მაშინ მეეხმარები, შინ რო იქ-ნები და თოხს ხელს მოკიდეფ, მამაშენს რო გვერდში ამოუდგები, მაშ-ვინ წავა ოჯახის საქმე წაღმა. ბასიას ახლა იმდენი სა შეუძლია, უწინ რო შეეძლო... მარტოხელი კაცი რო იყო, კიდო იტყვის კაცი რამეს, თვარა, შე დალოცვილო, მთვარესავით ქალი რო მეიყვანე და სახში და-აჯინე, რავა, იმას მოვლა არ უნდა... ხი, ხი, ხი, ხი... ხო იცი, ყმარწვი-ლო, ქალი თუ ქმარს ვერ ხედავს, გულს ეიცრუებს ოჯახზე, გადაღმა დე-იწყებს ბზერას და მერე უყარე კეკალი. ხა, ხა, ხა, ხა... შენზე არ ვუნოფ ამას, ღმერთმა გაშორეს ალეკოსთანა ქალი ვის ყაკს, მე ისე ვუნოფ. . ქალი თუ გოდოუდგა ოჯახს ძირიან-ფესვიანათ ამოაგდებს, აბა... და-წყევლოს ღმერთმა ქალის სახსენებელი... რა უქნა ეგერ ქალმა ბესიეე ლოტრიას... ხი, ხი, ხი, ხი»..

ვარდენმა ამაზე არაფერი უპასუხა დურგალს. კარგად იცნობდა მას, მა-გრამ თავში უეცრად ისეთ აზრმა გაუელკა, როელიც მისთვის აქამდე უჩვევი და გაუგებარი იყო.. «რავა! ნუ თუ რამე ლაპარაკია? ნუ თუ ვინ-მე რამე ჭორს ავრცელებს სოფელში? არა, არ მჯერა»...

«მოსავალს ხო კაი პირი უჩანს ჩვენკენ, დიმიტრი?»... შეეკითხა ის თანამგზავრს ისეთი კილოთი და ისეთი ხმით, თითქოს რაღაცამ და-აფრთხო და უნდა გამოერკვიოსო. დურგალმა მას გაკვირვებით შეხედა.

«მოსავალი წროულს ქე უნდა იქნეს გონია გვარიანი, ყმარწვილო. ჯერ იყო და წუმებიც თავის დროზე ქონდა და მერა ე ცხენიწყალიც ძა-ან საქმეს უშობა, ღმერთმა ააშენოს ი ნიკოლაძის ოჯახი, ეს ერთი საქმე ძაან გააკეთა, ყმარწვილო, ძაან. შენ რავა გაქ საქმე, ყმარწვილო?...ხი, ხი»

«რავა მექნება, არა უშავს». უპასუხა ვარდენმა დაბნევით, იმდენს კი ვშოულობ, რო თავი ვირჩინო და ცოტა ოჯახსაც დავეხმაროთ».

«კაი დეგემართოს, ყმარწვილო, კაი მაგი იყოს, მარა კიდო უკე-თესი იქნება სახლში დარჩე და აქანე იმუშავო მამაშენთან, დედას და ცოლს მიხედო. ახალგაზდა ქალის მიტუება ხელს არ მოგცემს, ყმარწვი-ლო. ხა, ხა, ხა, ხა... მერე და»...

«კაი აწი, დიმიტრია, ვნახოთ რავა მეეწყობა საქმე», ეააწყვეტი-ნა უცებ ვარდენმა მოუთმენლად დურგალს სიტყვა და ცოტა დაწინაურდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორივე დაჩუმდა...

მგზავრები მალე ს. სამარუშიძეოს დაუახლოვდენ. აგერ ბასია სულაბერიძის სახლიც გამოჩნდა. უკვე ბინდდებოდა. ბასია პერანგისამარა ხის ქვეშ დამჯდარიყო და ყალიონს ეწეოდა, ფიქრებში გართული. მთელი დღის მუშაობით მოქანცული, ისვენებდა გლეხი. მის ერთად-ერთ შვილზე, მის ვარდენზე ფიქრობდა მამა, რომლის დაღალულ სახეს, ტანჯით დაღარულს, ხან კმაყოფილების გრძნობა გადაურბენდა, ხან კიდევ მწუხარების ხაზი გადასერავდა. ბევრი რამ ჰქონდა საფიქრი ბასია სულაბერიძეს... არ მოსწონდა, რომ მისმა შვილმა ასე მიატოვა ოჯახი, მოხუცებული დედ-მამა და, — განსაკუთრებით ახალგაზდა ცოლი, არ მოსწონდა ამ უკანასკნელის მარტოობა... «რა იცი რას იფიქრებს ასთე მარტო დატუებული ქალი. რაცხა არ მომწონს ამ ბოლო დროს ჩისი ქცევა... სულ საცხა-საცხა დადის, სახლში ვეღარ აჩერებს კაცი. ერთჯერ ეშმაკი თუ შოუჯდა ქალს, მერე რაღა მოარჯულებს იმას... რა ვქნა, რა მოუხერხო? ჯერ არაფერი არ მითქვამს ი ბიჭისთვის, მარა ახლა თუ ჩამევიდა, კი უნდა უთხრა ერთი სულყველაფერი. ნუ წავა აწი ი ჭიათურაში, სახლში, ოჯახში დარჩეს აგერ და ოჯახს მოუაროს, აბა!»..— გათამამდა ფიქრებში გართული ბასია. «ვარდენი მარჯვე ბიჭია, ყველას უყვარს, ყველა დეეხმარება და საქმე ჯერაც არ მიდის გლახათ და მაშვინ თლა კარგათ წავა, ღმერთო შენით»... დაათავა სულაბერიძემ თავისი ფიქრები ხმა მაღლა და ყალიონს იმედიანად დაუწყო წმენდა.

«ბასიას გაუმარჯოს, ბასიას». დაიძახა ამ დროს ჭიმკარზე ურმით მომდგარმა დურგალმა. «შვილი მოგიყვანე, ყმარწვილო, შვილი. ხი, ხი, ხი, ხი... არ გაუშვა აწი, იცოდე, ჭიათურაში. რა უნდა ჭიათურაში, სახლში დაჯდეს აგერ და ოჯახს მოუაროს ის აჯობებს. ხა, ხა, ხა, ხა... აბა რავა გინდა თუ იცი»... ბასია ფეხზე წამოდგა და სირბილით შეეგება შვილს, რომელიც უკვე ეზოში ჩამოსულიყო და მშობელისაკენ ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა. მამა და შვილი ერთმანეთს გადაეხვიენ. მაკრინეც იმ წამსვე იქ გაჩნდა და ამდენი ხნის უნახავი ვაჟი გულში ჩაიკრა.

«შენ დეგენაცვლა, შვილო, ოხერი დედაშენი, ღმერთმა ისთევლე მაღირსა შენი ნახვა. რავა ხარ, დედა?»...

«მე რა მიშავს, თქვენ რავა ხართ? ჰაჰ, მამაჩემო, რავაა საქმეები?»

ბასია უაზროდ იღიმებოდა, სიტყვა ვერ ეთქვა, ხან მაკრინეს შეხედავდა და ხან ვარდენს.

«ალიბო, ალიბო, არ გამოხვალ, ძღაბო, ვარდენი მოგვივიდა აგერ, ვარდენი», დაუძახა რძალს დედამთილმა.

სახლიდან უგულოდ გამოვიდა ახალგაზდა ქალი, ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა ქმრისაკენ, შორიდან ხელი გაუწოდა და იქვე დადგა.

«აკოცე, დედა, თუ გცხვენია?» უხერხულობის დასაფარავად სთქვა მაკრინემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«რავა ხარ, ალიბო?» შეეკითხა ქმარი ცოლს დაკვირვებით.

«რავა ვიქნები, — შენ რავა ხარ?»

«რავა უცხოსავით მელაპარაკება, — რატომ აქ ასე ციცი ხმა? თუ მეჩვენება» — გაიფიქრა ვარდენმა. «რა გალამაზებულა-და დაქალებულა!» ახალგაზდა კაცს გულზე თითქოს რაღამაც უკბინა... ჩამოვარდა უსიტყვო სიჩუმე...

«ხი, ხი, ხი, ხი! — ასე უნდა, აბა რავა გინდა, თუ იცი, - ოჯახი ოჯახია. ჭიათურაში რა გინდა, ყმარწვილო, სახში დარჩი, სახში და მოუარე ოჯახს, მარგალიტივით ქალი რო გყავს მაგერ შოუსვ—შამოუსვი ხელი და გოუხარდება», გამოაფხიზლა ამ დროს ყველა დურგლის წვრილმა ხმამ.

დიმიტრია დავიწყებოდათ სულაბერიძეებს, მაგრამ ის ღობის გადაღმა ურემზე დაყრდნობილი, ყალიონით პირში დაკვირვებით მისჩერებოდა მათ, თითქოს არაფერი უნდა გამოტოვოს მათ ლაპარაკში და მოქმედებაშიო.

«უჰ, დიმიტრია, უკაცრავათ, ძაან მადლობელი ვარ პატივისცემისთვის, გადამახდევიოს ღმერთმა. ჩამოდი ერთი, თუ კაცი ხარ, ერთი სტაქანი ღვინო დავლიოთ ერთათ, დამლოცე ერთი შენებურათ» - მიმართა დურგალს ვარდენმა.

«ჰაჰ, სა მცალია ჩამოსასვლელად, ყმარწვილო, სახლში ათასი საქმე მაქ. დროზე რო არ მივიდე, ქალი ტყავს გამაძრობს. ხი, ხი, ხი, ხი.. ალიბო, არ გაუშვა აწი, მამაშვილობას, ვარდენი ჭიათურაში». ერთი კიდევ გადიხარხარა დურგალმა და ხარებს შემოჰკრა. «შვიდობით! შვიდობით»!..

«ღმერთმა კარგათ გაყოფოს, ჩემო დიმიტრია»!..

«აბა ახლა, მაკრინე, ალიბო, თქვენ იცით, ვარდენს ეშიება, ერთი კაი ვახშამი გვაჭამეთ»...

მალე მთელი ოჯახი სუფრას შემოუსხდა. ბასია და მაკრინეს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. ვარდენიც არ გრძნობდა ცუდათ თავს. მხოლოდ ალიბო იჯდა, როგორც უცხო, ცივად, ხმას არ იღებდა. ახალგაზდა კაცმა შეამჩნია ცოლს ცვლილება. დურგლის სიტყვები, ალიბოს შეხვედრა ისარივით ჩაესო პირველად გულში, მაგრამ ყოველ ღონეს მიმართავდა უტიფარი ფიქრი დაეძლია, თავიდან მოეშორებია, ცოლის მოქმედება მისი მორცხობით და გამოუცდელობით აეხსნა, უფრო თავისი თავი გამოეყვანა დამნაშავედ და საყვარელ მშობლებისათვის სიხარული მწუხარებად არ შეეცვალა.

«არაფელი არ ჯობია სოფელს, და ოჯახს» - წარმოიძახა, მან ბოლოს, «ზაფხულში მაინც სოფელი დაუფასებელია, ყველაფერს გემო აქ«.

«აწი მერე, შე კაი კაცო, თუ ასე მოგწონს სოფელი, დარჩი, ნუ მიდიხარ ამ ჭიათურაში, შენს ოჯახსაც მოუარ და ჩვენც გაგვახარეფ» უთხრა შვილს ბასიამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მამაჩემო, მაგაზე მერე ვილაპარაკოთ. ჯერჯერობით იმიტომ ჩამოვედი სოფელში, რომ თქვენთან ყოფნით გავძღე, ერთი კარგად დევისვენო, მერე ვნახოთ რავა მეეწყობა საქმე.

— უი, შენ კი დეგენაცვლოს დედა - შენი, შვილო, აბა რათ გინდა ისეთ რამე! გეიარე, გამეიარე, მოყვარე გაახარე და ტერს თვალი დოუყენე, დედა, - სიხარულით უთხრა დედამ შვილს.

— დიდხანს აპიროფ აქანე დარჩენას, ვარდენ,— როიც გინდა დაბრუნდე ჭიათურაში?— მოულოდნელად მიმართა ალიბომ ქმარს

— შე ქალო, ჯერ აო მოვსულვარ და ახლავე გარეთ მაგდეფ!—გაოცებულ შეხედვით და მწარე ღიმილით უთხრა მეუღლეს ახალგაზდა კაცმა

— რანეირი ლაპარაკი იცი, ალიბო, — შეუტია რძალს მაკრინემ, რა დროს წასვლაზეა ჯერ ლაპარაკი, სულის მოთქმას რო არ აცლი კაცს! ასთეა, შვილო, ქია სულ გაჩუმებული და, თუ თქვა რამე, ისეთ რამეს იტყვის, რო გაგიკვირდება. რა დაგემართა, შე ქალო!

— რავა იმ წამში ყრონტში მეცემით, რაო! არაფელის კითხვა არ შემიძლია, თუ რა ანბავია? — წამოიძახა ალიბომ აცრემლებული ხმით და ადგა.

— არაფელია, დეიდაჩემო, რა ვუყოთ მერე, — შენც ნუ გაგვიწყრები, ჩემო ალიბო. ვნახოთ რავა წავა საქმე, ჯერ აგერა ვარ და ერთი ორი კვირე მინდა დავრჩე მაინც და მერე, თუ წეეედი, იქნება შენც ქე წაგიყვანო

ალიბო უცებ მოტრიალდა და ჩქარი ნაბიჯით გარედ გავიდა. ყველამ გაკვირვებით გააყოლა თვალი ახალგაზდა ქალს. ვარდენმა ჩაფიქრებით გაიარ - გაშოიარა.

— მამაჩემო, სთქვა ვარდენმა შეჩერებით. ჯიბიდან ქისა ამო ღო — ჯერჯერობით ასი მანეთი ჩამოგიტანე, მეტს ვერ მოუყარე თავი, რავარც გინდოდეს, ისე მეიხმარე. დედას და ალიბოსაც ჩამოუტანე რაღაცრაღაცეები, ჩამოდანში და ფუთაშია ეგერ გამოკრული.

— შენ გენაცვალე დედა, რატო იწუხებდი თავს, მე რათ მინდა რამე, თქვენ მეიხმარეთ ახალგაზდებმა — სიხარულით წამოიძახა მაკრინემ და ჩემოდან - ფუთასაკენ გასწია.

— მადლობელი ვარ, შვილო, სთქვა ბასიამ და ასმანეთიანი ქესაში ჩაკეცა. ამ ფულით ბევრი რამე შეემატება ოჯახს. ურემს შევაკეთებიებ, სასიმინდეს და ხულას გადავხურავ კრამიტით, ერთი კაი მეწველ ძროხას და მოზვერს ეიყიდი. თქვენთვის გეინდა ყველაფერი, თვარა ჩვენ წამავალი ვართ აწი.

— ნუ გეშინია, მამაჩემო, გული არ გეიტეხო, უთხრა შვილმა მამას, — რა დროს მაგაზეა ლაპარაკი, ჯერ შენ და დედა-ჩემმა ერთი ორმოც-ორმოცი წელიწადი უნდა იცოცხლოთ და ბევრ კარგს მოესწროთ. იმედი მიდღემჩი არ უნდა დაკარგო კაცმა.

— უი, რას უნოფ, შვილო, ორმოცი წელიწადი რა გვაცოცხლებს ჩვენ აწი, დავბერდით, დედა, დავბერდით. ყველამ გულიანად გაიცინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5

გათენდა კვირიკობა. ეს დღე სამარუშიქოს ეკლესიის დღესასწაულია და მის გადასახდელად სოფლელნი თვეობით ემზადებოდენ. საუკეთესო ტანისამოსი ამ დღისათვის იკერებოდა, ნარჩევი საქონელი და ღვინო, რომელსაც «საკვირიკობო»-ს ეძახდენ, ამ დღისათვის ინახებოდა: — «კვირიკობა»-ს უნდა გამოეჩინა სამარუშიძეოელს თავისი განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობა და გულგახსნილობა. ეს დღესასწაული იმდენად განთქმული იყო, რომ რაჭიდან მესაზანდრენიც კი ჩამოდიოდენ. მარუშიძენი რაჭიდან გადმოსახლებული თავადები იყვნენ და მათი წინაპრების მოწვევით «კვირიკობისათვის» ბლომად ჩამოდიოდენ ძველად მესაზანდრენი «ნაბატონარი»-ს სოფელში მძლავრ ფეოდალების გასართობად და ხელის მოსათბობად. მარუშიძეთა დროსგატარება და ქეიფი ხომ კვირაობით გრძელდებოდა. ეხლა ეს თავადები აღარაფერს წარმოადგენდენ: ძველ დიდ მამულებიდან და სასახლეებიდან თითქმის არაფერი იყო დარჩენილი, მაგრამ მესაზანდრენი ჩვეულებას მაინც არღალატობდენ, გრძელ გზას არ ერიდებოდენ და ეხლაც არ ბრუნდებოდენ უკან ხელცარიელი. დროსტარება და ქეიფი ბევრ ოჯახში სამი-ოთხი დღე გრძელდებოდა. სტუმარ მასპინძელთა შეხვედრა უფრო ეკლესიის გალავანში ხდებოდა, რომელიც ამ დღეს ?აჭედილი იყო ხოლმე. ნასადილევს «ონჭკურაზე» ძველი ჩვეულებისავე მიხედვით, იმართებოდა ბურთის თამაში და Ცეკვა-სიმღერა. ონჭკურა — უშველებელი მინდორი იყო. მის გარშემო ძველად თავ. მარუშიძეთა მედიდური სასახლეები იყო წამოჭიმული, - დღეს კი ღელეჭზე ჩამოკიდებულ ჩელტის ჭიშკრების მეტს ვეღარაფერს ხედავდა ადამიანი აქა-იქ. ამ მინდორზე იხდიდა სოფელი დღესაც თავისი ეკლესიის დღესასწაულს ერთხელ წელიწადში, აქ იკრიბებოდენ ამ დღეს ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი, — დგებოდა «ჯარი». რასაკვირველია, როგორც ყოველ ასეთ დღესასწაულის დროს, ონჭკურაზე ხშირი მოვლენა იყო ხანჯლის ტრიალიც..

ბასია სულაბერიძის ოჯახიც მომზადებული შეხვდა კვირიკობას, თუმცა სტუმარს არსაიდან ელოდა: — შვილზე უკეთესი სტუმარი ვინ მოგვივალ, ამბობდენ ბასია და მაკრინე. დილიდანვე შეუდგენ სულაბერიძენი ეკლესიაზე წასასვლელ სამზადისს. ბასიამოვნო შესახედავი იყო მაკრინე, რომელიც ახალ ყავისფერ კაბაში გამოწყობილიყო; კმაყოფილებით «აკრიჭინებდა» თავის ახალ ჩექმებს ბასია, შავ ჩოხა-ახალუხში, რომელსაც ასე ჰშვენოდა მისი გრძელი თეთრი წვერ-ულვაში; მეტად უხდებოდა ალიბოს ყღალ თვალებს და მზისგან დამწვარ სახეს თეთრი კაბა, ვარდენი სადათ გამოწყობილიყო: ყღალი ჩოხა, შავი ახალუხი, მაღალყელიანი წუღები, შავ სარტყელზე პატარა შავი სატევარი. სულაბერიძეებს ეკლესია და გალავანი სულ გაჭედილი დახვდა ხალხით...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღირსშესანიშნავ საბახაობას წარმოადგენდა ძველთა-ძველი, თ. მარუშიძეების მიერ აშენებული ეკლესია და მაღალი სამრეკლო ასწლოვან მუხებითა და ცაცხვებით გარშემორტყმული. გალავანში შესასვლელ კარებს მშვენიერი ალვისხენი ამშვენებდენ. ხალხი მხიარულად განწყობილი ჭიანჭველასავით ირეოდა. ვარდენს დიდი ხანი არ დაუყვია საყდარში, მალე გამოვიდა და თავის ტოლამხანაგებში გაერია. ყველა სიხარულით ეგებებოდა მას: ვარდენს დიდი ნდობა და პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული სამარუშიძეოსა და მის ახლო-მახლო სოფლების გლეხობაში, როგორც «ახალ-თაობის» კაცს. მის გარშემო მალე დიდი წრე შეიქნა: ყველა ეკითხებოდა, ყველას რაიმე ახალის გაგება უნდოდა, ეკითხებოდენ ჭიათურისა და ბათუმის მუშაობის პირობებზე და ვარდენი ყველას სათანადო პასუხს აძლევდა. მალე წირვაც გამოვიდა და ხალხი ეკლესიის გალავანში გაიშალა. შეიქნა ხმამაღლა ლაპარაკი, მისალმება, დაპატიქება, სიცილი, გამოხუმრება, დავა... ხალხი ჯგუფ-ჯგუფად გაიყო: ქალები, მოხუცებულები, ახალგაზდობა...

— ილიკო! თუ ძმა ხარ, ერთი «ერივოდა» ვთქვათ — მამართა ვარდენმა მის გვერდით მდგომ, მაყვალივით შავ ყმაწვილს, შავ ჩოხა-ახალუხში ჩასხმულს. ეს იყო ვარდენის საუკეთესო მეგობარი ილიკო ჭიჭაღუა. — ილიკო ჭიჭაღუას შენ სიმღერა და თამაში უთხარი და გონია საჭმელიც არ გაახსენდეს — გაიხუმრა ვიღაცამ.

— აბა, ბიჭებო, შემოვძახოთ ერთი!

ახალგაზდობა ორ ჯგუფად გაიყო და ხალხურმა გმირულმა ჰაერი გააპო. ყველამ, მოხუცმა თუ ყმაწვილმა მიატოვა თავისი ადგილი და მოსიმღერეებს შეუერთდა. მთელი ხალხი ორ ბანაკად გადაიქცა, რომელიც ერთი მეორეს ართმევდა სიმღერას და უკეთესად თქმაში ერთმანეთს ეჯიბრებოდა. ყოველი ახალი განმეორება «ერივოდას» გამბედაობას და სიძლიერეს უმატებდა. განსაკუთრებული სულისკვეთება დამყარდა, რომელმაც ყველა იქ მყოფი ერთ მძლავრ ერთეულად გადააქცია და ერთს წუთს მწარე ყოველდღიურობა დაავიწყა... გათავდა სიმღერა და რამოდენიმე ხნით სრული სიჩუმე ჩამოვარდა.

— ვარდენს გაუმარჯოს, ვარდენს! — ახალგაზდა კაცმა მოიხედა ამ ხმაზე და დაინახა წრის გარედ ხის ძირში ერთ ჯგუფად მდგარი კოწია მარუშიძე და მისი მხლებლები: ადამიძე-ავალიანები. თეთრ ჩოხა-ახალუხში კოხტად შეკრული მარუშიძე, კმაყოფილი სახით, რომელსაც დამცინავი ღიმილის ხაზი ოდნავ გადაჰკრავდა, მხიარულად ესალმებოდა შორიდან ვარდენს. ამ უკანასკნელმა წრე გაარღვია, მივიდა მარუშიძესთან და თავაზიანად ხელი ჩამოართვა.

— თავად კოწიას ვახლავარ! რავა გიკითხო, რავა ბძანდები? კაი გამარჯობა თქვენი სლავენ, ალექსი, სეფე...

— ასე, ჩემო ვარდენ, როგორც მიყურებ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— თუ ისე ხარ, რავარც გიყურებ, კარგად გქონია საქმე! — უთხრა ვარდენმა. უცებ უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, ისეთი სიჩუმე, როდესაც არ იცი, რა სთქვა, როგორ მოიქცე. ენამახვილი სლავენიც ჩუმად იყო. კარგა ხანს იდგენ ასე უსიტყვოდ. ბოლოს ვარდენი თავის დაკვრით გამოეთხოვა კოწიას და თავის მეგობრებსა და თავისიანებს შეუერთდა.

მალე ხალხმა გალავნიდან დენა იწყო. ყველას შინ მიეჩქარებოდა

— ვარდენ, შვილო, ჩვენც წევიდეთ აწი სახში; ალიბო და დედა შენი კაი ხანია წევიდენ — მიმართა გაბრწყინვებულმა ბასიამ შვილს.

— წევიდეთ, მამა-ჩემო, წევიდეთ. ილიკო, შენ ხო არ წამოხვალ ჩვენსას სადილათ?

— ახლა ვერ წამოვალ; დათიკო მაისეისას მივდივარ. ნასადილევს გადმოდი ონჭკურაზე, ერთი ბურთი წევითამაშოთ, ვარდენ, გევიხსენოთ ჩვენი ძველი დრო...

— გახუნებულა, გახუნებულა, გახუნებულა! — მოესმა ვარდენს დიაკვანის კილოზე წამღერებული სიტყვები და ზედ დართული მაღალი გამომწვევი სიცილი. უცბად მოტრიალდა ახალგაზდა კაცი და დაინახა კოწიას ჯგუფი იმავე ადგილზე მდგომი. სიცილი იმ წამსვე შესწყდა, მიოლოდ მისკენ ზურგ-მოქცეული კოწია განაგრძობდა, ეტყობოდა, სიცილს და პაპიროზს აბოლებდა.

— წევიდეთ, მამა-ჩემო, ჩქარა, თორა სადილზე დაგვაგვიანდება, ალბათ დედა და ალიბო გვიცდიენ, — ძალდატანებითი ღიმილით უთხრა შვილმა მამას და ორივე აჩქარებული ნაბიჯით გაეშურა შინისაკენ.

— გახუნებულა, გახუნებულა, გახუნებულა! — მოისმა კიდევ შორიდან... საშინელმა აზრმა გაუელვა უეცრად ვარდენს... — დიმიტრია სტოლიერი რო არ დაუნახავს დღეს არსად? სად იყო?. ხო არ გავგიჟდი, რაზე ვფიქრობ? სისულელეა! მაგენი მასე არ ლაზღანდარობენ ყოველთვის?

— უჰ, რა მშია! წამოიძახა უცებ ვარდენმა, თითქო უნდა მაბეზარი აზრი თავიდან მოიშოროსო.

— აჰა შვილო, აგერ — მხიარულად უპასუხა ბასიამ...

გემრიელი სადილისა და ხის ქვეშ მოსვენების შემდეგ, ბასია ვარდენი და ალიბო ჯარში წავიდენ ონჭკურაზე. მაკრინე დარჩა შინ...

თვალუწვდენელი მინდორი, რომელზედაც ძველად თავ. მარუშიძეების მოწვევით გურია-სამეგრელოს, აფხაზეთის და იმერეთის თავადების ჯირითში და ფარიკაობაში შეჯიბრება ხდებოდა და მერმე ათასი კაცისათვის სუფრა იშლებოდა, — ეხლაც დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა. უამრავ ხალხს მოეყარა აქ თავი... მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა ლურჯი მინდორი ადამიანის ჩაცმულობით სხვადასხვა ფერად ზაფხულის მზის სხივებში ათამაშებული. ქალებს ცაცხვის ძირში მუზიკა დაირა გაემართათ. მოხუცებულებს ასწლოვან ხეებს ქვეშ მოერთხათ ფეხი და შესაზანდრეებს ყურს უგდებდენ: ესენი ხომ ძველი დროის ამბებს დამღერდენ საზანდარს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ზოგჯერ თვითონ მოხუცი მსმენელი გამოართმევდა მომღერალს ლექსს და მოხდენილად განაგრძობდა. ახალგაზდები თავზე დადგომოდენ მამებს და ყურს უგდებდენ. იყო მხიარული დროსგატარება დღეობითა და ყურძნის წვენით შემთვრალი ხალხისა...

— აბა, ბიჭებო, ბურთი გევისროლოთ! — დაიძახა ვიღაცამ.

— გევისროლოთ, გევისროლოთ! — და შეიქნა ბზადება. ჩოხებიდან და წულებიდან თავი გაინთავისუფლეს, ახალუხის კალთები წელზე შემოირტყეს, ზოგმა კიდევ ისიც გაიძრო და პერანგის-ამარა დარჩა, ნარვალი დაიკაპიწეს და დადგენ.

— კნიაზო, გეიძვრე მა მესტები, თვარა ხელს შეგიშლის, მე და ჩემმა ღმერთმა, - წაგისრიალდება ფეხი და დეეცემი — უთხრა კოწია მარუშიძეს ილიკო ჭიჭაღუამ.

— თქვენისთანა ვაჟკაცებთან ასეც ვივარგებ, — უპასუხა დაცინვით კოწიამ, რომელსაც მარტო ჩოხა გაეძრო.

— არ დაგავიწყდეს აბა, არ ინანო მერე! — გადაუსროლა ჭიჭაღუამ იმავე კილოთი.

ამ დროს სამოცდაათი წლის მოხუცი გიორგი მარუშიძე, რომელსაც არაჩვეულებრივი სიმაღლისა და მოყვანილობისათვის გიორგი მაღალს ეძახდენ და რომელსაც ხონში და მის გარშემო სოფლებში ჯარიანობის დროს ბურთის პირველ გასროლას ანდობდენ, მინდორის შუაგულში დადგა და მაღალი ხმით დაიძახა: «მარუშიძეებს, ავალიანებს, ადამიძეებს, ჭუბაბრიებს და გოგოლაშვილებს ნახახულევისაკენ გააქვთ ლელო, — სულაბერიძეებს, ჯალაღანიებს, ტურძულაძეებს, ჭიჭაღუებს და ლოლუებს ხონისაკენ. სტუმრები მასინძლებს ეხმარებიენ,» სთქვა მოხუცმა და მძიმე ბურთი მაღლა ჰაერში აისროლა.

გაიშალა ხალხი და ისევ შეჯგუფდა... «არიქა, ბიჭებო», მოისმა იმ წამსვე ხმა — ბურთი ილიკო ჭიჭაღუამ ჩაიგდო ხელში. «არ გოუშვათ»... და მთელი ხალხი მას დაედევნა... «ვერ წამიხვალ, ჭიჭაღუა», მიაძახა კოწია მარუშიძემ და გადაუდგა, დაეტაკა, ბურთს სწვდა... «შეიკრა ბურთი»... «ჯაჯანა მაცალე, შენ ილიკოს ბურთს ვერ წაართმევ, — შენ გარედან დოუხვდი, თვარა გაგვექცევა»... მთელი ხალხი ყვირილით თავზე დააწვა ბურთით ხელში ქვემოქცეულ ილიკო ჭიჭაღუას. «კოწიას აქ, კოწიას ბურთი, არ გოუშვათ»... — «ვარდენ, ერთი აქედან მიაწევი ხალხს», იყვირა ჭიჭაღუამ... ხალხი შეიძრა ერთიანად .. გაიშალა... ილიკო ბურთით ხელში გამალებული ლელოსკენ გარბოდა... მას ცოტა მოშორებით, გაჭირვების დროს დასახმარებლად, ვარდენი და სხვა რამოდენიმე გამოცდილი ბურთის მოთამაშე მისდევდა. ჭიჭაღუა განთქმული იყო, როგორც განსაკუთრებულად გამოცდილი, ფეხმარდი და მოუნილი ბურთის მოთამაშე. და მოწინააღმდეგე მხარიდანაც მას ამიტომ საუკეთესონი დაედევნენ: კოწ. მარუშიძე, მაღალი და წვრილი ჯაჯანა ავალიანი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პატარა და მაგარი მინა ადამიძე. ბოლოს ოთხი კაცი დაწინაურდა: ილიკო, ვარდენი, კოწია და ავალიანი... ყველა ცქერადაა გადაქცეული. მოხუცებულებსაც კი მიუტოვებიათ საზანდარი და ყალიონის წევით, შესაფერი შენიშვნებით ადევნებენ თვალს ბურთაობის მსვლელობას. «ჰო, ჰო, ჰო, ჰო, ძაან არ გარბის ე სახკარ დასაქცევი» — გეიტანს ილიკო ლელოს, — «ვერ წოუვა კოწიას და ჯაჯანას». — იიმე, სირბინში ჯაჯანეი რავა აჯობებს ილიკოს, — «ფა, ფა, ფა, ფა,» — გონია დეეწეევიან,— «უყურე, უყურე, არიქა, დეეწია კოწიე», — უშველეთ, თვარა წაართმეენ ილიკოს ბურთს, — «შეიკრა ისევ ბურთი», ჯერ ორში, მერე ოთხში სანამ სხვები მიეშველებოდენ, კოწიაჟ გამოსტაცა ბურთი ჭიჭაღუას და ვარდენს და იბრუნა პირი თავის ლელოსაკენ. — არიქა, ბიჭებო, დოუხდით, თვარა გეიტანა ბურთი! — იყვირა ხალხმა. «მაგის დამწეევი აქ აღარავინ არი», ამბობს ერთი მოხუცი, ძველად განთქმული ბურთის მოთამაშე- — მეტი არაა შენი მტერი... — გარბის მიფრინავს მარუშიძე... «ბიჭოს, ეს რა ამბავია?» შესძახა ხალხმა... აგერ დაწინაურდა ერთი და დიდი მონდომებით გამოუდგა კოწიას, მალე ორ მოწინააღმდეგეს მხოლოდ რამოდენიმე ნაბიჯი აშორებდა. — ვინაა ეს ახალგაზდა, ასე უბედურათ რო გარბის? — ვარდენია, ვარდენი, ჰო. ჰო, ჰო, ჰო, შენ კი გენაცვალე. ბიჭო, არიქა, ვარდენ, არ გოუშვა, — უყვირიან მას ყოველი მხრიდან. მისდევს ვარდენი მარუშიძეს, მისდევს ისეთი ძალით, რომ მაყურებელს ჰგონია, მის ფეხებს სიმარდე და გამძლეობა ყოველ გადახტომაზე ემატებაო. «დეეწია, დეეწია, ჰო, ჰო, ჰო, ჰო, დეეტაკა», ილრიალა ხალხმა... გაუთანასწორდა სულაბერიძე მარუშიძეს და შეუტია ბურთის წასართმევად... კოწიას ბურთი მარჯვენა ხელში ეჭირა, მარცხენით მოწინააღმდეგეს იგერიებდა.

— ჰაიტ, სულაბერიძე, შენც არ მომიკვდე, შენ მე ვერ დამაკავო! — ეძგერა ვარდენი. მოხვდა ღონიერი ხელი მკერდში, დაიხია.. მეორედ, მესამედ, მეოთხედ... ხალხი ორივეს ამხნევებს: «არიქა, ვარდენ. არ მეეშვა», — მოუმატე. კოწია, ფეხს, მოუმატე! — და უკანასკნელი ძალით ეძგერა ვარდენი მოპირდაპირეს; კოწიამ ისევ მარცხენა ხელი მიაგება, თავი გაინთავისუფლა, მაგრამ წუღიანი ფეხი მოლზე გაუსრიალდა და ისეთი სიძლიერით დაეცა, რომ ბურთი ხელიდან გაუვარდა. თვალის დახამხამებაზე მარუშიძე წამოხტა, მაგრამ უკვე გვიან იყო: ვარდენი უკვე დაწინაურებულიყო, მას სულ ახლო ილიკო და მისი მეგობრები მისდევდენ მომხდურების მოსაგერიებლად... სულაბერიძემ კოხტა მოქნევით ბურთი ლელოზე მიაგდო... — ჰო-ო-ო-ო... — იგრიალა ხალხმა. — ეს ძალიან ლელო გაიტანა ვარდენმა, ყოჩაღ —

— თუ ბიჭი ვყოფილვარ, არ შეგარჩენ მაგას, — უფრო გულმოსული და ნაწყენი კილოთი გადაუძახა კოწიამ ვარდენს და ილიკოს, რომელნიც ნელი ნაბიჯით უკან ბრუნდებოდენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ხო გითხარი, თავადო, მესტები გეიხადე-თქვა — სიცილით უპასუხა ილიკომ. ვარდენმა ხმა არ გასცა. მარუშიძემ პაპიროზს მოუკიდა და აღელვებით დაიწყო წევა.

გაოფლიანებული და დაღალული მოთამაშეები ჩაცმას შეუდგენ. კიდევ ახმაურდა ონჭკურა. მოისმა ისევ საზანდარის და სიმღერის ხმა, მუზიკა-დაირა და ტაში.

— ძაან არ ითამაშა, კაცო, ვარდენმა, ასთე კარგათ მაგას ბურთი ჯერ არ უთამაშია. მაგი დღეს ილიკოსაც ჯობდა, კოწიასაც და ჯაჯანასაც — ეუბნებოდა ერთი ახალგაზდა მეორეს.

— ხანდახან მოუვა კაცს. დღეს მაინც ვარდენი ძაან მონდომებით თამაშობდა. ძაან ქე ეწყინა კოწიას. რა ექნა თვარა..

მზე ჩავიდა. მშვენიერი საამური საღამო დადგა. ეკლესიაზე ლოცვისათვის ზარები ჩამოჰკრეს. მოხუცებულები ზე წამოდგენ და თავზე ქუდის მოხდით პირჯვარი გადაიწერეს: — ღმერთო, შენ ხარ ჩვენი მოწყალეო. — ბევრი დაიძრა ადგილიდან: ზოგი სალოცავად წავიდა, ზოგი კიდევ სახლისაკენ. მუსიკა-დაირის ხმა ჯერ კიდევ მაინც ისმოდა. ახალგაზდობა განაგრძობდა მხიარულ დროსტარებას.

— ვარდენ, წევიდეთ, ბაბა, აწი ჩვენც სახლში. — მიმართა შვილს კმაყოფილი სახით ბასიამ.

— ერთი ალიბოს მოვნახავ აგერ და წევიდეთ, მამაჩემო, ილიკოც აპირებს წამოსვლას, — უპასუხა ვარდენმა და წავიდა მოცეკვავე ჯგუფისაკენ, სადაც მეუღლე ეგულებოდა.

— აქ დიდი მხიარულება იყო, დიდი ხმაური. მიუხედავად დაღლილობისა, ახალგაზდობა იმდენად გართულიყო, რომ დაშლაზე და სახლში წასვლაზე არავინ ფიქრობდა; ხუმრობა-სიცილი, საცეკვაოდ გაწვევა, მორცხვად თვალის თვალში გაყრა და დიდრონი ვაშლებით ბურთაობა ვერ აშორებდა იქ მყოფთ ერთმანეთს. ქალების ერთ პატარა წრეში კოწია მარუშიძე შეჭრილიყო და რაღაცას უყვებოდა მათ. მან რო ვარდენი დაინახა, მოსცილდა უცებ ქალებს, ჩქარი ნაბიჯით მივიდა ალიბოსთან, რომელიც იქვე ახლო იდგა და სიცილით რაღაც წარჩურჩულა. ახალგაზდა ქალი მიტრიალდა, ქმრისაკენ გაიხედა, გაწითლდა და ისევ თავის ტოლ-ამხანაგებში შერევა დაეპირა. ვარდენი გაფითრდა, გაშრა: მარუშიძე იქვე მდგომ ადამიძე-ავალიანების ჯგუფს შეუერთდა.

— ალიბო, არ წევიდეთ აწი სახში?

— წევიდეთ, — დაბნევით უპასუხა ცოლმა ქმარს და უნებლიეთ კოწიასკენ გაიხედა.

— გაეუნებულა. ვინ გახუნებულა? რავა არ იცი, შე კაცო, ვინ გახუნებულა, ის გახუნებულა, ქე რო იცი; — მოესმა ვარდენს. — «ლამაზ ქალის კოცნა მიყვარს»... ჩაამღერა მარუშიძემ. ვარდენი აენთო და მობრუნდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— რას იხედები, ვარდენ-ჯან, ვერ გვიცანი, თუ ჩვენი ფართრეთი არ მოგწონს!? —გადმოუძახა მას ერთ-ერთმა მარუშიძის ჯარუფიდან.

— გეიარე, გეიარე და მარჯვეთ იყავი, იცოდე, გზაზე არაფელი დეგეკარგოს, — დაუმატა სლავენ ადამიძემ.

— წავალ თუ დავრჩები, ეს თქვენი საქმე არ არი. მე თქვენთვის არაფელი დამიშავებია და გეხვეწებით თავი დამანებეთ, — თავშეკავებით უპასუხა მათ ვარდენმა.

— წადი, ჩემო ძამია, გეიარე შენ გზაზე; რა გაქ აქანა ჩვენთან სალაპარაკო, — მიაძახა მას ალექსია ადამიძემაც.

— მამა ჩემსა აქ ცხონება, უკეთესი იქნება შენ ოჯახში დაჯდებოდე და იმას მოუარდე, თვარა ხო იცი, ულელ ახდილი საქონელი ტყეს ეჩვევაო, — წამოისროლა სლავენ ადამიძემ გვერდზე გახედვით.

— რას ჩურჩუტობ ერთი შენ, სლავენ, რა დოუფიქრებელი ლაპარაკი იცი — შეუყვირა ყურებამდე გაწითლებულმა მარუშიძემ თავის მეგობარს, — შენ კი მოგვცილდი აქიდან, ჩვენთან შენ არაფელი გაქ საქებარი! — ვარდენმა, რომელსაც ფერი სრულებით დაჰკარგოდა, რამოდენიმე ნაბიჯი მტკიცედ გადადგა...

— მე თქვენ კიდო გეხვეწებით, დამანებეთ თავი. რა დაგრჩენია სლავენ ადამიძე, შე უნამუსო, ჩემ ოჯახში, — იყვირა უცებ გონება-დაკარგულივით ვარდენმა, — პატივისცემის გარდა, რა მიგიღიათ, თქვე უმადურებო, ჩემსას! —

— მე შენ გეუნები, მოგვცილდი აქიდან, თვარა აგილესავ, თუ ბიჭი ვყოფილვარ, ყურძირს — შეუტია მარუშიძემ.

— ყურძირი ასალესი სახში გეყოლება .. შეგირცხვეს ვაშკაცობა, თუ არ შეასრულო მა შენი დაქადნება! — უპასუხა მოთმინებიდან გამოსულმა ვარდენმა და რამოდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია.

კოწია გაიწია მისკენ, მაგრამ ამ დროს ადამიძეები და სხვა მისი მეგობრები, რომელნიც, ეტყობოდა. მდგომარეობის ასეთ გამწვავებას არ ელოდენ და ხედავდენ, რომ ვარდენის სახის გამომეტყველება კარგს არაფერს მოასწავებდა, შემოეხვიენენ მარუშიძეს. «კოწია, დაანებე თავი მა ციგანს», «მაგაზე ხელს რავა გეისვრი», «არ იცი მა კატის კნუტის ანბავი?»

— გამოუშვით ერთი მა ნაგაზი, ვნახოთ ერთი რა ვაშკაცია! თქვენც მოდით, თქვენ ქვეყნის მათხოვრებო! — ყვიროდა ვარდენი საშინელი ხმით. უცებ კოწიამ თავი გაინთავისუფლა და შურდულივით გაექანა მისკენ. ვარდენმა ხელი ჯიბისკენ წაიღო. სანამ ის თხელი შარვლის ჯიბიდან ხელს ამოიღებდა, მარუშიძე მივარდა და სილის გარტყმა მოასწრო... ეფხიერით გადახტა გვერდზე ვარდენი... ორჯერ ზედიზედ გავარდა რევოლვერი... ორივე ხელი იტაცა კოწიამ გულზე, ერთ წუთს გაქვავდა, მერმე ხელები ჩამოუვარდა და მოსხლეტით მიწაზე დაეცა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს ამბავი ისე მოულოდნელად, ისე უცბად მოხდა, რომ მას მხოლოდ რევოლვერის გავარდნის შემდეგ მიაქცია ხალხმა ყურადღება. მთელი ჯარი ამ ადგილს მოაწყდა. შეიქნა ყვირილი: — კოწია მარუშიძე მოკლეს, არ გოუშვათ! ქალების წივილ-კივილმა დაჰფარა ყველაფერი. ვარდენს იმ წამსვე მისი მეგობრები შემოესიენ. ის, მარჯვენა ხელში სატევარით, მარცხენაში რევოლვერით, ხეს მიყრდნობოდა და გიჟივით გაიძახოდა: — არ მემეკაროთ არავინ, არ დაგზოგავთ არავის იცოდეთ. სლავენ ადამიძემ და ჯაჯანა ავალიანმა უნდა გამილანძღოს ოჯახი? მოდით თქვენი... და ვარდენს ისეთი გინების სიტყვები წამოცდა, რომელნიც მისგან არასდროს არავის გაუგონია.

— ვარდენ, ძმაო, დაწყნარდი, ვინაა, რო გაგიბედავს რამეს, აგერ არა ვარ შენთან? რაც მოხდა, მოხდა. — ამშვიდებდა ძმობილს ილიკო ჭიჭალუა.

— მომშორდი, არ მემეკარო. - განაგრძობდა ვარდენი, რომელსაც თვალები სულ ამღვრეოდა და სახე დაპრანჭოდა.

— ერთი სტრაჟნიკი არ არი აქანე სადმე? როცა გინდა ვერც პრისტავს ნახავ, ვერც მამასახლისს და ვერც სტრაჟნიკს. მე რო ვიყო დასაჭირავი, პრისტავი კარა უეზნაჩალნიკიც აქანე იქნებოდა ახლა— სთქვა სლავენ ადამიძემ, რომელიც თავის მეგობრებთან ერთად მოსცილებოდენ იმ ადგილს, სადაც მკვლელობა მოხდა და გალავანის გარედ დამდგარიყვენ

— წევიდეთ, კაცო, აქედან, რამე ხლაფორთში არ გევებეთ, - ცოტა დარცხვენით სთქვა სეფემ.

— გევებეთ რა, ჩვენ კი არ მოგვიკლავს კაცი. მევიცადოთ პეტერე, მიწყნარდება ყველაფერი და მერე მიცვალებული უნდა გადავასვენოთ ჯერ ახლო სადმე და მერე სახლში უნდა წავასვენოთ, აბა, ჩემო სეფე, რავა გინდა, ადამიანია, ძაღლი ხო არ არი, რო მივატიოთ აქანე! — უპასუხა სლავენმა.

— შვილო, ბაბა, ვარდენ! არ წევიდეთ, ბაბა, აწი სახლში?! მე ვარ მამაშენი ბასიე. რა ვქნათ, შვილო, კაცს რა არ მოუვა! ასთე უნდოდა ალბათ ღმერთს და ასთე მოხდა. წევიდეთ, ვარდენ, ილიკოც ქე წამუა აგერ, წევიდეთ, თვარა დედა-შენი გადეირევა.

ვარდენი გაშტერებით მიაჩერდა მამა-მისს, მერე რაღაც ერთბაშად მოიკეცა, იარაღი ხელიდან გაუვარდა და ბავშივით აქვითინდა.

— რა ვუყოთ, ბაბა, კაცს მაგისთანა მოუვა?! — იმეორებდა უაზროდ, გაუბედურებული მოხუცი.

— ილიკო, ალიბო მომინახე ერთი!

გამშრალი, გაფითრებული, გაქვავებულივით იდგა იქვე ახლო, ხალხით დაფარული, სულაბერიძის რძალი და უსიცოცხლო თვალებით ერთ წერტილს მისჩერებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცბად ვარდენი წელში გაიმართა, გასწორდა, შეიხედ-მოიხედა, მოკლულს გადახედა და დამშვიდებული ხმით წარმოსთქვა: «წავიდეთ!»

— დამდუპე, შვილო, დამიკარგე შენი თავი დასანახავად! — შეხვდა შვილს მოთქმით მაკრინე, რომლისათვისაც დედაკაცებს უკვე მოე სწროთ ამბავის მოტანა.

—შე არ გადასარჩენო, შენ კიდო ბედავ სახლში მოსვლას, რატო არ გასქდება დედამიწა და არ ჩაგიტანს თან, შე ოჯახის დამაქცევარო! — სასოწარკვეთილი ხმით მიაყვირა მან რძალს.

— კაი ერთი, მაკრინე, დაწყნარდი, დედა-შვილობას, — შეეცადა მის დაწყნარებას ილიკო, — მაგას რას ერჩი!

— რა დამაწყნარებს, დედა, ერთად-ერთი შვილი მეკარგება და მეთუთქება გული.

— კაი დედა-ჩემო, ნუ იკლავ თავს, თუ გიყვარდე, რაც მოხთა, მოხთა, საქმეს გამოსწორება უნდა, — სთქვა ვარდენმა და სახლში შევიდა.

მამაკაცები შუაცეცხლს შემოუსხდენ. მაკრინე ტახტზე ჩამოჯდა, ცრემლიან თვალებს შვილს არ აშორებდა და თავს იკავებდა. ალიბო გულზე ხელ დაკრეფით კუთხეში გაქვავებულიყო. კარდალაში ღომი ჩუხჩუხებდა, კვცზე მჭადი ფიცხდებოდა. უკვე კარგად ბნელოდა, მაგრამ სანათს არავინ ანთებდა, იყო საშანელი მძიმე სიჩუმე. ბასია ყალიონს სწევდა. ორი ახალგაზდა ცეცხლს ჩასჩერებოდა. ყველა ვიღასაც ელოდა, და ამ «ვიღაცა»-ზე ლაპარაკს ყველა გაურბოდა, მასზე ფიქრისაც ეშინოდა.

— კაცო, გადარაზე ერთი კარი! — დაარღვია სიჩუმე მაკრინემ.

ბასია წამოდგა და სწრაფად კარი გადაჰკეტა. კიდევ ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა.

— ნეტეი მალე გათენდებოდეს! — ამოიკვნესა კიდევ მაკრინემ.

— ვარდენ, გადაიმალე სადმე — მიმართა უცებ ილიკომ მეგობარს, რომელმაც ამაზე გაღიმებით უპასუხა.

— დევიმალო რა, ყაჩაღი ხო არა ვარ! შენ რავა მეუნები მაგას მაინც, ილიკო?

— კაი უნდა, დედა, შენთვის და იმიტომ გეუნება, — ჩაერია დედა. იმედი დაებადა მშობელს, ილიკომ გადასარჩენი გზა იპოვა ვარდენისთვისო. — ილიკომ არაფერი სთქვა.

ისევ სიჩუმე, კიდევ უფრო ხანგრძლივი, კიდევ უფრო მტანჯავი, ჩამოვარდა. ბასია ყალიონს სწევს, ვარდენი და ილიკო მბეუტავ ცეცხლს ჩასჩერებიან, მაკრინე ტახტზე ზის, შვილს თვალს არ აშორებს, გა მწარებული; ალიბო კუთხეში სდგას გაშეშებული, გულზე ხელდაკრეფილი, განმარტოებული. სახლში სიბნელეა, შუაცეცხლით ოდნავ გარღვეული. ყველა მოლოდინშია, საშინელ მოლოდინში. შორიდან ოდნავი ხმაური მოისმა... უფრო ახლო... ხმები: — ლაპარაკის, ცხენის ფრუტუნის, ფეხის...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— დავწვეთ, დავწვეთ აწი, დროა!.. ვარდენ, შვილო, არ გეძინებ-ბა?!.. წამოიყვირა მაკრინემ და ზე-წამოვარდა თავდავიწყებით.

— რა დროს დაწოლაა, დედა-ჩემო! — ვერ ყუროფ ჩემ წასაყვანათ რო შევიდენ?!.. უპასუხა მშვიდათ ვარდენმა. ყველა ზე წამოდგა.

6

— ბასია, ერთი გააღე კარი, თუ კაცი ხარ! — დაიძახა ვილამაც გარედან.

— ვინ ბრძანდები?!..

— იასაული! — სთქვა ხმადაბლა ილიკომ.

— კნიაზი მობძანდა აგერ და!..

ბასიამ ხელების კანკალით გააღო კარები. სახლში შევიდა მაღალი, ტანადი 45 - 50წლის კაცი. სათნოიანი, ფართო კეთილი სახე, ოდნავ ჭაღარა ნარევ წაბლისფერ წვერ-ულვაშით და დიდრონი თაფლისფერი თვალებით, განსაკუთრებულ ელფერს აძლევდენ მის ახოვანებას. ტანზე თეთრი სამხედრო «კიტელი» ეცვა, თავზე «კარტუზიანი» ქუდი ეხურა. ეს იყო ხონის რაიონის პრისტავი ავქსენტი ფაღავა,რომელსაც ყველა წრეებში არაჩვეულებრივი პატივისცემა და ნდობა ჰქონდა დამსახურებული მისი პირდაპირი ხასიათისა და პატიოსნებისათვის. მთელ საპრისტაოში უმრავლესობას თითქმის პირადათ იცნობდა. გაჭირვების დროს მასთან ბევრი მირბოდა რჩევისათვის და «კნიაზ ავქსენტისაც» როგორც, მას ეძახდენ ყოველთვის მზად ჰქონდა ყველასათვის კეთილი სიტყვა და წრფელი დარიგება. ამიტომ იყო, რომ მას არა თუ ნდობით მარტო, არამედ სიყვარულით ეპყრობოდა ყველა, ვინც მას იცნობდა.

მკვლელობის ამბავი რომ გაეგო, თვითონ შემჯდარიყო ცხენზე დაუყონებლივ, გამოეყოლებია მხოლოდ ორი სტრაჟნიკი და წამოსულა სამარუშიძეოსაკენ. პრისტავმა შემოსვლისთანავე მოიხადა ქუდი და იქ მყოფებს თავაზიანად მიესალმა.

— როგორ დაგიბნელებიათ აქაურობა, გაანათეთ ერთი, რომ დაგინახოთ ყველა კარგად! — გამამხნევებელი ხმით მიმართა მან მასპინძლებს. აბა ბასია! რა მოგივიდა, ვარდენ, კაცო? შენგან ყველაფერს მოველოდი, მაგრამ კაცის მკვლელი რომ გახდებოდი, ამას კი ვერ ვიფიქრებდი. სად შენ და ბოროტება, ვინმეს გალანძღვა, შეურაცყოფა, მით უმეტეს კაცის მოკვლა, -- სთქვა პრისტავმა მშვიდი, ლმობიერი ხმით და ახალგაზდა კაცთან ახლო მივიდა. ვარდენს ცრემლები მოადგა ყელში, მაგრამ თავი შეიკავა და პირდაპირი შეხედვით უთხრა:

— რა ვქნა, ბატონო, თავს არ ვიმარჯლებ, ასთე მომივიდა, ვერ მოვითმინე, კნიაზო, ოჯახის გალანძღვა.

მაკრინეს, რომელიც აქამდე ვერ გამორკვეულიყო და ტახტთან გაშეშებულიყო, ეხლა ცრემლები მოერია და ჩუმად ტირილი დაიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბასია გამშრალი იდგა შვილის გვერდით და პრისტავს თვალს არ აშორებდა. ავქსენტი ფ-ვამ თანაგრძნობით დაადვა ვარდენს ხელი მხარზე და უთხრა:

— ვერ მომიყობი როგორ მოხდა ეს ამბავი? თუ ეხლა არ შეგიძლია, იქნება დაღალული ხარ, მაშინ ხვალ ჩამოგვართმევ ჩვენებას ხოწში.

— მოგახსენებ, ბატონო. ძალიან დაბნეული კი გახდი, მარა გონია არაფერი დამავიწყდეს, -- უპასუხა ვარდენმა და ყველაფერი დაწვრილებით და სიმართლით უამბო. ის ადგილი, რომელიც ოჯახს შეეხებოდა ისეთი სიფაქიზით მოხაზა, რომ დინჯი ავქსენტი ფ-ვას ვარდენის უბე დურების ამბავი თვალწინ ნათლად წარმოუდგა... კარგა ხნით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა...

— ჰმ! დაარღვია მან ბოლოს სიჩუმე, — ეხლავე უნდა წამომყვე, ჩემო ვარდენ! იარაღი თუ გაქვს, უნდა მომცე! — ფეხზე წამოდგა. — ება გამოეთხოვე მშობლებს და მეუღლეს!

— კი ბატონო! უპასუხა ვარდენმა, გაიმართა, სარტყელი გაისწორა, გაფითრებული სახე ცოლისაკენ მიიბრუნა და აღელვებული ხმის კანკალით უთხრა: — ალიბო, ამგენს ქე მაინც მოუარე, რავარც ეკადრებათ ისეთ! ილიკო, შენი იმედი მაქ, შენ იცი აბა! — მეგობარმა მეგობარს ხელი მაგრად ჩამოართვა, გადაკოცნა და, ცრემლმორეულმა, პირი კედლისაკენ მიიბრუნა... ალიბო არ ინძრეოდა... მაკრინეს, სახე გაყვილებულს, ორივე ხელი პირთან მიეტანა და ხან პრისტავს შეხედავდა, ხან შვილს...

—კნიაზო, მართმევ შვილს? -მოისმა უცებ საშინელი გულსაკლავი ხმა, რომელიც ავქსენტი ფ—ვას გულის სიღრმემდი ჩასწვდა და ტანში ცრუანტელმა დაურა. ბასიას ორივე ხელი მისკენ გაეშვირა, თითქო მისგან ელის შველასო.

— არ დაგვღუპო, ბატონო, არ წეიყვანო ჩვენი ერთადერთი შვილი, მაგია ჩვენი იმედი, ჩვენი მარჩენალი, მაგის მეტი ჩვენ არაფერი გაგვაჩნია! — იყვირა მაკრინემ და პრისტავს ფეხებში ჩაუვარდა. მან სასოწარკვეთილი დედა წამოაყენა, დაჯინა და მეტად დამაწყნარებელი ხმით უთხრა: — დაწყნარდი, ქალო, ხომ იცი, რომ შენ შვილზე ცუდს არაფერს წარვადგენ. განა მე არ ვიცი, თუ რა ძნელია დედისთვის შვილის ასეთი უბედურება? მარა რას იზამ, ჯერჯერობით ბედს უნდა დაემორჩილო და იმედი არ უნდა დაკარგო, ღმერთია მოწყალე!

— დედა-ჩემო, ნუ აწუხებ კნიაზს! ნუ გეშინია, ასე ადვილად არ დევიკარგები, სამართალი კიდოა ქვეყანაზე; ჩემ მოსვლამდი შვილობას აგერ ილიკო გაგიწევს. აბა, თქვენ იცით, ყოჩაღათ იყავით, — და შვილი გადაეხვია მშობლებს... კარებთან რო მივიდა, უცბად მოტრიალდა, თითქო რაღაც დაავიწყდაო, ჩქარი ნაბიჯით მივიდა ცოლთან, შუბლზე აკოცა, მობრუნდა და თითქმის სირბილით გავიდა გარეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა წევიდეთ, ბატონო, მე მზად გახლავარ!...

ლამის წყვდიადმა მალე შთანთქა ისინი. ვარდენი ხონის «ნაობახტში ჩასაგდებათ» მიჰყავდათ. ცხენების თქარა-თქური ისმოდა შორიდან... ისიც შესწყდა... დიდ ხანს იდგენ ეზოში ბასია, მაკრინე და ილიკო ცრემლებ-გამშრალი, მწარე ფიქრებში წასული, და სიბნელეში იქეთ გასცქეროდენ, სადაც მათთვის ძვირფასი ადამიანი ეგულებოდათ: შვილი და მეგობარი... სახლიდან მწარე კვნესა და გულამოსკვნილი ტირილი მოისმა მარტოდ დარჩენილ ახალგაზდა ქალისა...

იყო მშვენიერი ღამე, ოდნავ უბერავდა გრილი სიო. გვიან მთვარეს ცის კიდეზე თავი ამოეყო და მხიარული, ჯერ კიდევ ყვითელი საათი, იღიმებოდა, თითქოს დასცინის დედამიწას მის სიბნელისათვის, რომელსაც მალე მისი სინათლე განფანტავს-ო. — შევიდეთ, შევიდეთ აწი სახლში, — სთქვა ილიკომ... მარტოდ დარჩენილი ქალის გულამოჯდარი ტირილი და კვნესა კვლავ ისმოდა...

პრისტავს ნელი ნაბიჯით მიჰყავდა ცხენი. ვარდენი და სტრაქნიკები დაწინაურებულიყვენ. ღამის სიჩუმეს და მყუდროებას მხოლოდ მდინარის წყნარი ჩუხჩუხი და ცხენის ფეხის ხმა არღვევდა. მძიმე ფიქრებში იყო გართული ავქსენტი ფ—ვა: აგერ ოჯახი იღუპება, მას ერთად-ერთი შვილი ეკარგება, მისი იმედი, მომავალი. სიკვდილით შეიძლება არ დასაჯონ ვარდენი, დაჰკარგონ, გადაასახლონ, მაგრამ დედმამისათვის ის ხომ მაინც დაკარგულია. მერე ცუდი ადამიანი მაინც იყოს,-- პირიქით: დინჯი, ჭკუიანი, პატიოსანი კაცია. განა არ იცნობს? რამდენჯერ ჰყავს გამოცდილი! კაცი შემოაკვდა ოჯახის სიწმინდის დასაცავად; განა სხვა მოითმენდა? არა. ვისაც ოჯახი არ უყვარს, იმას საზოგადოთ არავის სიყვარული არ შეუძლია: თავისი თავის, საზოგადოების, ახლობლების, ადამიანის... ახალგაზდა ლამაზი ქალი, მარტოდ ოჯახში, ვარდენი ფულის საშოვრად გადავარდნილი და აქ კოწია მარუშიძე თვალწარბტაცი ყმაწვილი; მუდამ მოქეიფე, მოცეკვავე, მოსიმღერე, უსაქმო. შეურაცყოფა მეტია მიყენებული, ვიდრე ამას ვარდენი ამბობს. და მას ეხლა ეს ახალგაზდა, მომავლის იმედით სავსე, დაჭერილი მიჰყავს. რატომ? რისთვის? რა მისი საქმეა ასეთი სამსახური, რომელიც უაზრო, მეჭრთამე, უგულო კარიერისტს უფრო შეეფერება... მაგრამ რას იზამ, — ასეთია ბედი იმ წოდების. რომელსაც თვითონაც ეკუთვნის: შრომისუნარ-მოკლებული, სწავლის არ-მდომი, დაღარიბებული, ცხოვრებისათვის მოუმზადებელი მისი შვილები ან წვრილ ჩინოვნიკებად მიდიან, ან ჩოხას იცვამენ და ქუთაისის ბულვარში აღამებენ და რესტორანებში ათენებენ... რა იქნებოდა თვითონ, სამსახურში რომ არ შესულიყო? გიმნაზიის მეხუთე თუ მეექვსე კლასიდან გამოსული? ერთი კი შეუძლია თამამად სთქვას: სამსახურში სინიდისი არ დაუკარგავს და ადამიანობა არ გაუყიდია... შვილებისათვის კი უნდოდა ეს გზა აეცდნია, ასწავლა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ასწავლის. მერე? ერთი გასათხოვარი ქალი ეხლა ხან დაასაფლავა, მეორე — უფროსი ვაჟი დაავადმყოფებულია... გადარჩება? მისი ბედი რომ იცის, — არა. მესამე, ვაჟი რუსეთშია გადაკარგული... მეოთხე, მისი პატარა, ბუნჩულა გოგიტა, ღმერთო შენით! კარგად არის... მოესწრება მის დავაჟკაცებას? დატანჯული ადამიანი რომ არის, ალბად იმიტომ ესმის სხვისი უბედურება. რით შესცოდა ღმერთს? ცუდი რომ არავისათვის დაუშავებია? რით არის ბასია მასზე უბედური? ვარდენს შეიძლება ეშველოს რამე; თვითონაც ყოველ ღონეს იხმარს... ეშველება, ეშველება რამე... ამ ფიქრებში იყო გართული ავქსენტი ფ--ვა, და ვერც კი შეემჩნია, რომ ხონში ჩასულიყო და ცხენი უკვე მისი ეზოს ჭიშკრის წინ იდგა... — ღმერთო შენ ხარ მოწყალე, --- წარმოსთქვა პრისტავმა და ჭიშკარი გააღო...

— — —

ბევრი ვერაფერი უშველა ვარდენ სულაბერიძეს ვერც პრისტავის მოხსენებას, ვერც სოფელ სამარუშიძეოს «პრიგოვორმა», ვერც ქუთაისის ცნობილი ვექილის ფ—ას დაცვამ. სასამართლომ მას სამუდამო გადასახლება მიუსაჯა.

გავიდა ამის შემდეგ თვრამეტი წელიწადი... ქუთაისის «ბულვარში» დიდი მიტინგია, ხელისუფლების განკარგულებით მოწვეული. ბაღის შუა ადგილზე აღმართულია ტრიბუნა, რომლიდანაც გრძელწვერა, ხანშესული კაცი ლაპარაკობს და ამტკიცებს: საქართველოში ბოლშევიკები ხალხის სურვილით შემოვიდენო... გაუმარჯოს ოცდახუთ თებერვალსო, გაათავა მოლაპარაკემ. ხალხი სიჩუმით შეხვდა.

ტრიბუნაზე ავიდა ახალხაზდა კაცი: მაღალი, მოსული, ენერგიული სახის, დიდრონი, ღიაფერი ჯკუიანი თვალებით... სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

«ქართველი ხალხის სახელით არ შეუძლიათ, არ აქვთ უფლება ილაპარაკონ მათ, ვინც სწორედ ამ ხალხის მიერ აღმართული დამოუკიდებელი საქართველო დაანგრია რუსეთის ჯარის ხიშტის საშუალებით....

«საქართველოს დამოუკიდებელსა და თავის უფალს გაუმარჯოსო»... დაასრულა ორატორმა. იგრიალა კრებამ. აუწერელი აღფრთოვანება მოედვა ხალხს, რომელმაც «დიდება» იმღერა. «გაუმარჯოს... ძირს მოღალატენი»... ისმოდა ყოველი მხრიდან აღელვებული ძახილი. დაფაცურდენ ჩეკის აგენტები, მაგრამ ვერავინ გაბედა ზღვა-ხალხის ხელის შეხება.

— გოგიტა! ამელამაც იქ უნდა გავათიოთ ღამე. გუშინ რო ვიყავით, ახალი ბინა ჯერ ვერ მოვძებნეთ, — მიმართა ტრიბუნიდან ჩამოსულ ახალგაზდას ერთმა ხანშესულმა კაცმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— არა უშავს, ჩემო ვარდენ, ქუთაისში აწი მაინც ვერ დავრჩებით. აქ ვერაფერი გაგვიბედეს, მაგრამ მაგენი აწი ჩვენ აღარ მოგვასვენებენ. აქ დარჩენა შეუძლებელია! — უპასუხა გოგიტამ.

— შენ უკეთ იცი, — სთქვა ვარდენმა.

— ილიკო სადაა?

— ილიკო გორაზე გავგზავნე: პასუხს ბინაზე მოგვიტანს.

— ძალიან კარგი, ჩემო ვარდენ: ეხლა კი წავიდეთ, ვეამოთ რამე, მთელი დღე არაფერი მიჭამია. ალბად შენც არ გშია ნაკლებად — სთქვა მხიარული ხმით ყმაწვილმა და მეგობარს მკლავი მკლავში გაუყარა... ხალხი ნელა იშლებოდა...

გ ი ო რ გ ი ყ ი ფ ი ა ნ ი

გ რ ძ ნ ო ბ ი ს ძ ა ხ ი ლ ი

ამობრწყინდი ისევ შავ ღრუბლებიდან,
ტიტველ კლდეზე დაბანაობს ლანდები,
გული ტირის, რატომ აღარ მოვიდა,
ამობრწყინდი, ნუღარ დაგვიანდები!

სურვილები შავ შარაზე იშლება,
დგანან განზე გადამჭკნარი გორები!
სული იწვევს, შენსკენ გადმოფრინდება,
გადმოყარე ცეცხლის მეტეორები!

აქ ცრემლები ამოშრეტილ თვალებში,
წამწამიდან წვრილ წვეთებათ ცვინდება;
დღე ილევა ღამის სიმწუხარეში,
და იმედი ყაჩაღივით მცილდება!

საასიკოდ ცა ლურჯად გაფერილი.
სად დავტოვე მტკვარის მწარე დუდუნი,
გზა გათლილი, თეთრად გადაფენილი,
მონავარდე ცისფერ ტრედთა ღუღუნი...

გადაღადრე ღამე ცეცხლის დანებით,
გადახიე ზეცას შავი ღრუბლები,
ქარიშხალით გადმოხეთქილ მხარეში,
ამობრწყინდი! ისევ დაგიბრუნდებით...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ქურული

ნატვრის თვალი

(ნახულ — გაგონილიდან)

— ნაწყვეტები —

სოფელი ობოლაანთ-კარი შუაქართლის ერთ მივარდნილ კუთხეშია გაშენებული; კავკასიონის მთა გრეხილი რაღაც სამიოდე დღის სავალზეა ამ სოფლიდან დაშორებული.

ობოლაანთ-კარი არ არის დიდი სოფელი, — სულ ოციოდე კომლ გლეხს თუ შეადგენს და აზნაურთა ოჯახობანიც რომ მივათვალოთ — მთელი მოსახლეობა ძლივს ოცდახუთ კომლამდე ავა.

სოფელს შუაზედ ჰყოფს ერთი წისქვილის რუ, რომელიც, სულ ცოტა, ხუთ სოფელს მაინც ემსახურება: — ზოგან მხოლოდ მიწების სარწყავად ხმარობენ, ზოგან კი მისი შემწეობით წისქვილებსაც აბრუნებენ. ამ რუს მეტწილად სუფთა და ანკარა წყალი მოაქვს, მაგრამ დაიწყება თუ არა მინდვრად მუშაობა, ან სოფლის გარეთ-უბნისაკენ კალოები დაიმართება, ხსენებული წისქვილის რუც ძალზედ აიმღვრევა ხოლმე, რადგან მთელი სოფლის საქონელი და სოფლის გოგო-ბიჭები მასში ჰპოებენ შვებას და გაგრილებასა. გამუდმებული მუშაობით დაღლილ-დაქანცული ხარ-კამეჩი ამ წყალში კოტრიალით იბრუნებს სულს და იგრილებს ტანსა. გოგო-ბიჭებიც საქონელს ხან ტანზე შეასხდებიან, ხან ხელით ან ნიჩბით წყალს ასხამენ ტანზედ და პირზედ, მათთან ერთად ბანაობენ და არიან ერთ ამბავში.

სწორედ ამ საერთო კოტრიალის დროს, ჩვეულებრივად დამწკნარი წყალი ძალზედ აიმღვრევა ხოლმე. ამიტომ არის, რომ დილა ადრიანად, ახალ გარიჟრაჟზედ, მთელი სოფლის დედაკაცები და გოგოები კოკებით მიეშურებიან რუსკენ, რათა, მანამ სოფელი მუშაობას შეუდგებოდეს, სუფთა, ანკარა წყალი მოიმარაგონ ოჯახებისათვის.

ობოლაანთ-კარს აღმოსავლეთისაკენ, გვერდის პირის ძირში, საკვაოდ მოზრდილი მდინარე ჩამოუდის, სახელად კრიალა-წყალი, რომლის სათავე კავკასიონის მთების კალთებში იკარგება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საოცარი თვისებისაა ეს კრიალა-წყალი: ხან ისე დაიწურება, რომ ზაფხულობით სულ პატარა ტიტლიკანა გოგო-ბიჭებიც კი იბრიყვებენ მას — უშიშრად და შეუპოვრად ბანაობენ შიგა, გალმა-გამოლმა გადი-გამოდიან და ყივილხივილით პუნწკალაობენ.

ხან კი ისე მოდიდდება, რომ თვალმიუწვდენელ სივრცეზედ გაიწევს ხოლმე განზედ და თან ისეთი აზვირთებული მოჰქრის, რომ ადამიანი არამც თუ ფეხდაფეხ ვეღარ შებედავს გალმა გასვლას, არამედ ცხენიანი კაციც წაუქცევია და დაუხჩვია.

ერთხელ ისეთი ადიდებული აწვებოდა მთელ არემარეს, რომ ოთხი ცხენით შებმული ფურგული გადააბრუნა და ბურთივით აატრიალა თავის ტალღებში; რაც იმ ფურგუნზედ რუსის ჯარების ბარგი ედო, თოფი იყო თუ ტყვიაწამალი, სამხედრო ტანისამოსი თუ სხვა რამ, — სულ წყალში ჩაღუპა და თანაც ორი რუსი, ყაზახი დაახრჩო: — ყველა ეს მაზრის ქალაქიდან იყო სასწრაფოდ გაგზავნილი ქართლის სოფლებში «ზეკუციათ» ჩაყენებულ რუსის ჯარებისათვის. მიუხედავათ მისი ასეთი დაუდეგარი ზნისა, კრიალა-წყალი მთელი იმ მაზრის სიამაყე და საყვარელი მდინარეა.

«მაგის მადლს კი ვეთაყვანეთ», ხშირად ამბობენ ობოლაანთ-კარელი გლეხები, «მთელ საქართველოში მას ბადალი არა ყავს; ეს ამოდენა ზღვაწყალი ისე ჩაუდის და უტრიალებს ამოდენა სოფლებს, რომ ერთი წვეთიც არ იკარგება უსარგებლოთა; მთელი ეს თვალუწვდენელი მინდვრები, წისქვილები და სოფლის მოსახლეობა სულ მაგის მადლით იბრუნებს სულსა»-ო.

«ღვთისაგან ნაკურთხი წყალია ჩვენი კრიალა წყალი; იმისი სათავე აი იმ თეთრად შემოსილ მაღალ მთის თაროებშია მიმალული და ,სული კეთილი' შვილდისრით ხელში დღემუდამ დარაჯად უდგია, რომ ავი სული არ მიეპაროს და სათავე არ აგვიმღვრიოს»-ო, იტყვიან ხოლმე სოფლის ბრძენი დედაკაცები და თანაც დაუმატებენ: «მანამ აი ის მთა თეთრად შეიმოსებოდა, ზედ თურმე ამირანი ყოფილა მიჯაჭვული, მდევებისაგან დატანჯული და ნაწვალები; სწორედ იმ ამირანის ცრემლის გუბე გახდა ჩვენი კრიალა წყლის სათავე; წინად წყალი, თურმე, მლაშე ყოფილა, მაგრამ ღვთის მშობელმა დედამ შვიბრალა ქვეყნისათვის დატანჯული ამირანი, გაანთავისუფლა ტყვეობისაგან და ის ცრემლის გუბე ვარდყვავილით მოფინა, წყალი დაატკბო და უშრეტელი გახადა»-ო. «ამიტომ არის ასე გემრიელი ჩვენი კრიალა-წყალიო»-ო, დაასკვნიდენ ობოლაანთ-კარელი დედაბრები.

სოფელ ობოლაანთ-კარს სხვა საამაყო საგანიცა აქვს. ეს არის ძველად-ძველი, ჩუქურთმებით და მაღალი გუმბათით დამშვენებული წმ. გიორგის საყდარი. აღმოსავლეთისაკენ მას მიშენებული აქვს ციხეკენ მაღლა აწოწოლებული, სრულიად რგვალი კოშკი. როგორც კოშკი, ისე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეკლესიაც შიშიანობის დროს სოფლის თავშესაფარ სიმაგრედ იქცეოდა. კოშკს ძირში კარგად მოზრდილი წყარო გამოუდის; ასე რომ შეხიზნულ ხალხს მტერი ვერაფერს აკლებდა. სწორედ ამ კოშკს გამოუთქვა ხალხმა ერთი მოხდენილი ლექსი, რომელიც ასე ბოლოვდება:

«შენ მტერი ვერას დაგაკლებს,
ძირს გამოგიდის წყარო»-!.

საყდრის საკურთხეველის ჩრდილოეთის მხარეს დატანებული აქვს ხვრელი; იმისი არსებობა ნიშანდობლივ ყველამ კი არ იცის; იმ ხვრელში, მტრის შემოსევის დროს, ინახებოდა ძველთა-ძველი საეკლესიო სამკაულები, წიგნები, წმ. გიორგის ნაწილები, თვალმარგალიტები, ოქრო-ვერცხლში ჩასმული ყავარჯნები და სხვა...

როდესაც საქართველოში მშვიდობიანობა ჩამოვარდებოდა, იმ სამკაულებს და წმიდა ნაწილებს საკურთხეველში ტრაპეზზედ ასვენებდენ, ასე რომ, მლოცველი ხალხი წირვა-ლოცვის მოსმენის დროს, სასოებით იხილავდა მათ და მოწიწებით თაყვანსა სცემდა. როგორც ძველადაც ყოფილა, საქართველოს ბევრ ადგილას დღესაც სწამთ, რომ ობოლაანთ-კარის ეკლესიაში სწორედ წმ. გიორგის ნაწილებია შენახული, რომელნიც მრავალ სასწაულს ახდენენო: სნეულს კურნავენ, შეშლილებს გონებას უბრუნებენ, უშვილოს შვილს უჩენენ, და სხვა. ყოველ წლივ; მარიამობისთვეში, ამ სოფელს ერთობ დიდძალი ხალხი ეტანება: ზოგი ურმით, ზოგი ცხენით და, თუ შეთქმული აქვთ, ფეხშიშველაც, თეთრ პერანგში გახვეულები...

მართალი რომ ითქვას, დანამდვილებით არავინ იცის, სად ინახებიან, ნიშანდობლივ, წმ. გიორგის ნაწილები. სოფლის მკითხავ დედაკაცებს რომ დაეჯერეს, ზოგი ობოლაანთ-კარს ასახელებს, ზოგი კიდევ, ამ სოფელზედ ერთი დღის სავალზე დაშორებულ, მთებში მომწყვდეულ ერთ პატარა საყდარს, სადაც თურმე ჩვენი მეფეების დროს მართლაც ინახებოდა ეს ნაწილები, რადგან მტრის მისევის შიში იქ უფრო ნაკლები ყოფილა. მაგრამ ესეც კი მართალია, შიშიანობა რომ გაივლიდა წმ. ნაწილებს ისევ ობოლაანთ-კარში ჩამოასვენებდენ ხოლმე. სწორედ ამიტომაც არის, რომ დანამდვილებით არავინ იცის უკანასკნელ დიდ შიშიანობასას, რომელიც მეფე ერეკლეს მეფობაში ყოფილა, წმ. ნაწილების ერთი ადგილიდან მეორეზედ გადმოტანა მოასწრეს თუ არა? ამ საკითხის გადაწყვეტა მკითხავებზეა დღესაც მიგდებული: — მლოცველებს ზოგი ობოლაანთ-კარში გზავნის, ზოგი კი იმ მთებში მიმწყვდეულ საყდარში. მლოცავებმაც,თავის მხრივ, საკუთარი ზომებიც მიიღეს: რომ მკითხავ დედაკაცების სათამაშოდ არ გამხდარიყვენ და არ მოტყუებულიყვენ — ერთ ღამეს ობოლაანთ-კარის წმ. გიორგის საყდარს უთევდენ და მეორეს — მთაში მივარდნილ სალოცავს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგობა-დღეს დიდძალი მრევლი აწვება სოფ. ობოლაანთ-კარს, რომელიც ამ დღისთვის ნამდვილ სააღებმიცემო ბაზარ ადგილად გადაიქცევა ხოლმე, სადაც სოფლელები იძენენ ოჯახში საჭირო ნივთებს, მუშასაქონელს, ურმის თვლებს, აპეურებს, ტანთსაცმელს, იაფ სამკაულს და ხან წიგნებსაც. თანაც გასაყიდათ გამოაქვთ: ღვინო, გამომცხვარი პური, კვერცხი, გოჭები და სხვა ამისთანები...

ძალიან ბევრში, ეს «ობა» დიდი ზარალის მომტანია მოსახლეობისათვისა-ო, იტყვიან ხალხში. თითო ოჯახიდან «ქუდზედ კაცი» უნდა ამოვიდეს, რომ გასაქირავი დუქნები დამართონ, ტყიდან ხის მასალა მოზიდონ, ქირები დააწესონ, «იჯარების» ამკრეფლები ამოირჩიონ და ათასი სხვა წვრილმანი რამ მოიფიქრონ... ყველაფერი ეს ბევრ დროს აკარგვინებს ობოლაანთ-კარელებს, მეტადრე იმ გაცხარებულ მუშაობის დროს, როდესაც წმ.-გიორგობა მოდის.

მაგრამ, ჩვენში რომ ვსთქვათ, და იმ ანდაზისა არ იყოს, «ფითო ჭირი მარგებელია»-ო, ყველა ამ ამბავს ერთი სიკეთე ის მოსდევს, რომ ხალხი «საერთო» საქმეში ჩაბმას ეჩვევა, ითვისებს საზიარო ფულის მოგროვების და დახარჯვის წესებს, თავისებური ხერხით და უნარიანობით კონტროლის გატარებას, უცხო «ზღვა»-ხალხის მიღება-დახვედრას, ხშირად უწესოების მოსპობასაც, სოფლის დასუფთავებას და სხვა ამისთანას-

რადგან «გიორგობას» რამოდენიმე ათასი სული ხალხი იყრის თავს — სოფელი წინდაწინვე ღებულობს ზომებს, რომ საჭირო მარაგი დამზადებული იყოს, რომელიც საერთო დუქნიდან იყიდება მსურველზედ. მისათვის სოფელს უხდება ბიჭების მთაში გაგზავნა — ცხვრისა, ერბოსი და ყველის საყიდლად.

ამნაირ სოვდაგრობა-ჩარჩობაში ყველაზედ მარჯვედ არჩო ბანძღალაძე იქცეოდა ხოლმე; მას მეტ სახელად «ჩუსტი-ღლეტია»-ს უძახდენ, რადგან მთელ თავის დროს სულ აქეთ-იქით სიარულში ატარებდა და თანაც რაღაცას საქმიანობდა. ამ ხეტიალის დროს არჩუა მართლა საქმესაც აკეთებდა: ხან ღვინის ვაჭარს მოგვრიდა სოფელსა, ან კიდევ ხილის მოიჯარადეს. ამით სოფელსაც არგებდა და თავის თავსაც.

კაცმა მართალი უნდა სთქვას და «ჩუსტიღლეტიობა», Ოტა თუ ბევრად, სხვა მისი მეზობლების სისუსტეც იყო; ეს მათი ამნაირი თვისება მთელ მაზრაშია ცნობილი და როდესაც სადმე ობოლაანთ-კარელებზე ჩამოვარდება ლაპარაკი, უთუოდ დაუმატებენ:

«მართალია, პურმარილიც იციან, სტუმრების მიღება-დახვედრაც, მაგრამ დიდი ,,ყიზილბაში'' ხალხია»-ო. ამ, აზნაურებისაგან ნასესხებ სიტყვით, იმის თქმა უნდათ, ვითომ «იმათ მოტყუილებას ნურავინ დაიკვეხნის»-ო.

მართლაც-და ობოლაანთ-კარელები დიდი თავისებური ხალხია; მოურიდებელნი, Ოტა ამაყნი, ყველას კრიჭაში უდგებიან, სხვისას არ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოინდომებენ, მაგრამ თავისასაც არავის დაანებებენ; არც მთავრობის ხალხს ეპუებიან და არც ბატონის მოურავს. ეს იმათი ამნაირი ლაღობა და «აღვირაწყვეტილობა» შეიძლება იმითაც აიხსნებოდეს, რომ მათ თავის დღეში «ბატონი» არა ჰყოლიათ; იმ-თავითვე სახასო გლეხები იყვნენ და ამიტომ არც დიდი ჩაგვრა გამოუვლიათ, არც მუდამ ბატონთა თვალში ცქერა დასჭირებიათ.

თვით ის აზნაურებიც, რომელნიც ამ სოფელში ბინადრობენ, საკმაოდ კარგ მეზობლურ განწყობილებაში იყვნენ ყოველთვის გლეხობასთან; ამას ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ არც ამ სოფელში და არც სხვაგან, მათ ყმები არა ჰყოლიათ და ამიტომ მათ და გლეხებს შუა არ ყოფილა ისეთი რამ მწარედ მოსაგონარი, რომელიც გლეხში ხშირად ოხვრასთან ერთად შავ ფიქრებსაც იწვევს ხოლმე.

თვით აზნაურიშვილები სასოფლო მეურნეობას ისევე მისდევდენ როგორც ყველა გლეხის ოჯახი: მიწებსაც თვითონ ამუშავებენ, ბაღ—ვენახებსაც თვითონ უვლიან; თუ რომელიმე სამუშაოს საკუთარის ძალით თვითონ ვერ ასწრობდენ დროზედ მოთავებას, — ან მუშას იქირავებენ, ან მეზობლებს მოიშველიებენ. სამაგიეროდ თვითონაც შველოდენ ხოლმე გლეხკაცებს საკუთარის შრომით, ან მუშის მიცემით, როდესაც ეს მბთ დასჭირდებოდათ. ამ რიგად, ერთმანეთის პატივისცემა და კარგი მეზობლობა ადრიდანვე დამყარდა ამ ორ სხვა და სხვა წოდების შორის. გამონაკლისი მხოლოდ ის იყო, რომ აზნაურების ქალები ვერ ახერხებდენ თონეში პურის გამოცხობას. ამ საქმისათვის გლეხის ქალებს მოიწვევდენ ხოლმე, დაწესებული გასამრჯელოს გამოღებით.

არც თუ იმისი თქმა შეიძლება, რომ ყოველთვის ყოფილიყოს სიამ-ტკბილე და თავაზიანობა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, თუ რამე ჩხუბი ან დავა ატყდებოდა — ყველა ეს ჩვეულებრივ მეზობლურ კინკლაობის ფარგლებში ხდებოდა. საზოგადოთ, ქართველი კაცისათვის მეზობლის დროებით, მოკლე ხნით გადაკიდება — სულ უბრალო საქმეა; თუ გაწყრა ღმერთი და ბუნებით მიწის ბოლო გადაუხნა ვინმემ, ან ვენახს წყალი მიუგდო, ან პატარა ბიჭებმა სამანი შეუნძრიეს, ან მეზობლის ძაღლმა წიწილები დაუწიოკა — ყველაფერი ეს საბაბი ხდება, რომ მეზობელი მეზობელს გადაეკიდოს და ერთი ორჯერ მაინც საჯაროდ წამოაძახოს. სწორედ ამავე ფარგლებში ხდებოდა ბაღმა-გამოღმა უბნელების ერთმანეთში კინკლაობა და დამდურება.

ხანდახან კი ეს კინკლაობა ნამდვილ «კიასთა შორის» ბრძოლის სახესაც ღებულობდა, მეტადრე მაშინ, როდესაც სოფელში განთქმული «ავყია» ვანუა ახირდებოდა. ვანუას მეტ სახელად «ტიკს-უსუნე»-ს უწოდებდენ. მართალია, თავშივე, ის არ იყო რუსულად გალოთებული ადამიანი, მაგრამ საცოდავ ვანუას ღვინო და მეტადრე არაყი ძალიან მალე ეკიდებოდა და ვაი იმის ბრალი, ვინც ამ დროს მას დახვდებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

«ყია-მყრალობა» სწორედ ამნაირ შემთხვევაში იცოდა მან და მანამ არ გამოფხიზლდებოდა, სულ ლანძღვა-გინებით ირთობდა თავსა.

აი სწორედ ეს «ტიკს-უსუნე» ვანუა, ძალზედ გალეშილი, დადგებოდა წისქვილის რუის ბოგირზედ და დაუწყებდა იქიდან აზნაურების უბანს მუქარასა და ლანძღვას: —

«თქვენც იტყვით აზნაურები ვართ»-ო, დაცინვის კილოთი შეჰკივლებდა ვანუა, «რის აზნაურები, რის კეთილშობილები! ყმები თქვენ არა გყოლიათ და მთაც ბარი არსად გაგაჩნიათ. თქვენისთანა აზნაური ხომ მეცა ვარ! მაშ, რას ყოყლოჩინობთ და დიდკაცობთ?»

ამ სიტყვების გაგონებაზედ ატყდებოდა ერთი ალიაქოთი; ზოგი ვანუას გაჩუმებას ცდილობდა, ზოგი კიდევ რომელიმე გულნაწყენ, თავმომწონე აზნაურის დამშვიდებას. მაგრამ ყოველი ცდა ამაო იყო: ვანუა რა-კი პირს დააღებდა, კაცი ველარ გააჩუმებდა, სანამ სიმთვრალე თანდათან არ გაუვლიდა და თავისით არ მოვიდოდა გონსა.

ტიკს-უსუნეს ყიამყრალობა, ვსთქვათ, როგორც იყო შეჩერდებოდა, მაგრამ ძნელი იყო ხოლმე ზოგიერთი აზნაური ქალის დაშოშმინება და დამშვიდება. ყველაზედ მეტად აპილპილება კი აზნაურ როსების რძალმა, ივლიტემ იცოდა, მეტსახელად «ტიტინად» და «კნიაკნად» წოდებულმა.

კაცმა რომ სთქვას, ეს უკანასკნელი მეტსახელი არ იყო დაუმსახურებელი და ნაძალადევად გამოგონილი, რადგან «ტიტინა» მართლაც-და ცნობილი თავადიშვილის გვარის ჩამომავალი ბრძანდებოდა. თავის დროზედ დიდი მითქმა-მოთქმა და ერთი დაუსრულებელი ლაპარაკი იყო ატეხილი ივლიტას სამშობლო მხარეს — ეს როგორ მოხდა და ასეთი დიდი გვარის ქალი ვიღაც აზნაურიშვილს და ისიც მცირე-მამულიანს როგორ გაჰყვაო! მაგრამ მაგარიც ის გახლდათ, რომ იმ დროს თვით ტიტინას ოჯახიც უკვე დაქცეულ და გაღარიბებულ კერას უფრო გავდა ვიდრე ოდესღაც დოვლათით განთქმულ ოჯახს. ასე რომ ამ მხრივ, აზნაურის ოჯახში ახლად მოსული პატარძალი ვერაფერს უკიეინებდა თავის ქმრის პატარა, მაგრამ, როგორც სოფლის წესს შეეფერებოდა, კარგად მოწყობილ კერას.

ყველაზედ უფრო თვალსაჩინო თვისება ტიტინასი ის გახლდათ, რომ რაც ხანში შედიოდა, მით უფრო იჩენდა დიდგულობას და ცრუ ამპარტავნობას. ხშირად იტყოდა სხვების გასაგონად:

«ჯერ პირი გამოირეცხონ და შემდეგ ილაპარაკონ ჩემზედა. ნუ გავიწყდებათ, რომ მე სულ სხვა ვარ და თქვენ კიდევ სხვები. პაპი-ჩემის ბარძიმის სახელი მთელს ქართლში იყო განთქმული, გინდა გვარიშვილობით, გინდა მამულდედულით, გინდა სტუმრის მიღებით და ხელგაშლილობით»-ო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არც სტყუოდა «კნიაქნა» ივლიტა. მართლაც-და ერთ დროს დიდი შეძლებული ოჯახი იყო ბარძიმის ოჯახი, მაგრა რა გამოვიდა! მოგეცეთ ფლეგრძელობა, რომ რუსების პირველ «ნამესტნიკების» დროიდან დაწყებული, სულ ბოლო ხანამდე, ჯერ ტიტინას პაპამ და მერმე იმასმა ღირსეულმა შვილმა ზაქარიამ ისე მიანგრ-მოანგრიეს ეს, ოდესაც პატარა «სამთავროსავით» შენახული მამული, რომ ბოლოს, მართლაც, ნანგრევების მეტი აღარა დარჩენილა რა! დღესაც, ქართლის ბევრ ოჯახში შენახულა მოგონება — რა ხელგაშლილი და ხარჯების უხვად გამწევი ადამიანი ყოფილა ძველი თავადიშვილი, ანუ —«კნიაზად»— წოდებული ბარძიმი. დიდებული ცხოვრებით სხვამ რომ არავინ გამასწროსო და საქვეყნოდ თავი არ მომჯრასო, — იყო იმის სახლში ერთი გამუდმებული ლხინი და გაუთავებელი ზეიმი. რუსის დიდ მოხელეების დაბეგვდრა იყო, თუ «ნამესნიკების» საპატიო ამალაში გარევა — ყველგან ერთი უპირველესი ალაგთაგანი ბარძიმს და მერმე იმის შვილს ზაქარიას ეჭირა! რახტით მორთული ცხენით, ჩაცმა-მოკაზმულობით, ძვირფასი იარაღით — ბადალი არ ჰყავდათ მამა-შვილს. მათი, ოქროში გაფერილი რახტის ყღარუნი შორიდან შორს მოისმოდა ხოლმე. არც მათი მხლებლები იყვნენ ცუდათ გამოწყობილნი!

ბარძიმის გარდაცვალების შემდეგ, იმისმა მემკვიდრემ და დინასტიის ღირსეულმა წარმომადგენელმა ზაქარიამ ერთი ახალი წესი შემოიღო. მანამ კიდევ შესწევდა ძალა, ფეხს ისე არ გადასდგამდა, ოცამდე მხლებელი ამალა თან არ გაეყოლა. ეს ამალა უმეტესად დამშეულ თავადაზნაურთა ახალგაზდებისაგან იყო შემდგარი. როცა ჯვაროობაზე სადმე გაჩნდებოდა თვითონ ზაქარია, თეთრი დროშით წინ მიუძღოდა ამალას, თითქოს მთავარსარდალიაო.

მისდა საუბედუროდ, დიდ ხანს ვერ შესძლო ასეთი დიდკაცური ცხოვრება ზაქარიამ. მამულიც ნაკლები დარჩა, ვალებიც დიდი დააწვა. ჯერ იყო და შორი ადგილების გაყიდვა დაიწყო, მერე კი უფრო ახლოდ მდებარე ნაფუზრებსაც მიეპარა. ამნაირი თაოსნობით და ღრმად მოფიქრებული გეგმით და ხელგაშლილი ცხოვრებით საქმე იქამდე მიიყვანა, რომ მისი მამის და გვარის სახსენებლად დარჩა მარტოდა, ერთ დროს დიდებული, ამ ქამად კი სახურავ-აყრილი, ფანჯრებ-ჩალეწილი, კიბემოშლილი სასახლე და მისი ღვირძლი დის, ტიტინას უზომო გულზვაობაოა ამპარტავნობა!

და აი, როდესაც ღვინით გაქღენთილი ტიკს-უსუნე დაიწყებდა აზნაურების გაკილვას, ძნელი ხდებოდა ტიტინას დამშვიდება. იმისი ამბავი რომ კარგად იცოდენ, უფროსი რძლები სულ პირველად იმის დამოშმინებას მოყვებოდენ ხოლმე:

«გენაცვათ, ივლიტე, აბა, შენი არ გვიკვირს! რას ყურს უგდებ მაგ უბედურ ლოთსა და გიჟსა!», მიმართავდენ ყოველ მხრიდან ტიტი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნას, მაგრამ ამაოდ: მანამ თავისას არ ამოსთქვამდა, ძნელი იყო გულნატკენ «კნიაქნას» მორბილება. სათქმელი კი აი რა ჰქონდა: —

აზნაურიშვილს რომ მიმათხოვეს, განა გადასაგდები კი არ ვიყავი, რომ არა სცოდნოდათ, სად მათხოვებდენ და ვიზედაო. რა ვუყოთ, რომ ჩემი ქმარი აზნაურია: აზნაურიც არის და აზნაურიცა! გადახედეთ ჩემი ქმრის გვარეულობის სიგელებსა და მაშინ გაიგებთ, რა იყო და ვინ ყოფილა ის გვარიო. მეფეების ბეჭდებით დამტკიცებული ეტრატები; მერე განა ერი და ორი მეფისა? მეცამეტე საუკუნედან დაწყებული, ყველა საქართველოს მეფე უმტკიცებდა ამათ გვარსა:«გაგიახლებთ ძველთა მეფეთაგან ბოძებულ უფლებებსა და გიმტკიცებთ ამა და ამ მთასა და ბარსა, ციხე-კოშკებსა, ყმასა და საქონელსაო, თქვენ დიდი არაგვის ერისთავებთან თანაშეზრდილთა და თანააღზრდილთაო. ვინც ეს უფლება მოგიშალოთო, შეიპყრას იგი ერთოლამ იეზიდისამაო და ნურამცა სინანულითა ნუ მოინანიების სული იმისი»-ო, ზეპირად ჰქონდა დახსომებული ტიტინას ძველი სიგელის სიტყვები. ამისთანა სიგელის პატრონ გვარიშვილებს დღეს ვიღაცა გალოთებული წუწკი და გიჟი გამოდის და ნიშნის მოგებით გვიბედავს თქმასა: «რა აზნაურები ხართ, ყმებიც კი არა გყოლიათ»-ო

«გენაცვალე!», გააწყვეტინებდა ყველაზედ უფროსი რძალი მაკრინე, «როგორ თუ ყმები არა გვყოლია! ჩემი ყურითა მაქვს გაგონილი ჩემი მაზლისაგან: «რუსები რომ შემოვიდენ, იმ დროს საქართველოში შავი ჭირი გაჩენილაო და მარტო ჩვენ ოჯახს ათი კომლი ყმა ამოუწყვიტაო», ამას იტყოდა ხოლმე ცხონებული. ჩვენი გვარი თავადიშვილები ყოფილან, მაგრამ ამის სიგელი ერთ არაგვის ერისთავის ოჯახში დაემალათ, რომ იქ მოხსენებული მამულები უკან არ მოეთხოვათო. ამას რა დიდი ლაპარაკი უნდა: თუ კეთილშობილნი ვყოფილვართ, ყმებიც გვეყოლებოდენ. აბა რა გასაჩენი იქნებოდა ან თავადი და ან აზნაური!» ამნაირი შენელებული ბაასით დაამშვიდებდენ ხოლმე ტიტინას და ყიამყრალის მიერ ატეხილი ალიაქოთი ამითი თავდებოდა...

მეორე დღეს უნდა გენახათ გამოფხიზლებული ტიკს-უსუნე ვანუა. ნახევარი თავის მიქარვებისა აღარც კი ახსოვდა, მაგრამ მეორე ნახევარის გაგონებაზედაც კი არ იცოდა სირცხვილით რა ექმნა. ამ შემთხვევაში აიღებდა თავს და დაივლიდა აზნაურების უბანს; ვინც კი გზაში შეხვდებოდა, ყველას წინაშე ბოდიშს მოიხდიდა:

«აღარაფერი მახსოვს, სულ იმ წყეული ღვინის ბრალია! გადავწყვიტე თავის დღეში ღვინო აღარ დავლიო»-ო.

მაგრამ მალე, ძალიან მალე დაპირებას დაარღვევდა და წინანდელ ზნესაც არ იშლიდა. ბოლოს სულ გალოთდა უბედური. ერთ შემოდგომის დღეს, გაცხარებული მაჭრობის დროს, დამთვრალიყო ვანუა და კრიალა-წყალზედ ჩასულიყო, ვითომდა გაღმა გასასვლელად;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოდიდებულ მდინარეს იქვე, ნაყირის სიახლოვეს წაექცია საბრალო და მგზავრებმა ძნიელად მეორე დღეს აღმოაჩინეს იმისი, წყალში დამჭვალი გვამი.

აზნაურთა ოჯახებს შორის იყო ერთი, რომელიც თავის შენობა მოწყობილობით და ცხოვრებით შესამჩნევად განირჩეოდა დანარჩენებისაგან. ეს ოჯახი, როგორც მთელს ობოლაანთ-კარში, ისე სხვა ახლომახლო სოფლებშიც, ცნობილი იყო, როგორც «ელიზბარიანთ ოჯახი». თუმცა თვით ელიზბარი წარსულ საუკუნის პირველ ნახევარში გარდაცვლილიყო ღრმა მოხუცებულობაში, მაგრამ მის პატივსაცემლად და ნიშნად იმისა, რომ იგი ერთ დროს დიდი გავლენიანი ადამიანი ყოფილა, ეს მისი სახელი კვლავ იხმარებოდა ხალხში.

ელიზბარი თავის დროზედ, მართლაც, განთქმული ყოფილა ვაჟკაცობით, პურმარილით, მტკიცე ხასიათით და სადაც საჭირო იყო თავმდაბლობითაც. მეფე ერეკლეს დროს, მართალია, სულ ნორჩი ყოფილა, მაგრამ იმ-დროინდელი ამბები კარგად იცოდა უფროსებისაგან, რომელნიც მოწმენი იყვნენ მაშინდელი ბრძოლებისა. რუსების საქართველოში შემოსვლა ძალიან სწყინდა თურმე ელიზბარს, და დიდ ხანს ვერ შერიგებოდა ვერაგობით და მოტყუილებით საქართველოს სამეფოს მოსპობას. პირველ ხანს მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა პარტიზანულ გამოსვლებში და თავის ამხანაგებთან ერთად მოსვენებას არ აძლევდა რუსის ჯარს, რომელიც აქა-იქ იყო დაბანაკებული საქართველოს სოფლებში.

იმ დროს პარტიზანული ჯგუფები მრავალად მოქმედებდენ საქართველოს ყველა კუთხეში. ქართველებმა ადრევე დაინახეს, რომ რუსეთმა დაარღვია მეფე ერეკლესთან დადებული პირობები და გატაცებით ებრძოდენ რუსის ძალებს, სადაც კი შემთხვევა მიეცემოდათ.

პარტიზანულ ჯგუფთა შორის განთქმული იყო ერთი, რომელსაც დუშელი აზნაური დურმიშხან კობიაშვილი მეთაურობდა. მრავალი არ იყო ეს მისი ჯარი, — სულ ოთხმოც კაცს შეადგენდა. დიდი წილი დუშელები იყვნენ, შიგდაშიგ თითო-ოროლა მთიელი; ერია — ჩერქეზი, ოსი და ლეკი. ამ რაზმში ყველა შეფიცული იყო თავის სახელოვან ბელადთან და მართლაც ყველა საოცარ სიმამაცეს, სიმარჯვეს და თავგანწირვას იჩენდა. დურმიშხან კობიაშვილი ელიზბართან მეგობრული გრძნობით იყო დაკავშირებული; ეს მათი მეგობრობა უფრო მეტად განმტკიცდა რუსის ძალების წინააღმდეგ ერთად ბრძოლაში.

სოფელ ობოლაანთ-კარში, მოხუცებულებს დღესაც მოსაგონად აქვთ გადმოცემა კობიაშვილის რაზმის დუშეთიდან გადმოსვლის შესახებ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ სიყოჩაღე და მამაცობაზე. იტყვიან ხოლმე, აქ, ჩვენ სოფელში მომხდარა ალექსანდრე ბატონიშვილის ფარულად მთებზე გადმოსვლა და იმისი შეთანხმება საქართველოს ყოველ კუთხიდან აქ მოსულ თავკაცებთან, თუ როგორ უნდა მომხდარიყო საქართველოს რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფლება. ერთ ამნაირ შეთქმულებას ელიზბართან ერთად დურმიშხან კობიაშვილიც დასწრებია.

ძველი კაცები ამასაც დაუმატებენ ხოლმე: —

რუსების ვერაგობა სულ პირველად ასპინძის ომის დროს დამტკიცდაო. თათრის ხონთქარი გაჯავრებულიყო: საქართველო რუსეთს რად უკავშირდებაო. თუ ქართველებს ჩემი მეგობრობა აღარ უნდათ და აღარ მენდობიანო, ამასაც მალე დავინახავთ, რუსების მეგობრობა რას მოუტანსო. თუ ასეა საქმე იარაღმა გაგვასწოროსო და წამოვიდა ხონთქარი თავისი დიდი ჯარით საქართველოზე.

მეფე ერეკლემ შეუთვალაო: —

თუ შენი წინად არ მეშინოდა, ეხლა უფრო რას დამაკლებო! მე და ჩემი მოკავშირე, რუსეთი, გელოდებით მტკვრის პირზეო; მობრძანდი და რასაც წაიღებ, იმასაც მალე დაინახავო!

ეწყინა თურმე თათარს ასეთი პასუხი ერეკლესი, და რაც ძალა და ჯარი ებადა სულ საქართველოს გამოგზავნაო. და აი სწორედ აქ გამოჩნდა რუსების მოღალატეობა: —

ჯერ თათართან ბრძოლა არ იყო დაწყებული, რომ რუსეთის სარდალმა გამოუცხადა ერეკლეს: —

მე აღარა მსურს ხონთქართან ბრძოლა და შენ როგორც გენებებოდეს ისე მოუარე შენ საქმესაო.

თქვა ესა და რუსის ჯარი უკან გააბრუნა. დარჩა მეფე ერეკლე მარტო; მოკავშირემ თავშივე ულალატა, მაგრამ არ შედრკა მისი გმიროული სული. შემოახტა თავის ცხენს, ახსენა ღმერთი და ასე შესძახა თავის ჯარსაო: —

ვერაგმა რუსეთმა მოგვატყუილა, მაგრამ გამარჯვება ჩემი იქნებაო. ამ სიტყვებით ეცა მტერს; ერთი ნაწილი ქართველების ჯარისა მტერს უკანიდან უვლიდა; თვით ერეკლე იერიშით მიდიოდა და ასპინძის ველზედ სულ დაამარცხა საქართველოს მტერიო.

ობოლაანთ-კარელ აზნაურთა ოჯახებში ხშირად იციან ხოლმე ალექსანდრე ბატონიშვილის ამბების მოგონება. როდესაც მათ სოფელში შეთქმულთა ყრილობა მომხდარა, რუსებს გაეგოთ ეს ამბავი და მაშინვე გადაეწყვიტათ: რათაც უნდა დასჯდომოდათ, შეეპყრათ, ცოცხალი თუ მკვდარი, ალექსანდრე ბატონიშვილი. ამისათვის ყველა გზა შეუკრეს მას რომ სპარსეთს არ გაქცეულიყო. ბატონიშვილმა კარგად იცოდა ეს ამბავი და თავისი ერთგული მცირე ამალით სწრაფად მიაშურა სპარსეთის მიმართულებით. და აი, როდესაც მიუახლოვდა საზღვარს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაადევნეს მას რუსის ცხენოსანთა რაზმის ოფიცრობა. ბატონიშვილს ცხენები დაღალული ყავდა, მდევრები კი დასვენებულ ცხენებზე ისხდენ. მეტი წილი იმ ოფიცრობის საქართველოს დიდ გვარეულობის შვილნი ყოფილან. აგერ ოთხი მათგანი კიდეც დაეწია ბატონიშვილს და უპირობენ გზის გადაჭრასა; საცაა ხელში ჩაუვარდებათ გაქცეულები. ამ დროს წამოეწევა ოფიცრებს მათივე ამხანაგი,-- ისიც ოფიცერი, ბორჩალოელი აღალარი და ქართულად შეჰკივლებს მათ: —

ხალხო' გონს მოვიდეთ! ღმერთი არ არის, რას ჩავდივართ!: — მეფე ერეკლეს შვილს როგორ ვიმეტებთ დასაჭერადა. სხვა არა იყოსრა ბატონიშვილის ზოგი ნათესავები ხართ, ზოგი მისი ნათელ-მირონიო!

ამ სიტყვამ თითქო გამოაფხიზლა მდევრები, გამოატრიალეს ცხენები და ბატონიშვილი მშვიდობით გავიდა სპარსეთში. მას შემდეგ მას საქართველო აღარ უნახავსო, დასძენენ ხოლმე ობოლაანთ-კარელები.

ამ ამბავს ერთი ასეთივე შემთხვევაც მოჰყვა თურმე. ბატონიშვილის ამალაში ყოფილა კახელი თავადიშვილი, გვარად ვაჩნაძე. მისი ცხენი მთებზედ სიარულით ისე დავარდნილიყო, რომ რუსებმა ის თავადი ადვილად ჩაიგდეს ხელში და ტყვედ მიჰგვარეს პოლკის უფროსს, სწორედ იმ დროს, როცა პოლკში დიდი ნადიმი ხდებოდა- იმ დღეს რუს ხელმწიფის ტახტზედ ასვლას დღესასწაულობდენ. მოიწვიეს სუფრასთან დაჭერილი ვაჩნაძეც, რომელიც განცვიფრებული უყურებდა ზეიმს და არა გაეგებოდა რა, თუ რა აღრიალებს რუსებს «ურა, ურა»საო. ბოლოს აუხსნეს ყველაფერი და პოლკის უფროსმა მასაც წინადადება მისცა დაელია ხელმწიფე-იმპერატორის სადღეგრძელო. ვაჩნაძემ აიღო თურმე ხელში ყანწი, დინჯად და აუჩქარებლად მოიხადა ბუხრის ქუდი და მუხლზედ დაიდო. გადაიწერდა პირჯვარი და ასეთი სადღეგრძელო დალია: —

«ღმერთო, შენ მიეც ძლიერება და გამარჯვება ჩვენს ბატონიშვილს ალექსანდრესა! ჰფარვიდე მას შენის მადლითა და მშვიდობით მიიყვანე, საითაც მიეშურება!»-ო.

გადაუთარგმნეს ეს სიტყვები რუსებს. კომანდირი ჯერ შეკრთა და არ იცოდა რა მოემოქმედა. ბოლოს ასეთი გამოსავალი გამოსძებნა:

«ვინაიდან ვაჩნაძეს ჯერ ფიცი არ მიუღია რუსის იმპერატორის ერთგულებაზედ, არ ჩაეთვალოს ღალატად მისი ერთგულება მისდამი, ვისთვისაც ფიცი წინად აქვს მიცემული. როგორც ტყვე გაგზავნილ იქნეს ტფილისში უმაღლეს მთავრობის განკარგულებაში».

იქვე, სუფრიდან გამოიყვანეს, ჩასვეს «ტროიკა»-ში, ჩააბარეს «ჯანდარმებსა» და უკრეს თავი ქალაქისაკენ...

რუსის მთავრობამ მალე აუღო ალღო ქართველებსა: — ესენი რაღაცას ამზადებენ და საქმეს გვირთულებენო; ამიტომ უფრო გააძლიერეს თავისი ჯარი და საქართველოს ბევრ სოფლებში ჩააყენეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელიზბარი თავშივე დაიჭირეს, გათოკეს, წაიყვანეს ტფილისში და მეტეხის ციხეში შეაგდეს. სალდათები თურმე სულ კონდახებს უშენდენ და ისე მიყავდათ მაზრის ქალაქამდე. ყოველ დარტყმაზე ელიზბარი ასე შესძახებდა რუსებს:

«დვერენინ, რუსო, დვერენინ —შე მამაძაღლო!»

რუსების მიერ რეპრესიების შემოღებამ უფრო გააცხარა კობიაშვილის რაზმი, რომელიც სადაც კი მოასწრებდა, დიდ ზარალს აყენებდა მათ. ბოლოს რუსებმა გადასწყვიტეს, რათაც უნდა დაგვიჯდეს უნდა მოესპოთ დუშელების რაზმიო. ამ მიზნით მთებში გაგზავნეს აუარებელი ჯარი, ორი ზარბაზანით. გარს შემოერტყენ იმ ადგილს, სადაც კობიაშვილი იბრძოდა. ბოლოს აიძულეს იგი, თავისი რაზმით, სოფელ კოშკასთან, ერთ პატარა ციხესათვის თავი შეეფარებია. რუსებმა ალყა შემოარტყეს ამ სიმაგრეს. შეფიცულები უსვენებლივ განაგრძობდენ ბრძოლას და როდესაც ტყვია გამოელიათ — თვითონვე ააფეთქეს ციხე და მის ნანგრევებში ნახეს გმირული სიკვდილი.

დურმიშხან კობიაშვილმა, აფეთქების წინ, ერთი კიდე გადმოხედა საქართველოს და ასე შესძახა:

«მე აქ ამით მოვათავე, ბრძოლა თქვენ მანდ განაგრძეთ?»-ო

«რუსების ხელში ცოცხლად ჩავარდნასა — იქ სიკვდილი ამჯობინესო»-ო, იტყოდენ ძველი კაცები...

(გაგრძელება იქნება)

— — —

გ ი ო რ გ ი ყ ი ფ ი ა ნ ი

ზ ა ვ ი ს ა ა თ ი

საათმა მორცხვად დააწკრიალა,
ფერად სიზმრებში გათენდა დილა.
თითქო დაიმსხვრა ტკბობის ფიალა,
მზე ფანჯარაზე გადმოწოლილა;
გარედ ფერხული რომ გაუმართავს
ფაბრიკის საყვირს და რკინის კაცებს,
ფოლადის ღერძზე ცეცხლებს დაართავს,
ქალაქი იქსოვს ელექტროს ფაცერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე დაღლილობას ველარ ვერევი,
წუხელ ნასიზმარს ვიგონებ ამბავს...
Cაზე გაშლილა პროპელერები,
ქვეშ გადმოყურებს ჯავშნიან ქალაქს.

ხო... ის სიზმარი... წუხელ რა იყო...
ნეტავ იმ ძილში მოვეკალ ვინმეს...
მზე მთის მწვერვალზე გადმომდგარიყო,
მიწას აყრიდა ოქროსფერ მძივებს;

თავს ვეხვეოდი ქოჩორა ქოხებს,
სამფერ ლენტებით ბავშვივით მორთულს...
სოფლის გოგონა მირეკდა ძროხებს,
გზა სახრეებით იხმობდა ურმულს...

ცვარით დანამულს გავცილდი მიდორს,
მწვანე ნოხებად ეზო გაშლილა,
თეთრი ზვირთები მოჰქონდა რიონს,
მხრებზე კლდეები გადმოეწვინა...

თქვენ, მეგობრებო, იქ იყავთ ყველა,
მოგონებებით გული ხარობდა,
ხალხში ვმღეროდით ხალხურ სიმღერებს,
ხალისი მთებში დანავარდობდა!

დანგრეულ ქოხში შევაღე კარი,
იქ დავინახე მოხუცი დედა,
მას Cივ ფიCარზე დაედო თავი,
გამხდარი სახით გადმოიხედა...

შეშინებული შეკრთა, გაოცდა:
— შენა ხარ, შვილო? მითხარი ჩქარა!...
ავტირდი, უნდა გადამეკოCნა...
Cაათმა მორCხვად დააწკრიალა...

სურვილი შემრჩა გამშრალი ბაგის,
სნეულ დედასთან მსურდა ალერსი...
ასე დამთავრდა იმ ერთი ღამის
სიზმარი Cხადზე უსაყვარლესი...

პარიზი, 1929 წ. ვარდის თვე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა. ქეიბური

ძველი რვეულიდან ნასესხები ამბები

I

ცოტა რამ პირუტყვებზე და ადამიანებზეც

ერთხელ კიდევ გისაყვედურე...

არა, სიტყვით არა მითქვამს რა.

ცრემლში ნავლები სიტყვები თვალების კაკლის უკან დავაწყე და ისე შემოგხედე. მიხვდი, მიზეზიც იგრძენ:

შენ ეხლა დედა იყავ და შენი პაწიაც ხო ითხოვდა შენს სიყვარულს. მინაწილებდი, მაგრამ მე წინანდებურად მთელი მინდოდა. ორივენი ვგრძნობდით, რომ ეს არ შეიძლებოდა, მაგრამ მე შეუძლებლის მოთხოვნა წინანდებურად მიყვარდა...

პატარას აკვანი დაურწე და მეორე ოთახში გამიყვანე ფრთხილად, ფეხის წვერებზე და თან სალოკი თითი ტუჩებზე მიიდე... ჩემგან დუმილს და სიწყნარეს ითხოვდი; კარგა ხანია მიმაჩვიე ამ დუმილს და მეც დაგყევ.

როცა მუთაქებით და ბალიშებით სავსე ტახტზე წამოვჯექით და ხალიჩაზე მუხლები მოვიკეცეთ, შენ პაპიროსი მომაწოდე, თვითონაც გააბოლე და მითხარ:

— თუ გიყვარდე მიამბე ერთხელ კიდევ ბიჭიკოს ცხენის სიკვდილის ამბავი. გახსოვს — ამას წინად ფუნიკულერზე რო მომიყე...

არ ვიყავ ამის გუნებაზე, მაგრამ ისე მოზიდე ჩემ ტუჩთან შენი შუბლი, ისე გადასწიე ყელი და კომლის რგოლები ამითამაშე, რომ ეხლა ჩემთვის ბიჭიკოს ცხენის ამბავი ხსნა იყო: უნდა ამ ამბით დამეტყვევებინე, რომ მოჯადოებული აღარ განძრეულიყავ და შენი ყელი და მკერდი სულ ახლოს მეგრძნო, მეყნოსა...

და დავიწყე: —

,,ბიჭიკოს ყველა მისი ცხენით სცნობდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კაი ცხენიანი ბიჭიკო", იტყოდენ მასზე, რომ სხვებისაგან გამოერჩიათ. არავინ იცოდა — საიდან შოულობდა მუდამ ასე ძვირფას და ჯიშიან ცხენებს.

ჩვენთან, სოფლად ძვირად მოვიდოდა, მაგრამ ახალკვირას და ელიობას კი უეჭველი სტუმარი იყო. ტკბილი კაცი იყო, ჯიბეშიც მუდამ ტკბილოულობა ელაგნა და ბავშვებს მისი მოსვლა გვახარებდა.

ახალკვირას სადილის შემდეგ, სტუმრებმა კაკლის ძირს დაბმულ ცხენებს მიაშურეს, ღვინისაგან ოდნავ შესუსტებული მუხლების ძარღვები დასჭიმეს, მკვირცხლად ცხენებს მოახტენ და ქინმორევით დაუწყეს დიდს ეზოში გიჟური ჭენება.

ბიჭიკოს არ უყვარდა ასე ამჩატება, ორივე ხელები ჩოხის ჯიბეებში ჩაეწყო და მიმინოს მსინჯავი გამოხედვით ათვალთვალებდა მოჯირითეთ. დინჯად მიაბიჯ-მოაბიჯებდა ღრმა ბალახებში სირმებიან საცვეთებს.

—ბ-ნო ბიჭიკო, რად მოგყავთ ეს ცხენი ჩემი გულის მოსაკლავად?.. სამეგრელოში რომ ვიყოთ, უცნაურს რამეს ჩამადენინებდით!.. და გრძელ, თეთრ წვერა აპოლონმა ბიჭიკოს ცხენს გავაზე ხელი გადაუსვა. მაგრა სცემდა ჩლიქებს, თვალი სისხლით სავსე ჰქონდა, ფაფარი აეყარა და ქინმორევით ჭიხვინებდა შავი, ყორანზე უფრო შავი ცხენი. უცდიდა ბატონს; მასაც უნდოდა ამ მინდორში გაჯირითება, — ეჩვენებია, თუ რა შეეძლო და რა რიგ მარდი და სწრაფი იყო მისი მუხლი. აბრაზებდა ბატონის ასეთი სიდინჯე, მაგრამ იცოდა მისი ზნე, ბატეხობა...

—რად იკადრებთ თავადო აპალონ... არც თქვენ ხართ ნაჩვევი ცუდ ცხენს, ჩემსას არ ჩამოუვარდება!..

აპალონმა ნაღვლიანად ჩაიცინა; იცოდა ბიჭიკოს თავაზიანობის ამბავი და ეს კიდევ უფრო უკლავდა გულს.

— მოგახსენეთ და შეგისრულებთ თავადო... ელიობას - ღმერთი მშვიდობით მოგასწრებთ — მოგართმევთ ისეთ კვიცს, რომ თვალი დაგრჩებათ. მამას აჯობებს. და თუ თქვენ თვითონ გახედნით დიდათ კმაყოფილი დარჩებით თავადო. სარშან ზუგდიდში წაიყვანა ფაღავამ პირველი კვიცი და წრეულს მასთან სტუმრად რო ვიყავი თვალი ვერ მოვაცილე: ელვაა, და კეკლუცი დედოფალივით...

რაღა დარჩენოდა აპალონს, რომ ელიობისთვის არ მოეცადნა. წინასწარ მადლობა გადაუხადა და ოქროს ტარიანი სატევარი წელზე გაისწორა. სამაგიეროდ კაი საჩუქარი იქნება. აბა ამისთანა ფოლადი დღეს თავადობაში ვის ჰქონდა?, მის პატრონს ვეფხის შემოტევისაც არ უნდა შეშინებოდა...

★

როცა ელიობის სადილობის ჟამმა მოაღწია აპოლონს მღელვარება დაეტყო, ჭადრის ძირში ნარდის თამაში ვეღარ ართობდა თავადს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და წარამარა ჯიშკრისაკენ იყურებოდა. მისი მოპირდაპირე ქ-ნი ეფემია ამ მღელვარეპით სარგებლობდა და ზედი-ზედ „დავბაჩარი"-თ უმასპინძლდებოდა თავადს.

— რა ამბავია ბ-ნო აპალონ, როგორ გეკადრებათ... ვიღაცას გაუთვალავხართ დღეს ნამდვილად!, ეუბნებოდენ ახალგაზრდა, გამოწკიპული, ჩასირმული ჩოხოსნები, მოთამაშეთ თავზე რო ადგნენ.

— რა ქნას კარგმა მონარდემა, თუ დუშაში არ დაუჯდა!» ანუგეშებს დამარცხებულ მოპირდაპირეს ქ-ნი ეფემია და მარცხენა ხელით გიშრის გრძელ კრიალოსანს ათამაშებს ასევე სწორად ნათალის და გრძელის თითებით.

აპოლონი უგულოდ აგორებს კამათლებს.

— ბიჭიკო მოდის! წამოიძახეს ყმაწვილებმა და ჯისკარისკენ მოაღირეს მაღალი კისრები, აბრეშუმის ახალუხის ვიწრო საყელოში რო გამოეჭირათ.

— კაცო ჭაკი ცხენით გინახავთ ჯერ ბიჭიკო? კვიციც თან მოდევს!

აპოლონს სახე გაუბრწყინდა, მოუთმენლობამ უფრო იმატა; თამაშის შეწყვეტა კი სასირცხოდ მიაჩნდა, ჩქარობდა და ზედი-ზედ შეცდომებს აკეთებდა. ველარ გაუძლო, ბოდიშით წამოდგა და ბიჭიკოსაკენ გაემართა. ბავშებიც ახალ მოსულს მივცვივდით და მისი ცხენის პატარა შვილს მივაშურეთ, წვრილი წელი და მაღალი ფეხები რო ჰქონდა და კოხტა კისერს დედასავით შკილდურად ხრიდა.

აპოლონი თვალით შინჯავდა კვიცს, ბიჭიკოს ხელი მის ხელში შერჩა, აღარ უშვებდა.

— არ ვიცი ბატონო ბიჭიკო — რითი და როგორ გადაგიხადო, ვეცდები კი გემსახურო...

— უკეთესი სამსახური რაღა იქნება თავადო, თუ საჩუქარს მართლა არ დამიწუნებთ და გულით მიიღებთ.

აპოლონმა რბილად გადუსვა კვიცს ხელი და უბის ქვევით ფხანა დაუწყო. მერე კარგად დაუსინჯა კბილები,ყურები, ფეხები, ჩლიქები...

იჯვის თვალით და კბილების ოდნავის ღრჭენით ადევნებდა მას თვალს დედა-ცხენი. ორჯერ მძლავრად მოიმართა მკერდი და მიიწია აპოლონისაკენ, მაგრამ ბიჭიკოს სულ წყნარმა შეძახებამ ბოლმა ღრმად ჩაამარხვინა, ნაბიჯი უკან დაახვევინა.

სუფრაზე აპოლონი ჩვეულებრივზე დარბაისელი და მხიარული იყო იმ დღეს. მაგრამ ერთხელაც არ გადაუხედნია ბიჭიკოსაკენ და მადლობა არაფერში გამოუხატავს. მაგრამ მოუთმენლობა არც ბიჭიკოს დატყობია რამეში; დინჯად სვამდა „თანახმად ტოლუმბაშისა" და ოქრომკერდით მოჭედილ ქისიდან ჩიბუხს სტენიდა. და როცა ბინდის ჩამოწოლისას აპოლონმა ბოდიშის მოხდით თამადისაგან „ორიოდე სიტყვის ნება" ითხოვა, ბიჭიკომ უკვე იცოდა ვის და რას უნდა შეხვებოდა ეს „პატარა ყანწი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს მისებრ პატარა კაცს არ შეეძლო ამდენი ხოტბა თავის თავზე მიეღო. როცა „ბ-ნი ბიჭიკო" პირდაპირ ითქვა, მარტო მაშინ წამოდგა და ნელის ნაბიჯით გამოსწია აპოლონისაკენ. მდაბლა თავი დაუკრა, გულზე ემთხვია და ყანწთან ერთად მოოქრული ქამარ-ხანჯალი რო გადაულოცეს, თითქოს არ დაუნახავს; არ სურდა დაენახა. და თამადას დიდი დავიდარაბა დასჭირდა, რომ ეს ქამარ-ხანჯალი ბიჭიკოსთვის შემოერტყა.

წყნარ გადაჩურჩულებას და კითხვებს უფრო თამამი „ვაშა" მოჰყვა და „მრავალჟამიერ-მადლობელმა" ეხლა ჭერი სულ მაღლა ასწიეს. გახშირდა ლეკურიც და თავდახურულ ქალთა დასი შემოერტყა ბიჭიკოს: „თქვენი ჭირიმეთ, თუ ხათრი გაქვთ, უარს ნუ გვეტყვით"...

მაგრამ ვერ იქნა, ვერ მოსტეხეს მისი ჯიუტობა და დასირმულ საცვეთებში გამოჭერილი პაწია, მარდი ფეხები ფერად ფარდაგზე ვერ დაასრიალებინეს.

— აკალეთ ბ-ნო!, ანუგეშებდა მამა ჩემი სტუმარ ქალებს, „ჯერ შუადამეს გადასცილდეს, ბ-ნი ბიჭიკო მართლაც ქეიფის ეშხზე მოვიდეს და მერე ხო იცით, ხვეწნა საჭირო არ იქნება. აბა ჯერ ეს დამიღიე ჩემო ბიჭიკო!..

მაგრამ ჩვენ, პატარებს ბიჭიკოს ლეკური მაინც ვერ იქნა, ვერ გვენახა. ხანდახან გარიჟრაჟისას დაირის მაგარ შემოკვრაზე და ბიჭიკოს უცნაურ და ცოცხალ წამოკივლებაზე: „ტაში, აბა ტაში... ჩქარი ტაში!".. გოოცებით გავაჭყეტდით თვალებს, მაგრამ დამფრთხალი ძილი ისევ გვიბრუნდებოდა და ბიჭიკოს „ტაში-ტაში"ს ძახილი სიფხიზლეს ველარ გვიბრუნებდა.

მეორე დილით, როცა სტუმრების მარტო მცირედი ნაწილი ღა შერჩენოდა ნადიმს და თამადა ბოდიშის მოხდით ეხლა აივანზე გაშლილ ახალ სუფრისაკენ იწვევდა „ბრძოლის ველზე შერჩენილ გვარდიელებს", მსახური ზოსიმე შეშინებული შემოვარდა და ბიჭიკოს რაღაც ჩაულაპარაკა.

— რაშია ბ-ნო საქმე, გაგვაგებინეთ!.. არ იშლიდა თამადა.

— არაფერი საიმისო, ნუ შეწუხდებით, — და ბიჭიკო ამ სიტყვებით სწრაფად წამოდგა.

— მითომ საიდუმლოებაა?, რატო არ გვეტყვით ზოსიმე...

— ცხენმა აიწყვიტა ბ-ნო და დარბის ეზოში...

— მერე და რა ღმერთი გაგიწყრათ, ველარ დაიჭირეთ?

— რას დაიჭირავ ბატონო! ვინ მიეკარება? დაგვკბინა ერთთავად. წელან რო კვიცი წეიყვანა თავადმა იმაზე გადირია.

— ბოდიში, ბ-ნო თამადა; ერთის წუთით თუ ნებას მომცემთ, ეხლავ დავაბამ და გეახლებით...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენც მოუთმენლობა დაგვეტყო და ბიჭიკოზე უფრო ადრე დავეშვით მაღალ კიბიდან. ვხედავდით ბავშვები ფაფარ აყრილ, ყელ მოღერილს ბიჭიკოს ცხენს, ასე ელვასავით რო დარბოდა ვეებერთელა ეზოში და გულსაკლავად ჭიხვინებდა; ვხედავდით მის საშინლად დაწითლებულ და ამღვრეულ თვალებს, როცა ნაბიჯს ოდნავ შეანელებდა და აქეთ-იქეთ უაზროდ, სასოწარკვეთით მიიხედ-მოიხედავდა. და ვგრძნობდით, რომ თავის პაწია, ლამაზ-ყელიან და წვრილ-ფეხა შვილს ეძებდა და აქაფებულის მკერდით აპობდა ჰაერს.

ბიჭიკომ დინჯად გასწია მისკენ, ოდნავ მოშორებით გაჩერდა, მოუბრუნდა და ნაზის ხმით მოუხმო; მერმე ხმას უმატა, ცოტაზე გამოედევნა, ორჯერ--სამჯერ წინიდანაც დაუხვდა, მაგრამ ვერას ვახდა. ცხენი უფრო და უფრო აფთრდებოდა და ჭიხვინებდა; ეხლა მისი მკერდი და ზურგი სულ თეთრის ქაფით იყო დაფარული.

ბიჭიკომ სიმინდი მოატანინა, ტაშტზე აარაჩხუნა კაკლები და ნელა — შეპარვით გამოუდგა;

«გოლია, მოდი ჩემო გოლია... მოდი, მოოოდი გოლია»...

ათასჯერ გაუმეორა უცნაურ ხმაზე; ხან დაუსტვინა, ხან დაუწრუწუნა. არა, ცხენის ყურს ეს არ ხვდებოდა; მხოლოდ ერთხელ დადგა, ალმაცერის, ეჭვის თვალით გადახედა თავის პატრონს, უკანა ფეხებზე შედგა — ისევ გულსაკლავად დაიჭიხვინა, კისერი ხან აქეთ. ხან იქეთ. მიიგრიხა და ელვის სისწრაფით ისევ ჯირითს მოჰყვა. ეხლა ის ერთბაშად გააფთრდა; ხედავდა, რომ ეზოში ამდენი ხალხი გამოეფინა, რაღაცას უყვიროდა და უკან მიდევდა.

— ნუ უყვირით, სულ გადარევთ. სახლში შებრძანდით. — ურჩევდენ სტუმრები ერთმანეთს, მაგრამ მაინც ვერ აშორებდენ თვალს შურდულიდით მქროლავ ცხენს.

— გული გაუსკდება, სადმე გადიჩეხება მაგ საცოდავი .. — იძახდა მამა ჩემი და ამით უფრო გვაბრალებდა გაგიჟებულ პირუტყვს. ეტყობოდა ბიჭიკოს, რომ ფერი ეცვლებოდა, მის სახეს ხან წითლად მოასხამდა სისხლი, ხან სულ გალურჯდებოდა. სირცხვილიც ცალკე აწვალებდა მის თავმოყვარეობას. უცებ დასჭყიტლა და უცნაურის სიმარდით გამოენთო, შემდეგ წინიდან დაუარა და მოემზადა, რათა ძოწყვეტით ფაფარში ხელი ჩაევლო და მოხტომოდა. მაგრამ ფიცხლავ ცხენი ისევ უკანა ფეხებზე შესდგა, კიდევ უფრო მწარედ დაიჭიხვინა, გვერდზე შეტრიალდა და, ელვასავით გაჰკურცხლა...

შეატყო ბიჭიკომ, რომ ასე ვერას გახდებოდა და მარქაფის სროლით მოინდომა მისი გამოჭერა. ორხელ, სამაელ კიდეც გამოსდო ფეხში თოკი გააფთრებულ ცხენს, მაგრამ მან მხოლოდ წაიბორძიკა, ფეხი შეეშალა და ისევ წინანდელზე უფრო მარდად მოუსვა სირბინს. ეხლა ყოველ მხრიდან ხვდებოდენ მას ჯოხებით, მარქაფით; რამოდენჯერმე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრაც გადაუჭირეს, მაგრამ ამან სულ მთლად აფთრად აქცია ის, დაჭერა კი მაინც ვერავინ შესძლო.

შესწყდა ოდაში, სამზარეულოში, ბაღში სტუმრების და მასპინძლების, დიდების და პატარების ფუსფუსი, ბაასი, მოლხენა. ყველანი ეზოში გამოეფინენ. მეზობლებიც გადმოსულიყვნენ და თვითეული რჩევას იძლეოდა. ისმოდა დაუწყნარებელი კივილი, გაფრთხილება, ყვირილი.. ბიჭიკომ თითქოს სულ დაჰკარგა ნდობა, ეხლა მას აღარავინ ათხოვებდა ყურს და ყოველი ცდილობდა თვითონვე გამოენახა რამ ხერხი და საქმისათვის ეშველა.

ტყუილი გამოდგა ქალების იმედი — დააცადეთ, დაიღლება და თვითონ დადგებაო. — რაღაც საიდუმლო ძალა იყო მის სიგიჟეში და სიბრაზეში დაგუბებული; ის არ იშრიტებოდა, უფრო იზრდებოდა და ორკეცდებოდა...

თანდათან რკინის რკალში ემწყვდეოდა ცხენი და ხედავდა, გასავალი არსად იყო. ყოველ მხრიდან სამი—ოთხი კაცი იდგა და ლამობდა როგორმე დასწვდენოდა. ამჩნევდა გოლია, რომ წრე უფრო და უფრო პატარავდებოდა და მტკიცედ იკვრებოდა. რგოლში მოემწყვდა და სარბიელი თანდათან უფრო შეუმცირდა.

საშინელ სიბრაზეს ჰყრიდენ ეხლა მისი თვალები, პირიდან დორბლი ქაფის ტალღებად გადმოსდიოდა. ხედავს, რომ საქმე წაგო და უნდა დამორჩილდეს ვიწრო ყელში მომწყვდეული. წუთით შესდგა შუა წრეში, თავი ჩაჰქინდრა და მაგრად ჩლიქების ცემა დაიწყო. თითქოს ოდნავმა შეგნებამ დაიმორჩილა ის. ბიჭიკო ფრთხილად წაიწია მისკენ:

«გოლია, მოოდი, ჩემო გოლია... მოოდი ჩემთან!»...

და ამ დროს ცხენი ხელ-ახლა ყალყზე შესდგა; დიდი წითელი თვალები დააბრიალა, კისერზე და თეძოსთან ძარღვები დაბერა, ფაფარი მძლავრად გაიქნია და ისარივით გადაეშვა...

ამ ნახტომს არავინ მოელოდა და სახტად დარჩენ; მან მკერდით წრე გაარღვია, ზოსიმე ორჯერ გადააკოტრიალა და ღობისაკენ გაექანა. მაღალმა, მწკეტიანმა სარებმა დააფრთხეს; მოესმა საშინელი კივილი, შეძახება... მაგრამ ყოყმანის დრო აღარ იყო; გრძნობდა — ძალა გამოლეულს ბოლოს ხელთ იგდებდენ და ყინ-ანთებული ელვასავით მოსწყდა და გადაეშვა...

ყველას თვალები დაგვიბნელდა, ბიჭიკოს საშინელი ღრიალი: „ვაიმე გოლია!“ ქალების მწარე კივილში გაერია. ერთის წუთით მოვკარ თვალი, რომ შავი ცხენი მწვეტიან სარზედ წამოგებული ჰაერში ფეხებს აფართხალებდა, შემდეგ გაისმა ტკაცანი და მოტეხილი სართან ერთად ცხენიც მოსწყდა... გული შემემღვრა; ბავშებმა საშინელი ზლუქუნი ავსტეხეთ, მამა ჩემი ბიჭიკოს მკლავში ეცა და სახლისაკენ მიეწეოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ გხედავდით, რომ მწარედ მოჯიხვინე ცხენი კიდევ გააფთრებით დარბოდა და მიწაზე წელებს მიათრევდა... თანდათან მოუნელა, უკლო ნაბიჯს, ერთი კიდევ იბრუნა პირი ჭისკრისკენ და ეხლა თავჩაკიდებული სულ ნელა გასწია სწორედ იქეთ, მაგრამ გზაზე მუხლი მოეკეცა და ერთბაშად მოწყვეტით დაეცა.

ბიჭიკო გამშრალი, ფერ-დაკარგული იდგა ერთ ადგილას. ვერავინ ბედავდა ხმის ამოღებას.

— ექიმს დაუძახონ ან ტყვიით მაინც მოკლან — ამბობდენ სტუმრები. მაგრამ ბიჭიკოს არაფერი ესმოდა. ბოლოს ახლოს მივიდა, ნაღვლიან თვალებში ჩახედა განაწამებ მომაკვდავს, რომელიც საშინელის სიმძიმით ითქვამდა სულს. ორი დიდი ცრემლი მოსწყდა ბიჭიკოს თვალს, მაგრამ ხმა მაინც არ გაუღია. ბოლოს მამა ჩემის თხოვნას დაჰყვა და თავჩაკიდებული სახლისაკენ წავიდა.

—იქნებ სჯობს, რომ მოკლან ტყვიით, ასე რომ იტანჯება? — ჰკითხა თავმდაბლა მამამ.

მოკვდება, თვითონ მოკვდება მალე. ისე შენს მტერს მოესწრაფა სიცოცხლე... რატომ დაანახვა აპოლონმა კვიცის წაყვანა. ღამით რო გაეპარებინა, იქნება არ გააფთრებულიყო ასე! —

— დამშვიდდი ბიჭიკო, რავა გეკადრება.. მაგისანა მოუვა კაცს? შენ კარგად გვყავდე და...

— ეხ... გოლია, ჩემო გოლია! — და ამ ამაყ კაცს ველარ გაუძლეს რკინის ძარღვებმაც. ცივი წყლით მოუნდომეს ზლუქუნის ჩახჩობა.

— გადაათრიონ მაინც- — სთქვა რამოდენიმე ხნის შემდეგ თამადამ, რომელსაც ენაც ჩაუვარდა და სუფრაზე ვინმეს მიპატიჟებასაც ველარ ბედავდა. «ნუ-და შეაჩხირებენ თვალში ამ კაცს... ეყოფა!»

— აღარ აცლით სულის ამოძრობას?», საყვედურით შენიშნა ბიჭიკომ.

— რავა გეკადრება, მე მკვდარი მეგონა მაგ საცოდავი. —

— ვატყობ აქედან, ვამჩნევ... — და ყველა მიხვდა, რომ აივანზე მჯდომი ბიჭიკო ცალის თვალით თავის გოლიას მისჩერებოდა.

კიდევ ორიოდე საათი და ფეხებ გაქაჩული, თვალ ღია, პირ დაღებული ეგდო გოლია და მის გაფატრულ მუცელთან ათასობით ირეოდენ ბუზანკალები. ყველამ იცოდა, რომ მოკვდა, მაგრამ ;გადათრევას მაინც ვერ ბედავდენ. უცდიდენ ბიჭიკოს განკარგულებას. საერთო გლოვას მოეცო ყველანი. დღესასწაული მოშხამული შეიქნა. ქუჩაში მიმავალი ცხენოსანი მგზავრები — ეკლესიისაკენ ბურთის თამაშზე რო მიეშურებოდნენ — შედგებოდენ და ყორანივით შავ ცხენის ლეშს, ჭისკრის ახლო რო ეგდო, გაოცებით აჩერდებოდნენ. სიბრალულით შესცქეროდენ ქალები თავჩაქინდრულ რაინდ ბიჭიკოს, ასე მოულოდნელად რო დაეკოდა გული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ბატონო ონისიმე, იაგორ... პატივცემულო მანდილოსნებო!, ნელა დაიწყო ბიჭიკომ და ბარბაცით ზეზე წამოდგა. — ბოდიში მომითხოვია, რომ ასე ჩემდა უნებურად მომხდარ შემთხვევის გამო, სიამოვნება და მოლხენა წაგიხდინეთ, დღესასწაული შეგიზარეთ და ეს კარგი დღე წაგამწარეთ, იმედია მაპატივებთ და გთხოვთ ყველას განაგრძოთ და ისიამოვნოთ, როგორც აქამდის, როგორც ამ ოჯახსაც შეფერის და თქვენც. მე კი ცოტა ხნით მოსვენების ნებას ვითხოვ და მალე ისევ გეახლებით... —

ყველას სურდა სამაგიეროდ რამე ეთქვა, მაგრამ ბიჭიკომ მოწყვეტით გაიღო კარი და ოთახში შევიდა. სახტად დარჩენ... თამადამ და მამა ჩემმაც ორჯერ-სამჯერ შეეცადენ სტუმრების ცოტათი მაინც გამხიარულებას, მაგრამ შეატყვეს — აქედან არა გამოვიდოდა რა. შემწვარ წიწილებს მწვადები სცვლიდა, იმას კიდევ ბეჭი — მაგრამ გული აღარ იყო. სმითაც უსიტყვოდ თუ ვინმე დალევდა ერთ-ორ ჭიქას და სიმღერაზე ხომ ფიქრიც არავის მოსვლია.

ცოტი ხნის შემდეგ ჩვენ — ბავშები ჭისკრისაკენ გავემართეთ და მოშორებით მოლზე დავსხედით, გვინდოდა გვეცქირნა — როგორ გადაათრევდენ საწყალ გოლიას. ეხლა უფრო გადიდებოდა თვალები, გაბეროდა მუცელი და ბუზებიც ურიცხვი ეხვია. ყველას უზომოდ გვებრალებოდა ის და მასთან საყვარელი ბიძია ბიჭიკოც, რომელიც ჩვენის აზრით, ამ უბედურებას უეჭველად თან გადაჰყვებოდა.

ქუჩაში ცხენით მოგზაურები თანდათან მატულობდენ და ეტყობოდა ბურთის „გაგდების" დროც ახწევდა და ბავშები სევდას ვეძლეოდით, რომ არავინ ფიქრობდა „ჯარში" წასვლას და ჩვენს წაყვანას. ყველაფერი ეს, რასაკვირველია, თავად აპოლონის ბრალი უნდა ყოფილიყო, თორემ მას რომ გოლიასთვის შვილი არ წაერთმია, ეს არ მოხდებოდა, ყველანი მხიარულნი იქნებოდნენ, სტუმრები ჩვენც ცხენზე შემოგვიჯენდენ და ჯარში წაგვიყვანდენ.

უეცრად ჭისკართან პატარა კვიცმა დაიჭიხვინა, გრძლად და ვედრებით! ეს იყო წითელი კვიცი, რომელიც თავის დედას უკან მიდევდა და ეტყობოდა დაღლილობით უკან-უკან რჩებოდა. მხედარმა მათრახი გადაუჭირა ცხენს, მანაც მოუჩქარა და კვიცი უფრო უკან ჩამორჩა. ხელახლა შესჩივლა დედას და უფრო წვრილის ხმით დაიჭიხვინა.

და ამ დროს ისეთი სასწაული მოხდა, რომ ჩვენ შეშინებულნი ზევით წამოვცვინდით და „ვაი-დედაა"ს ღრიალით სახლისკენ მოვუსვით.

ჩვენ გვეგონა, რომ მუცელ გამოფატრული, ენა გადმოგდებული და ბუზების ხროვით შემორტყმული გოლია ფეხ-და-ფეხ უკან მოგვდევდა.

აკი სრულიად აშკარად დავინახეთ, რომ მან თავი მაღლა ამართა და ყელი ქუჩისაკენ მიიბრუნა. თითქოს მთელი ტანის შენძრევასაც შეეცადა და ცალი ფეხიც წინ წამოსწია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიახ, ჩვენ ეს ვნახეთ... მკვდარი გაცოცხლდა და ის იყო დგებოდა, მისი ოდნავი ამოძახილიც, უფრო კი ამოკვნესა მოგვესმა...

როცა კიბეს მივუახლოვდით, ძლივს გავბედეთ მიხედვა და დავინახეთ, რომ გოლიას თავი ისევ მაღლა ეჭირა და ქუჩისაკენ იცქირებოდა; იქ კი მოშორებით, წითელი კვიცი მიხტოდა და დაწინაურებულ დედას თავს ავედრებდა...

ვუამბეთ მამას სასწაული: წამოიშალენ, წამოგვყვენ, მაგრამ როცა ახლოს მივედით, გოლია ისევ ისე ეგდო და თვალებდაჭაჩულს ბუზები ეხვივნა. იაგორმა ყურში ხელი მოჰკიდა, მოსწია. ონისიმემ ფეხით ბევრი ანძრია, მაგრამ გოლიას არა ესმოდა რა. ლეში უძრავად ეგდო და მარტო ბუზები თუ ფრთხებოდენ.

მაშ რა იყო წეღან, რა მოხდა? რამ გააცოცხლა ეს უსულო, მუცელ-გაფატრული ლეში? სასწაული? თუ იქნებ მომეჩვენა... არა, ჩვენ ყველამ ვნახეთ გოლიას ერთხელ კიდევ გამოცხადებული სული, დედის სული — წითელი კვიცის ხმა რო ხვდა სადღაც დამარხულ სიცოცხლის უკანასკნელ ნაკვთს...

***

სიჩუმე ჩამოვარდა... შენ აღარაფერი აღარ მკითხე. უცებ მოსხლტი, მეორე ოთახისაკენ გაიქეცი და ერთი წუთის შემდეგ შემომგვარე შენი პაწაწინა, აკვნიდან რო ამოგეყვანა; ჩემს წინ ბალიშზე დააწვინე და მოეხვიე. მერე ისევ ხელში აიღე და როგორც გიჟი ისე დარბოდი ოთახში გაბრწყინვებულის სახით და განათებულის სიცილით...

გაოცებით გიცქერდი; ბოლოს ჩემთან მოიჯერ, ბავში ხელში შემომაჩეჩე და ეხლა მე დამიწყე გაშმაგებით კოცნა... და მე მაშინ უცებ გავმდიდრდი, — ერთბაშად ამდენი კოცნა ასეთის ძუნწისაგან...

— რა ბედნიერები ვართ, რა ბედნიერები ვართ ეხლა ჩვენ! — იძახდი შენ...

— ვინა? —

— ჩვენ ყველანი, სამივენი... —

და შენ ხან პაწიას იკრავდი გულში და ხან მე. ვხედავდი შენს უეცარ გამარჯვებას, ვხედავდი დედის გულის ზეიმს. და წარმოიდგინე — მეც ვსტკბებოდი...

1930 წ. ივლისი. სან—ფრანსისკო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ: ბებურიშვილი

მე — ბედი და შენ

დედას რო გამოვემშვიდობე, — სამჯერ კარებთან დამატრიალა და დამლოცა: — ჯვარი გწერია!. თუმცა ის ლოცვა დღემდე თან მომდევს, მაგრამ თავიდან ჩემს შუბლზე ასე სწერია: —

იყავ მოუსვენარი, დაუდეგარი, ებრძოლე ასთავიან მდევს, გაჰკაფე ნარი, თავი მსხვერპლად შეგიწირია!

და მას შემდეგ ბრძოლა მედგარი ულმობელთან — ბედისმწერია.

თუმც ამ სოფელში ახალი არაფერია, — დასაბამიდან ასე მოვყევარ ჩემს გზას, სადაც ჩვენი ერია, თვალუწვდენელ მანძილით მოსული; და ჩვენი ტაძრიდან მოპარულ ბზას თან დავატარებ გულამოსკვნილი.

რა ვუყოთ, რომ მწვერვალიდან ძირს ჩამოსული ქართველი მწერალი დღეს მშიერია! —

მე და ბედი დიდი ხანია ვებრძვით ერთმანეთს, (მისთანა ბედში აო მივცემდი თუ გინდ ერთ მანეთს!) — ყოველთვის მჯობნის და მერევა, მაგრამ არ დამიყრია იარაღი, თუმცა სისხლის დანახვაზე გული მერევა, — მასაც ამჩნევია ჩემგან დაღი! —

მე რო ვყოფილიყავი ლაღი და გავმხდარიყავ ხურო კვერისა, გამოვჭედდი ლახვარს რკინისა და გავკვეთდი მას, დამლახრავს, ვინც არის ბედი!, რომლის საზღვარის გადალახვას ლამობდა ბარათაშვილი! — გარნა, გული არის აბედი, და მწარე ბედის შვილი ვუცდი ტალკვესის გაკვრას, რათა დაპირებული ყალიონი გავაბოლო, და თან გავაყოლო ოცნება მეტი საქართველოზე და შენზე! — ოღონდ, მხიბლავო, შენი მზე ჯერ არ ამოსულა და არც შენი ეტლი მოსულა!

ფიქრს არ მიეცეძა ბოლო და ნატვრას მიკცემდი ქარს, მაგრამ, მაგრამ ქამი მაინც დაჰკრავს: მოვშორდები დანისლულ ცას, დავადგამ ფეხს ზღვას და მივბრუნდები დედასთან, ვისი სიყვარულიც დამაქვს თან. ეს აღარ არის ფიქრი მდაბიო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯერ კი ისევ მენატრება საცივი და ლობიო, სულგუნი და ქადა! და თუ ვინმემ დაიქადა, — რომ შეიძლება სცემდეს აქ გული და იყოს ცხოვრება, — ესაა მისი ნება. მე კი ყურს ვუგდებ განაბული სამშობლოს მაჯისცემას და ველი ყინულის დაცემას, რადგან არა ვარ ორგული; თუმცა სურვილი ნაირ-ნაირია, და ნარგიზი აქ დარგული სუნნელოვანია, მაგრამ არა ისეთი ვით ჩვენი მდელოსი, სადაც დაჰფრენს ლურჯი ანგელოსი! —

დედამ რო კარებთან დამატრიალა, თავს დამეხვა ბრუალა, —და მას შემდეგ სამ ჯერ სამი წელიწადია, რაც დავდივარ! — მე აქა ვარ, და რა რიგ მწადია ვიყო იქ, სადაც მწვადია და სიტყვა ქართული. ამიტომ ვებრძვი ბედს, ხარის ბეჭზე რომაა აღბეჭდილი. — ჩვენ შორის მუდმივია ჭიდილი, რამეთუ ცხოვრებაა რთული და მიუღწეველია წადილი: — ჩვენს ხუცესს კი აღარ უკურთხია წანდილი. ბედნიერი ბედი არ მიწერია, რადგანაც ვარ ეული და ცხრა წელიწადია ქოხი არ მინახავს, პირჯვარი არ გადამიწერია.

ვინ დაინახავს, ვინ გაიგონებს უმოწყალო კვნესას, რომელიც ასე მწველია.

მე ბედი ჩემი დამიწყევლია; — და თუ თავი ჩემი არა ჰგონებს დაემორჩილოს მის ტრიალს; და თუ შენც, ხანდახან, იდუმალ შემოგხედავ, ასულო, — მე, ვინც ვებრძვი დაუქრობელ ალს, — შენ, ჩემო სულო, უნდა ჩემთან იყო იმ ბრძოლაში, მე რო მიმიყვანს აღთქმულ ქვეყანაში, რომელსაც ჰქვია — საქართველო. —

ხელთნაწერი ეს, შვიდი ფურცელია; რიცხვი — შვიდი — ბედნიერების შემცველია. და თუ, ამბობენ, შვიდ წელიწადში ერთჯერ გაიხსნება ცა, — მაცა, ოცნებობდე: — ვინძლო მოვასწრო ნატვრა შენზე და საქართველოზე: — იქნებ დამეკვეთოს ბედათ, და შენთან ერთად ვრბოდე იქ მობიბინე მდელოზე, — ღაქლაქა და მომღიმარ ყვავილთ შესაკრებად... —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამ. ისაბარ

დიდი ემიგრანტი

(ეტიუდი არჩილ მეფეზე)

1. საქართველოს ლიტერატურისა და მწერლობის გზების აღმართ-დაღმართი გასაოცარის მტკიცე პარალელიზმით მიჰყვება ჩ ვ ე ნ ი ეროვნული სხეულის პოლიტიკური განვითარების გზებს. პოლიტიკური ამაღლება, ეროვნული განმტკიცება, სახელისა და რაობის გამოჩენა-ტერიტორიალური გაფართოება — იწვევდა უშუალოდ ქართული მწერლობის ამაღლება-განსხვავებულებას. და თუ თამარის ეპოქა ჩვენს ისტორიას ხერხემალს უმაგრებს და ამაღლებს, ასეთივე ადიდებით მოსავს მაშინდელ ქართველობის სულიერ რაობას და ეროვნულ კულტურას იმ შესანიშნავ მწერალთა და მეხოტბეთა ხომლი, რომელიც თამარს გარს ეხვია; არის მრავალი საბუთი, რომელიც გვაფიქრებიებს რომ ამ ხომლს შოთას, თმოგველის, შავთელის და ჩახრუხაძის გარდა, სხვა ბრწყინვალე მნათობნიც ამკობდენ, რომელთა სახელიც კი არ შეუნახავს ჩვენთვის ისტორიას.

და ცოტა უფრო ადრეც — საქართველოს პოლიტიკურ ძლევამოსილების ხანაში, სახელოვან და მონუმენტალურ დავით აღმაშენებელის დროსაც ვხვდებით ასეთსავე დიდ დაინტერესებას ქართული ლიტერატურით, რასაც თვით დიდებული მეფეთ-მეფე აძლევდა ტონს. ცნობილია მისი მეცენატობა და განსაკუთრებული ყურადღება არა მარტო ქართველ, არამედ მაჰმადიან სუფიებისა და მგოსნებისადმი, რასაც მაჰმადიანი ისტორიკოსებიც ადასტურებენ.

ისტორიამ შემთხვევით შეგვინახა დიდი მეფის კარის ზოგიერთ მგოსნების სახელები; ორი მათგანი არიან: ძაგნაკორელი და დავით საათაბაგოელი. იქნებ დიდი მწერალი მოსე ხონელიც ამ დროს ეკუთვნოდა, რადგან ახალის გამოკვლევების მიხედვით ,,ამირან-დარეჯანიანი'' მეთერთმეტე საუკუნის მიწურულს უკვე თარგმნილი უნდა ყოფილიყო

2. დავითის და თამარის ეპოქის შემდგომ ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებას ასეთს დიდ მწვერვალებზედ აღარ აუღწევია; მისი დიდების მზე გასაოცარის სისწრაფით ჩაესვენა: მონგოლების განმეორებითმა შემოსევამ, სპარსეთის და ოსმალეთის ბატონობამ, პოლიტიკურ — სახელმწიფოებრივმა დაქსაქსვა-დანაწილებამ, ფეოდალების დაუსრულებელმა შინაურმა ქიშპობამ და ომიანობამ, მიხტომ-მოხტომამ საქართველო მოაოხრა და თითქმის გააუკაცრიელა; ამან დასცა კულტურა, დააკნინა ლიტერატ. ტრადიცია და სულ ერთიანად ჩაჰკლა საერო ხასიათის მწერლობა.

ოქროს ეპოქის შემდეგ იწყება დიდი და დაუსრულებელი დაღმართი, რომელიც უკუნეთის წყვდიადით ჰფენს ჩვენს ეროვნულ კულტურულ რაობას. და ეს მაშინ, როცა ევროპაში ჰუმანიზმის და რენესანსის ცეცხლი ჩაღდებოდა, როცა კაცობრიობა ათას ნაირ ბორკილებს ამსხვრევდა და მის წინ გარდაშლილ ახალ ჰორიზონტებისაკენ მედგრად მიიწევდა.

3. თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც დაუდგა საქართველოსაც ერთგვარი რენესანსი. ქართლის პოლიტიკური სხეული ამ დიდ და მძიმე ინტერვალის შემდეგ საგრძნობლად განიკურნა; მისმა მიძინებულმა მწერლობამ ისევ წამოჰყო თავი, საერო ხასიათის პოეზიაც უფრო თამამად გამოვიდა ფართო გზით, შინაარსთან ერთად მან ახალ ფორმებსაც დაუწყო ძიება [თუმცა ამ დროსაც შოთას ჩახრუხაძის ლექსთა წყობა სჭარბობს]

თეიმურაზ I მართლაც პირველი მერცხალია ამ ვერცხლის ხანაში გარდასვლისა, მაგრამ ამ რენესანსისთვის პირველ შინაარსის მიმცემი, მისთვის საძირკველის ჩამყრელი მაინც არჩილ მეფეა. აი, ამათ ვახტანგ მეექვსესთან, თეიმურაზ მეორესთან, მამუკა ბარათაშვილთან, საბა სულხან ორბელიანთან, დ. გურამიშვილთან, ბესიკთან და სხვებთან ერთად ხელახლა გადაჰკაფეს გაბარდული გზა და თითქმის ექვსის საუკუნის წინ გაწყვეტილი ჯაჭვი გააბეს. კვლავ აღსდგა შოთას კულტი და მისი გავლენა ქართულ გონებას ფარავს და მისს სიტყვას ფლობს.

4. მე-18-ე საუკუნე არ ყოფილა უმაღლეს მწვერვალზედ ასვლა საქართველოსათვის. თეიმურაზის თავგამოდებულმა ცდამ, ერეკლეს გენიამ, სოლომონ მეფის სიმამაცემ, სოლომონ ლეონიძის გამჭრიახობამ ვერ შესძლეს ძველი დიდების აღდგენა, ძლევამოსილების ხანგრძლივად განმტკიცება, დავით აღმაშენებლის და თამარის ხანის გაცოცხლება; და განა ამდენ მოოხრების და საუკუნოებრივ სისხლის ღვრათა და მონობის შემდეგ შესაძლებელი იყო ოქროს ხანის შემობრუნება? მაგრამ საქართველომ მაინც მოახერხა ფეხზედ დადგომა, ეროვნულ და სახელმწიფო სხეულის გაერთიანება, მონობის უღლის გადაგდება, საზღვრების სტაბილური გაშლა და ძლიერი ქართული სიტყვის თქმა. და საქართველოს ამ ახალ პოლიტიკურ მაღლობზედ ასვლას თან მოჰყვა ახალ კულტურულ მაღლობთა დაჭერაც. კვლავ აეღერდა სახელოვანი გუნდი მგოსნებისა, რომლებმაც თუ ოქროსი ვერა, ვერცხლის გვირგვინით მაინც შეუმკეს ჯაღარა, მაგრამ მუდამ ჯაბუკ საქართველოს განაწამები შუბლი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნ. ამ ვერცხლის ეპოქის ტიპიური და საუკეთესო წარმომადგენელია არჩილ მეფე. მის თვალის წინ გაიარა ახალმა და მოხერხებულ?ა ცდამ საქართველოს გაერთიანებისამ, რასაც ვახტანგ მე-5-ეს მოქნილი და მასთან მჭრელი ქმნა მტკიცე საძირკველს უგებდა. მართალია არჩილი თვითონ არ მოსწრებია საქართველოს ახლად აღდგომას და მის სტიქიურ გაშლა-გაფურჩქვნას, როცა აღმოსავლეთის და დასავლეთის ქართველობამ უცხო ულელი მოიშორა და სვიმონ ლეონიძის შთაგონებით ძმობისა და ერთგულების პირობა დასდო ურთი ერთ შორის, როცა ერეკლეს ძლიერება არა მარტო კავკასიას მოეფინა, არამედ უცხოეთშიაც საჩვენებელი გახდა. არჩილს ყველა ეს არ უნახავს, მაგრამ ის მაინც მეთვრამეტე საუკუნის პირმშოა, მის მოახლოებას თითქოს ჰგრძნობს; — ის თითქოს მისთვის სცოცხლობდა, მისთვის იბრძოდა, მას ეალერსებოდა და შესტრფოდა, და მისთვის ატარა ეკლის გვირგვინიც — ემიგრანტობის მწარე ფიალა მან ბოლომდის გამოსცალა...

გავიხსენოთ ხელახლა ამ შესანიშნავ პიროვნების, უბედურ მეფის, განაწამებ პატრიოტის და დიდი მგოსნის დრამატიზმით სავსე თავგადასავალი. დღესაც არ მოძველებულა ბევრი რამ იმ დროიდან და არჩილ მეფის ამბები, მისი ეპოპეა, ფიქრები ბევრ საგულისხმო რამეს ეტყვის დღესაც ჩვენს გულს; ბევრი რამ მისი ღვაწლისაგან და სიტყვებისაგან ღრმად ჩაგვაფიქრებს დღეის და შესაძლოა მომავლის ვითარებაზეც, ვინძლო ამან ჩვენც გაგვიმტკიცოს რწმენა, რომ ჩვენც საქართველოს ახალ რენესანსს ვნახავთ.

* * *

ბატონიშვილი არჩილ დაიბადა 1647 წელს. იგია უფროსი ვაჟი მეფე ვახტანგ მე-5-სი თავისი პირველი ცოლის როდამის [ყაფლან ბარათაშვილის ასულის] ხელში. არჩილის პირველ დროის პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა მიმდინარეობდა მამა მისი ვახტანგის უშუალო ხელმძღვანელობის და მფარველობის ქვეშ და როცა ეს დასაყრდენი დაჰკარგა მასაც მწარე დღეები დაუდგა, რომლის დროს მრავალჯერ გამოაცალეს ხელიდან სამეფო ტახტი და ლტოლვილ ქმნეს.

ვახტანგ მე-5-ე (1658—1675 წწ.) მრავალ მხრივ შესანიშნავი პიროვნებაა, რომლის გავლენა ასე ძლიერი ყოფილა მის შვილებზედ. იგი ახლო ეზიარა სპარსეთის მაშინდელ მაღალ კულტურას, საცა ის ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზდა წარგზავნა მისმა მამობილმა, სპარსეთის თაყვანისმცემელმა, მეფე როსტომმა. სპარსეთში ვახტანგი დიდის პატივით და ყურადღებით სარგებლობდა; ყველნმა ის ,,მაჰმადიან ჰყო და უწოდა შაჰნავაზ''. მამა არჩილისა უფრო შეჰნავაზის სახელითაა ცნობილი. მისი ცხოვრება, რაინდობა, ხელმწიფობა და სახელოვანი ომები მემატიანეთ გარდა,სისწორით გადმოუცია მწერალს პოემა ,შაჰნავაზიან'-ში, რომლის ავტორად ფეშანგი ფაშვი ბერტყაძეს ასახელებენ.

შაჰნავაზის დასახასიათებლად სხვათა შორის ისიც საინტერესოა, რომ მან სპარსეთის სალიტერატურო ტრადიციები საქართველოში გადმოიტანა და ეს სიყვარული მწერლობისადმი და მეცენატობა მან თავის შვილებს უანდერძა. ფეშანგი მისი კარის პოეტი იყო, რომლიც მეფეს მრავალ ლაშქრობაში თან ხლებოდა და «შაჰნავაზიან»-ც მას ვახტანგის ბრძანებით დაუწერია. არჩილიც დაახლოებული ყოფილა ამ პოეტთან და მისთვის «ფირმალიანი» დაუწერინებია, რითაც არჩილი არც თუ დიდათ კმაყოფილი დარჩენილა. ვახტანგის დანარჩენი შვილებიც ახლოს იყვნენ მწერლობასთან და განსაკუთრებით გიორგი მეთერთმეტე და ლევანი [მამა მეფე ვახტანგ მეექვსესი].

საკმაოდ ცნობილია პირველის ლიტერატურული ტრადიციები; მისივე თხოვნით და დავალებით საბა ორბელიანმა თავისი უკვდავი ლექსიკონი შეადგინა. აგრეთვე მუდამ ახლოს იყო მეფე გიორგი მეთერთმეტესთან მეორე ცნობილი პოეტი, ავტორი «ჯაშნიკი»-სა, მამუკა ბარათაშვილი; გამაჰმადიანებულ და სპარსეთის მონად ქცეულ ნაზარ-ალი-ხანისაგან დევნილ და დამარცხებულ მეფე გიოოგი მეთერთმეტესთან ერთად ეს პოეტი იმერეთში გადაიხიზნა.

მეფე შაჰნავაზმა საქართველოს ამრიგად საკუთარ სასახლეში კულტურული კერა შეუქმნა. არჩილის თვალწინ გაიარა მამის სახელოვანმა ბრძოლებმა, განსაკუთრებით, აჯანყებულ ფეოდალების წინააღმდეგ, რომლებიც მან საშინლად დაამარცხა და დაიმორჩილა; მანვე ნახა საბოლოო დამარცხება ბატონიშვილ ერეკლესი, რომელმაც შაჰნავაზს რამდენიმეჯერ შემოუსია თუშები. [ბოლოს დამარცხებული ერეკლე სამუდამოდ გარდაიხვეწა რუსეთს 1666 წ]. არჩილი ხედავდა მამის მისწრაფებას საქართველოს გაერთიანებისათვის, რომელიც მან ქართლის, კახეთის და იმერეთის ერთი ნაწილის დამორჩილებით რამდენიმედ კიდეც განახორციელა. ამით აიხსნება ალბად არჩილის დაუცხრომელი, მრავალწლობითი ბრძოლები იმერეთის ტახტისათვის, რის გამო მან კახეთიც სამუდამოდ დაჰკარგა და იმერეთიც ხანგრძლივად ხელში ვერ დაიკავა.

***

არჩილს არ ჰქონია მამის ბედი, თორემ ისე გარეგნობით და რაინდობით ძალიან ჰგავდა მას, რის გამო სპარსეთის ყეენმა ასე დაიახლოვა ის და უძნელდებოდა კიდეც მისი მოშორება. ვახტანგის სახელოვან შვილებში ყველაზედ შესანიშნავი მართლაც ეს უფროსი ვაჟი არჩილი იყო, რომელიც «ბუნებამ უხვად დააჯილდოვა ჭკუა-გონებით, ენამახვილობით, ახოვნობით და ფიზიკური მოხდენლობით». 1661 წელს, 14 წლის არჩილი მამამ შაჰნავაზმა იმერეთში გაამეფა. ეს მოვლენა სახიფათოდ დაინახა ახალციხის ყეენმა, რომელიც დასავლეთ საქართველოს «ზედამხედველათ» ითვლებოდა, ხონთქართან ჩაასმინა, მაგრამ ხონთქარმა საქმეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სულ სხვა მიმართულება მისცა, არჩილის ერთგულებაში დარწმუნდა, შეურიგდა და ლიხთამერეთი დაუმკვიდრა. მაგრამ ყეენს, ამ ოსმალეთ—სპარსეთის გამწვავებულ ურთიერთობის დროს, ხონთქართან მოსალოდნელი უსიამოვნება აშინებდა; მან სთხოვა შახნავაზს გამოეყვანა მას თვისი შვილი არჩილი იმერეთიდან რისთვისაც სამაგიეროდ მას კახეთს, ქიზიყს და მაღაროს უთმობდა, წინასწარ კი თავისთან იბარებდა, რათა შესაფერისად გამასპინძლებოდა და სამეფო პატივი ეცა ახალგაზდა არჩილისათვის. [,,შახნავაზიანი''-ს ეს ცნობები მართალია, ყველაფერში არ ეთანხმება მემატიანეს, მაგრამ მთავარი მომენტები იქაც დადასტურებული არიან.] ბევრი ყოყმანის და თათბირის შემდეგ შაჰნავაზი დასთანხმდა ყეენს და არჩილიც მალე შესაფერის მხლებლებით ვახლა ყეენს, რომელმაც მართლა დიდის პატივით მიიღო იგი, ღირსეულად დააფასა მისი ვაჟკაცობა და ნიჭი, თავისთან დაიახლოვა და შახ-ნაზარ ხანის სახელწოდება მისცა. ამის შემდეგ დიდის საჩუქრებით გამოისტუმრა საქართველოში; გახარებული მამა შახნავაზი მას ერთი კვირის სავალზე მიეგება გზაზედ დიდის ზეიმის შემდეგ თავადებისა და წარჩინებულთა თანხლებით შაჰნავაზმა არჩილი მცხეთაში წაიყვანა, საცა თავადებს სვეტიცხოვლის წინ ფიცი დაადებინა შვილისადმი ერთგულებაში. ამის შემდეგ 17 წლის არჩილი აკურთხეს კახეთის მეფედ და შახნავაზმა პირველ ხანებში თვითონ განამტკიცა ის ტახტზედ [1664 წ.] არჩილი შედარებით მშვიდად და ამასთანავე მტკიცედ ბატონობდა კახეთის ტახტზედ ათი წლის განმავლობაში და ამ მანძილზედ მას მუდამ ჯებირად უდგა ძლიერი და შეუპოვარი შახნავაზი. ქვეყანამ სული მოითქვა, ფეოდალების თავგასულობამ და ღალატიანობამ იკლო. 1675 წ., მამის გარდაცვალების სულ ცოტა ხნით წინ. არჩილმა მოინდომა იმერეთის დაკავება და მამის სურვილის წინააღმდეგ ამ მიზნით დასტოვა კახეთი და გადავიდა ახალციხეში, რათა იქაურ ფაშის შუამდგომლობა, დახმარებით იმერეთი დაიმორჩილოს. სწორედ ამ დროს კვდება შაჰნავაზიც და მამის მფარველობას მოკლებული არჩილის ვარსკვლავიც ჩაექანება.

1667 წ. არჩილმა შეირთო ცოლად იმერთა მეფის ბრმა ბაგრატის ნაცოლარი ქეთევანი, [შვილისშვილი თეიმურაზ I]. ამან ალბად უფრო ადრევე გაუძლიერა წადილი იმერეთის ტახტისადმი. მან, არჩილმა მართლაც ჩაიგდო ხელთ იმერეთის ტახტი [1678], მაგრამ სულ ერთი წლის შემდეგ ოსმალთა მიერ წაქეზებულმა თავადებმა ის უკუ აქციეს და ტახტი გამოაცალეს. ამის შემდეგ არჩილი, რომელმაც ცოლშვილი დვალეთს გადახიზნა, გაემგზავრა აშთარხანს [1681] საცა 3 წელს დაჰყო და როგორც თვითონ მოწმობს ,,მოცლილ'' იყო და სამწერლო მუშაობას მოეკიდა [თუმცა ადრეც უწერია არჩილს]; აქედან ის გადავიდა მოსკოვს' საცა რუსთა დახმარებას ეძიებდა იმერეთის დასაბრუნებლად. 1688 წელს არჩილი იძულებულ მოსკოვიდან ბრუნდება და ეხლა ადგილობრივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცდილობს მომხრეების გაჩენას. ორი წლის შემდეგ ის მართლაც აღერ-
ხებს ტახტის დაბრუნებას, მაგრამ მისი ზეიმი ეხლაც ისეთივე ხანმოკლეა
და 1691 წელს მას ხელახლა უხდება იქიდან გაქცევა. ამის შემდეგ არჩილ-
მა კიდევ ორჯელ იგდო ხელთ იმერეთის ტახტი, [1695 და 1698 წწ.] მაგ-
რამ ორივეჯერ მოკლე იყო მისი მეფობა და 1698 წ. სასტიკად დამარც
ხებული და გაძევებული იგი სამუდამოდ ჰკარგავს იმედს საკუთარი ძა-
ლით რამეს გახდეს,გადადის დვალეთს და იქიდან 1699 წლის გასულს მიე-
მგზავრება მოსკოვს, საიდანაც შემდეგ უკან აღარ დაბრუნებულა...

იმ 12 წლის განმავლობაში, რომელიც არჩილ მეფემ რუსეთს
ემიგრანტობაში გაატარა, მას თან და თან უცრუვდებოდა იმედი, რომ
ერთმორწმუნე რუსეთი მას დანაპირებს შეუსრულებდა და საქართველოს
გაანთავისუფლებდა. რუსეთი მეტად ნელი ტემპით მოიწევდა კავკასია-
საკენ და მას ჯერ კიდევ აფრთხობდა სპარსეთ—ოსმალეთის ძლიერება.
მაგრამ შორეულ გეგმებისათვის საქართველო მისთვის დიდათ საჭირო
იყო. ის უნდა გამხდარიყო რუსეთის დასაყრდენი მთელს კავკასიაში,
მუსლიმან ქვეყნებთან მომავალ ბრძოლებში ერთგული მოკავშირე და
სწორედ ამიტომ საჭირო იყო საქართველოს დაპირებებით შექცევა, მე-
ტი დროის მოგება. ამ მოსაზრებით, ქართველ მეფეებს ხელგაშლით
ხვდებოდენ მოსკოვში, ურჩევდენ ცოტა მოცდას და მანამდე საუფლის-
წულო მამულებით და ნადიმებით იქცევდენ მათ. ალბად პეტრე დიდის
დაპირებებმა და მისდამი რწმენამ გააწირვინა და დაუკარგა არჩილს სა-
მუდამოდ მისი საყვარელი ვაჟი ალექსანდრე, რომელიც ნარვის ბრძო-
ლაში ტყვედ ჩაუვარდა ხელში შვედელებს, რომლებთანაც ათი წელი
დაჰყო და აქედან დაბრუნებისას, ქალაქ რიგაში გარდაიცვალა არჩილის
უნახავად [1674—1710]. აღსანიშნავია, რომ კ. კეკელიძეს ეს ალექსანდრე
(და არა ბაქარის შვილი ალექსანდრე) მიაჩნია «ტესტამენტი»-ს ქართუ-
ლად მთარგმნელად.

პეტრე დიდმა ვერ შეუსრულა დაპირებანი არჩილს და პეტრე
პირველის იმედებმავე გადაიყოლია მეფე ვახტანგ მეექვსეც, რომელიც
საქართველოდან აიყარა ცოლშვილით და 1400-მდე წარჩინებულით 1724
წელს, პეტრეს დანაპირების გასანაღდებლად ეახლა, მაგრამ ცოცხალს
ვეღარ ჩაუსწრო და მისმა მემკვიდრემ (პეტრეს ცოლმა) ქმრის ლოცვა-
კურთხევა გადასცა ვახტანგს და «უბრძანა სიტყვა კარგ გასაგონები»...
მაგრამ ვახტანგსაც არ შეუსრულეს დანაპირები და მასაც არჩილის ბედი
ეწვია. ამ ლოდინში ის მიიცვალა აშთარხანს 1737 წ. რუსეთი კი ამ
გზით უფრო მეტ იზოლიაციაში აყენებდა საქართველოს და სპარსეთ —
ოსმალეთს უფრო სასტიკად ამხედრებდა და ურეკდა მის წინააღმდეგ ამ
არა ლოიალობისათვის; ამით მოსკოვი უბრძოლველად იგდებდა ხელთ
ძალამილეულ საქართველოს, რომელსაც აღმოსავლეთისაკენ დასახევი
გზები მოჭრილი რჩებოდა...

ამას ბოლოს არჩილიც გრძნობდა და ამიტომ მის ნაწერებში
უხვადაა პესიმისტური ჰანგები გაბნეული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

რუსეთში გარდახვეწილი, პოლიტიკურ ასპარეზზე დამარცხებული არჩილი ეხლა უფრო გულმოდგინეთ ეწევა კულტურულ მუშაობას და განსაკუთრებით მის საყვარელ მწერლობას. მისი დროისათვის სამაგალითო მომზადება, ენების ცოდნა, ენამახვილობა და დიდი ნიჭი ასე ნაყოფიერად ხდიან არჩილის მწერლობას, რის გამოც ის თეიმურაზ პირველთან ერთად საუკეთესო წარმომადგენლად ითვლება ქართული ლიტერატურის «აღორძინების» ხანისა.

არჩილ მეფემ მოსკოვში ყოფნისას ჩამოასხმევინა ქართული ასოები (ხუცური), გამართა სტამბა და 1705 წ. დაბეჭდა კიდეც დავითნი. მასვე უნდოდა დაებეჭდა ქართული ბიბლიაც, რისთვისაც დიდი სამზადისიც გასწია, მაგრამ დაბეჭდვას თვითონ ვეღარ მოესწრო. [დაბეჭდეს ბაქარმა და ვახუშტიმ.]

1712წ. მეფე არჩილი გარდაიცვალა მოსკოვის ახლოს, «ვსესვიატსკა»-ში; ეს მამული პეტრე დიდმა უთავაზა მას საუფლისწულოდ რუსეთში ჩაბრძანებისას. აქ გააჩაღა პირველად არჩილმა ქართული კულტურული ახალშენის კერა, რომელმაც ქართული მწერლობის აღორძინების ეპოქის შექმნაში დიდი როლი ითამაშა. აქვე დაასაფლავეს ეს დიდი ადამიანი, რომელმაც თავის ბუმბერაზ ბუნებას პოლიტიკური ნავთსაყუდელი ვერ მოუპოვა და წადილი მწერლობით დაიცხრო.

მისმა ქალიშვილმა დარეჯანმა, რომელიც მამას გარდაცვალების შემდეგაც ვსესვიატსკაში დარჩა [და მრავალი წლის შემდეგ ვახტანგ მეექვსეს რუსეთს ჩასვლისას დახვდა] სახელოვანი მამის საფლავზე ტაძარი აგო. ეს ტაძარი დღემდისაც დაცულია და იქ, არჩილ მეფის გვერდით მრავალი წარჩინებული ქართველი განისვენებს, მათ შორის დიდი მოღვაწე და მწერალი სულხან საბა ორბელიანი, რომელიც ღრმა მოხუცებულობის მიუხედავად, სხვა წარჩინებულებთან ერთად, ვახტანგ მეექვსეს რუსეთს თან გაჰყვა.

***

არჩილის ნაწერებში უმთავრესი და შესანიშნავია «არჩილიანი», რომელშიაც თავმოყრილია მისი საერო ხასიათის ნაწარმოები. ეს წიგნი შეუდგენიათ ჯერ კიდევ არჩილის სიცოცხლეში და მისი ხელმძღვანელობით მის თანმხლებ მწიგნობრებს (ოთი რედაქციით). მთავარ ნაწილს «არჩილიანი»-სას შეადგენს «თეიმურაზიანი», რომელშიაც მოთხრობილია დიდი მეფის და უფრო დიდი პოეტის თეიმურაზ პირველის [1589—1663] თავგადასავალი.

ეს პოემა საუკეთესო საისტორიო წყაროდ უნდა ჩაითვალოს, რომელშიაც უფრო მეტი დეტალებით და სიზუსტითაა გადმოცემული ამბები, ვიდრე ეს მატიანეში მოიპოვება. ისტორიკოსი ვახუშტი ხშირად მიმართავს ამ წყაროს, როგორც სრულიად სარწმუნოს. განსაკუთრებითი სისრულითა და სისწორითაა გადმოცემული მეჩვიდმეტე საუკუნის პირველი ნახევრის ამბები (თეიმურაზ პირველის ეპოქა) და აგრეთვე თამარ მეფის ხანა. აქ არჩილი დიდ ერუდიციას იჩენს, რომლის დროს მემატიანეთა მიერ გადმოცემულ ცნობებს ეყრდნობა, კრიტიკულად არკვევს და პოეტურ შემოქმედებას მარტო ყოველმხრივ შემოწმებული სინამდვილის ჩარჩოებში ამწყვდევს.

ეს პოემა შესდგება 18 თავიდან, ანუ „პასუხიდან" და აქ გაბაასებული არიან შოთა რუსთველი და თეიმურაზ I თავიანთი ნიჭისა და ნაწარმოების უპირატესობათა შესახებ. ეს „გაბაასება" რასაკვირველია პოეტური ხერხია, რაც მე-17-ე საუკუნეში ასე ჩვეული იყო. ავტორის მთავარ მიზანს კი საქართველოს ისტორიის რამდენიმე ეპოქის პოეტურად (და რეალურად) გადმოცემა შეადგენს. ამ პოემის პირველი ნაწილი არჩილს ჯერ კიდევ ოსეთში ს. ფაიქომში დაუწერია, საცა ის გადაიხიზნა, როცა პირველად გააძევეს იმერეთიდან და ტახტი წაართვეს; როგორც თვითონ ამბობს, მაშინ ის 34 წლისა ყოფილა, ხოლო მეორე ნაწილი რუსეთში ყოფნისას (ასტრახანში) დაუწერია. ავტორს, როგორც გავს მთლიანად ამომწურავად არ მიაჩნდა ეს ნაწარმოები, ზოგი მომენტები თეიმურაზ I-ის ეპოქიდან უფრო მეტ დეტალიზაციას და გაშუქებას მოითხოვდენ განსაკუთრებით შეეხება ეს გიორგი საკაძეს, მის მოღვაწეობას და დამოკიდებულებას მეფე თეიმურაზისადმი, რასაც არჩილი მარტო გაკვრით ეხება. იქნებ ამ დიდი და ფრიად უცნაური, აჯანყებული ბუნების პატრონ ადამიანის, — (რომელსაც საქართველოს უზომო სიყვარულმა ღალატიც კი ჩაადენინა), რეაბილიტაცია საჭიროდ მიაჩნდა არჩილსაც, რის საბუთსა ჩვენ ‚თეიმურაზიანშიც' ვპოულობთ. სწორედ ამ საბუთით თუ აიხსნება, რომ მეფე პოეტ იოსებ ტფილელს მიახდობს მისი პოემის (თეიმურაზიანის) ამ ინტერვალის შევსებას, რაც ასე შესანიშნავად შეუსრულებია პოეტს ტფილელს თვის თხუზულებაში — „დიდმოურავიანი". ეს პოემა კ. კეკელიძის აზრით დაწერილი უნდა იყოს 1682-1687 წლებში; ე.ი. თეიმურაზიანის დამთავრების შემდეგ (1681 წ.) და არც შეიძლება უფრო ადრე მომხდარიყო ეს, რადგან, როგორც აღვნიშნეთ „დიდმოურავიანი" არჩილის პოემის განმარტებად — ანუ დამატებად შეიძლება ჩაითვალოს. თვით იოსებ ტფილელი აღნიშნავს ამას „დიდმოურავიანი"ს შესავალში, საცა გვაცნობს, რომ მეფემ, რომელმაც ქართლის ცხოვრება და განსაკუთრებით რუსთველის (თამარის) და თეიმურაზის დრო „გალექსილობით ბრძანა, დაავალა მას — ტფილელს „ცოტა სიტყვა განმიმარტე"; აღსანიშნავია აგრეთვე ამ პოეტის მიერ არჩილის დახასიათება „დიდ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოურავიანში'',საცა ის ამბობს: «მეფევ, სიბრძნით აღსავსეო, ხელმწიფეთა პირმშოვ შვილო, ღრმის სიტყვისა აღმომცნობო და ძნელისა გამადვილო.» აქვე პოეტი თავის თავს არჩილის «ჩრდილ»-ად სთვლის.

თუმცა აქ გადაჭარბებული თავმდაბლობა გამოსჭვივის, მაგრამ არჩილის სიბრძნეზე და ერუდიციაზე ნათქვამი სიტყვები დღეს დავას აღარ იწვევს. კიდევ ერთი ამის საბუთი მაშინდელი დროის სხვა პოეტსაც მოუცია. ეს არის იაკობ შემოქმედელი—დუმბაძე, რომელსაც არჩილთან და გიორგი მეფესთან მწერლობრივი კავშირი ჰქონია და იოსებ ტფილელთან ლიტერატურული მიწერ-მოწერაც უწარმოებია. აი როგორ ამკობს ეს პოეტი არჩილ მეფეს:

«მხნე, ახოვან, ქველ—დიდებულ, ისარ ლესულ ძლიერისა; ხმელ სამყაროს ეთერთ ბურჯის ბრძენთ სფაადის შარვანდისა. ირიოკო, ღრამატიკოს, რიტორ, ვარსკვლავთ მრიცხველისა».

არჩილის ეს პორტრეტი მართლაც უდგება სხვა წყაროებს, რომლებიც დაახლოვებით ამასვე ამბობენ ამ დიდებულ პიროვნების შესახებ, რომლის ცხოვრება სავსე იყო დრამატიზმით.

მართლაც, მისი ნაწერები სრულიად საკმაო სურათს იძლევიან მის ერუდიციაზე. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი მეორე ნაწარმოები, რომელიც ავტორს ასტრახანშივე ყოფნისას დაუწერია: «გაბაასება კაცისა და სოფლისა». ეს ფილოსოფიურ-რიტორული ნაწარმოები სავსეა ფიქრით და მსჯელობით ადამიანთა ცხოვრების უმწეობისა და უკეთესობის შესახებ, და მის ჩივილზე «სოფელი» შესაფერ განმარტებებს აძლევს. «კაცს» ეს პასუხები ვერ აკმაყოფილებენ და პრობლემა გადაუწყვეტელი რჩება, თუმცა ავტორიც «კაცს» ამტყუნებს ცხოვრების მოუწესრიგებლობა-უსამართლობაში. ეს «გაბაასება» ავტორს 1684 წ. დაუწერია ე.ი. 37 წლისას. ამ სიჭაბუკეში ასეთი პესიმიზმი დამახასიათებელია არჩილისათვის, რომელმაც ადრევე განიცადა შფოთი, გამცემლობა, ღალატი, ტახტისა და სამშობლოს დაკარგვა, მეგობრების და ახლობლების მოშორება, რომლებიც მას გულდაწყვეტით ათქმევინებენ: «სხვანნი რამდენნი საყოლნი ყრმანი ჩემთან შეზრდილნი, ზოგნია ჩემნი გამზდელნი და სხვანი ჩემნი დაზდილნი .. აწ ისინი უჩემობით არა სწუხან, ისევ ზმიან... მე აღარვინ მომიგონებს, არ ვიცი თუ რად მიზმიან»-ო. მწარეა ამ ადამიანის ეპოპეა და გასაგებია მისი ჩივილი: «ყირმიზად აყვავებული გული ნაღველმა ინდაო». ასეთი ელეგიური ჰანგები ბლომადაა გაბნელი მის სხვა ნაწარმოებშიც. პოეტი ერთ ხანს კიდევ იტანდა ამ დევნასა და მწირობას, ვიდრე მას პეტრე დიდის დახმარების იმედი კიდევ ჰქონდა; მაგრამ შემდეგ, როცა იმედები დაიმსხვრა, მისთვის მძიმე და სავალალო, დამამცირებელი შეიქმნა სხვის კარზე ყოფნა, ემიგრანტობა... «ჰი ჩემს სვესა«, ამბობს არჩილი, «სად გადამსვესა, მე სადაური სადათ არესა, ბნელსა ჩამსვესა, სისხლი მომსვესა, მგონია ესეც არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაკმარესა...» «ვიყავ მხედარი, კარგ სახედვარი, აწ ვეჭვობ შევგავ კაცს არადელსა»... ამას ამბობს უიმედობით მოცული, პატარა სოფელ ვსესვიატსკაში გამომწყვდეული მეფე, რომლისთვისაც კახეთის ასპარეზიც მცირედი იყო და დასავლეთ საქართველოს დაბრუნებაზედ ოცნებობდა. ემიგრაციაში გადალეული გული ისევ მწარედ მოსთქვამს: «სად შევისწაო, ანლა ვისწაო მე სადაური სადმე ვვლი სადა... ვისი ვის ვისდა, რისა საქმისდა ვიყავ და აწე სად მივებარე...» და გულგანგმირული პოეტი იმედის უკანასკნელ ლანდსაც ეთხოვება და უცხო მხარეში მიტოვებული სიკვდილის მოახლოებას გრძნობს და მწვავედ მოსთქვამს: «რაღას ველოდე ან ვეძლებოდე, გარდუშვებ იმედს სულა მე ბარე, ვხედავ ნიშნებსა, საქმეს მჭიშნესა, მგონც მომეახლა აქა მებარე.» და ჩვენ ვნახეთ, რომ ამ უცხო მხარეში გადატყორცნილ, ჩრდილოეთის «კაი გასაგონი სიტყვებით» დიდის ხნით შეკცეულ მეფეს ტყუილად არ ეშინოდა საფლავის გამთხრელ «მებარეს» მოახლოების. ამ ღირსეულ მამულიშვილის, მეფის და პოეტის ძვლებს ადარ ეღირსა საყვარელ სამშობლო მიწაში მოსვენება...

***

ელეგიურ ლირიკულ ლექსების გარდა არჩილს დაუწერია რამდენიმე ხოტბა, დიდაქტიურ მორალური ხასიათის ლექსები, აკროსტიხები და სხ.. დიდი ისტორიული და მეცნიერული მნიშვნელობა აქვს არჩილის თხუზულებას: «საქართველოს ზნეობანი.» აქ ავტორს, რომელიც უმთავრესად პრაქტიკულ აღმზდელობითი მიზნებით ხელმძღვანელობდა, აუწერია სოციალური, ოჯახური და საზოგადოებრივ — პირადული ზნე— ჩვეულებანი და წესები, რაც კი მისთვის იდეალი ყოფილა. ამ მორალურ კოდექსის დაწერა მართლაც რომ საჭირო გამხდარა იმ ხანად, როსტომისა და შახნავაზის შემდეგ, რომელთაც ფართედ გაუღეს კარი სპარსულ კულტურას და ზნე — ჩვეულებას; ქართული ტრადიციები და წესები თანდათან დავიწყებას მიეცენ და გადაგვარდნენ; არჩილს, როგორც დიდ მამულიშვილს რასაკვირველია არ შეეძლო ამ გარემოებისათვის ჯეროვანი ყურადღება არ მიექცია და ისიც იძლევა ახალგაზრდობისათვის საჭირო ნორმებს ქართულ ნიადაგზე ზნეობრივ, ფიზიკურ და მორალურ წვრთნისათვის. «ბევრი კაცი იმიზეზებსო», ამბობს პოეტი, არა მყავდა მომვლელიო, ზნეობა რომ დამესწავლა, ხარისხ — ხარისხ ამვლელიო..» ამიტომაც აწვდის არჩილი ამ «კაც»-თ ზნეობათა კოდექსს და თან დასძენს: «ახლა რაღა პასუხი გაქვსთ, აი თქვენი მსწავლელიო». საქართველოს ძველ კულტურულ, გონებრივ, და აგრეთვე ფიზიკურ სალაროს შესაფასებლად შეუდარებელია ეს შრომა. ავტორი გვაუწყებს, რომ «საქართველოში იტყვიან სამას სამოცდა ხუთ ზნეობასო». ფიზიკურ და სამხედრო ვარჯიშობებიდან აქ ჩამოთვლილია: მშვილდოსნობა, ცხენოსნობა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცურაობა, ჭიდაობა, ბურთაობა, ნადირობა, ჯირითობა, მეთოფობა, მეჯინიბობა, მუშაითობა, იარაღის გაკეთება და ცნობა, ტან-ფეხის გაწყობა, მინდორობა, და სხ.; შემდეგ ჩამოთვლილი და აღწერილია გმირთა ზნესათვის სავალდებულო წესები (მარაქის გარიგება, ზმა, სუფრობა, მეჭადრაკობა, მომღერლობა, მესაკრავეობა, ნარდი, ცეკვა, მგზავრის წესები, რაინდის ზნეობა-მოქმედებანი, მეთევზეობა, ოხუნჯობა და სხვა); გონებრივი ვარჯიშობა-განვითარების წესები (მწიგნობრობა, მწერლობა, ლექსთმთარგმნელობა, მოსამართლეობა, მრჩეველობა, მელექსეობა ან შაირობა, ანგარიში, მესტროლაბობა და სხ.). საქართველოს ზნეობანიც ავტორს ასტრახანში ყოფნის დროს დაუწერია 1684 წ.

არჩილს ეკუთვნის აგრეთვე ვისრამიანის გალექსვა (არა სრულის) და პროზაული თარგმანი «ალექსანდრიანი»სა; პირველი, როგორც ვიცით ჯერ კიდევ კლასიკურ ხანაში უთარგმნიათ ქართულად და ის ჩაითვლება ერთ უძველეს ქართულ ნათარგმნ საერო ლიტერატურის ნიმუშად, (ზოგის აზრით «ამირან-დარეჯანიან»-ზე უფრო ადრინდელად). აღორძინების ხანაშიც დიდი ყოფილა მისდამი ინტერესი და არჩილსაც გადაუწყვეტია მისი ლექსად გაწყობა, მაგრამ ისე კი რომ ტექსტის ყოველი დეტალი სისწორით დაეცვა: — «სადაფთაგან მარგალიტი მინდა სწორი გამოვკრიბო, ორნატს ღვარძლი გავარჩიო, წმინდა იფქლი შევიკრიბო»-ო, ამბობს პოეტი წინასიტყვაობაში. მაგრამ არჩილს არ დასცალდა ამ შრომის ბოლომდე მიტანა, ის შეუწყვეტია ოცდამეორე თავზე. ამის მიზეზს ავტორი გვაცნობს თავის ბოლოსიტყვაობაში, რომელშიაც ერთხელ კიდევ მოსთქვამს თავის უწყალო ბედზე: — «სულყველას თქმა უბანომან ჟამმან ამად არ მაცალა, სიკვდილმან და მწუხარებამ რაც წინ მედვა ამაცალა»-ო. არჩილს ვისრამიანიც რუსეთში (ასტრახანსა და მოსკოვში) ყოფნისას უწერია. ასტრახანში ერთხელ არჩილის ბინას «დღესა ახალწლისასა» მოკიდებია ცეცხლი და იქ დამწვარა ვისრამიანის გალექსილი თავები, რაიც მან შემდეგ აღადგინა. საფიქრებელია, რომ ამ უბედურების დროს სხვა ხელთნაწერებიც დაეკარგა პოეტს. «ალექსანდრიანი»-ც, რომელიც არჩილს «რუსთ ქვეყანას» უპოვნია, იქავე გადაუთარგმნია პროზით. აქ აღწერილია საგმირო თავგადასავალი ალექსანდრე მაკედონელისა. ეს თარგმანი უპოვნია პროფ. ალ. ხახანაშვილს, რომელმაც ის სპეციალურად გამოიკვლია. შემდეგ ერთმა პოეტმა ეს პროზაული თარგმანი არჩილისა დაუდვა საფუძვლად ლექსად თქმულ «ალექსანდრიანს», რომლის ავტორია ვიღაც «პეტრე», კეკელიძის აზრით, პეტრე ლარაძე, რომელმაც სარგის თმოგველის «დილარიანი» ხელახლად აღადგინა. არჩილს ეკუთვნის აგრეთვე რამდენიმე საეკლესიო ხასიათის ნაწარმოებთა თარგმანი. არჩილსავე ეკუთვნის თარგმანი «ხრონოგრაფისა», რომელშიაც მოთხრობილია საეკლესიო და სამოქალაქო ისტორია ქვეყნის დასაბამიდან ვიდრე კონსტანტინეპოლის აღებამდე.

***

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არჩილ მეფე სამართლიანად უნდა ქართულ ლიტერატურის პირველ ისტორიკოსად ჩაითვალოს და არა მარტო მშრალ ისტორიკოსად, არამედ ქართულ სიტყვა კაზმულ მწერლობის კრიტიკის პიონერად. ამის საბუთს ჩვენ «თეიმურაზიან»-შიაც ვპოულობთ, საცა არჩილი ორთავე გაბაასებულ მგოსნების (შოთას და თეიმურაზის) ღირსებებზე და დამსახურებაზე მოგვითხრობს. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ის «შახნავაზიანმ»-ს ავტორს ფეშვანგის მეორე პოემას «ფირმალიანს» უწუნებს.

სჩანს ამ ავტორს ვერ შეუსრულებია არჩილის დავალება მისდა სასურველად, ვერ ჩამოუსხამს შესაფერს ფორმა — კომპოზიციებში არჩილის მიერ გადაცემული იდეა, რის გამო არჩილის ესთეტიური გრძნობაც დაუკმაყოფილებელი დარჩენილა ამ «უმარილო» შემოქმედებით. ასევე კრიტიკულად იხსენიებს არჩილი დანარჩენ მწერლებსაც, როგორც მაგალითად «ომანიანის» განსწავლულ და მწიგნობარ ავტორს ქაიხოსროს, თანადროულ მწერალს სულხან თანიაშვილს, რომელსაც ამირან — დარეჯანიანი გაულექსია და მრავალ სხვათ.

არჩილი პირველად იძლევა ცოტა თუ ბევრად სრულს აღრიცხვას ჩვენი მწერლობისას თავის «ძველთა და ახალთა საქართველოს მოლექსესათვის»-ში, რომელიც თეიმურაზის და რუსთველის შედარების წინასიტყვაობის მეორე თავშია მოქცეული. არჩილზე წინ მარტო შოთას აღურიცხავს ჩვენი კლასიკური ხანის ზოგიერთი მწერლები (ხონელი, შავთელი, თმოგველი). მართალია, «ომანიანის» ვრცელ პროლოგში ავტორს, ქაიხოსროს, არჩილზე უფრო ადრე მოუხსენებია მგოსნები, მაგრამ აქ ისინი მარტო დასახელებული არიან. ნამდვილი გზა ძველი ლიტერატურის ისტორიკოსებისათვის პირველად არჩილმა გაჰკაფა. მაგრამ არჩილი პოეტი უფრო იყო ვიდრე კრიტიკოსი. ოღონდ მან პოეზიაში ისტორიული ეპოსის გზა აირჩია და არა ლირიკა, რომელიც მის სტიქიასთან ყველაზე უფრო ახლოს იდგა. სწორედ თავის თავზე შეეძლო არჩილს ეთქვა, რაც მან თეიმურაზს მიაწერა: «ტკბილად რაჲ აღმოვმეტყველე ლესები სხივ-შუქებისა, გამოვაჩინე ნათქვამი მე ჩემის მუსიკობისა».

*** ასეთია მოკლე ნუსხა არჩილის მრავალმხრივ სალიტერატურო მოღვაწეობისა, რომლითაც მან ღრმა და უკვდავი კვალი დასტოვა საქართველოს მწერლობის რენესანსის ხანაში, რომელსაც ტყვილად არ ეთქმის «ვერცხლის» ეპოქა. ამიტომ უეჭველად გადამეტებული იყო მისი პესიმიზმი და წარმოდგენა ყოველ ადამიანის უმწეობა-წარმავლობაზე: «ბრძენ ლათინთგან გავიგონე ესე მათგან ბრძნულად თქმული, კაცი მიწა აწ სხეული კვამლი არის აღგზნებული, ბოლო ყოვლთა ნაცარია ქარის პირად დადებული.» არჩილმა, როგორც საქართველოსთვის დაუსრულებლად წამებულმა და დასჯილმა მეფემ, და როგორც დიდმა პოეტმა ჩვენის მწერლობის დიდის ეპოქისამ თავისი თავი მომაკვდავთაგან სამუდამოდ ამორიცხა და მასზე, ვიდრე ქართველი ერი ქართველობს, ვერავინ იტყვის: რომ ის «ნაცარია, ქარის პირსა დადებული»...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. მანწკავა

საგრალმდებლო ოქმი

(ქართველი ინტელიგენცია და გუშინდელი ტრაღედია)

ვინაიდან ეს საკითხი ინტერესს იწვევს, — რედაქ-
ცია საშუალებას აძლევდა და აძლევს ყველა თანამშრომელს თა-
ვისი შეხედულება შეუზღუდველად გამოსთქვას. რედაქ.

«ჯაყოს ხიზნებმა» უცხოეთში გამოიწვია დიდი ინტერესი. დაბა-
და ორი საწინააღმდეგო შეხედულება. პატივსემული კრიტიკოსი ვლ.
ბაქრაძის აზრით: ჯაყო მოსემულია დიდი ვირტუოზობით. თეიმურაზი
მოჭორილი ტიპია და ჩვენ ცხოვრებასთან კავშირი არ აქვს. დებულების
პირველი ნახევარი და მისი მტკიცება სწორია. მეორე ნახევარი საეჭვო.
მეორეს მხრივ ღრმად პატივსემული ქ-ნი თამარ ვარდანიძის ასული სრუ-
ლიად საწინააღმდეგო შეხედულებას აყენებს და მის დამტკიცებას ცდი-
ლობს: თეიმურაზ ხევისთავი ჩვენი ინტელიგენციის უდიდესი ნაწილის
უნაკლო ქანდაკებაა. ჯაყოს შეფასებაში ეთანხმება ვლ. ბაქრაძეს. ერთი
სიტყვით რომანი ჩვენი ცხოვრების ზედმიწევნით დახასიათებას იძლევა...
ჩემის აზრით ვარდანიძის ქალი გულწრფელად ცდება გუშინდელ დღევან-
დელ ამბების შეფასებაში ანდა რაღაც მოსაზრებით აყალბებს გუშინდელ
ფაქტებს, რომელსაც რომანი ეხება. მაშ გავსინჯოთ... პირველად სა-
ჭიროა გამოირკვეს ჯაყოს ვინაობა და რომანის არსი, რომ აქ აღძრული
ძირითადი კითხვები ხელსახებად ნათელი და გარკვეული იქნეს. რომანი
მართლა ჩვენი ცხოვრების შინაგან ვითარებათა ყალიბზეა აჭრილი თუ
პირიქით იგი ისტორიულ ფაქტების გადამახინჯება და გაყალბებაა. რა
ნაირად მოხდა ამ აქტუალურ ლიტერატურულ ნაგავში ამოგორდა მთა-
ვარი თვისებებით სწორი და მართალი, მარა განზოგადოების მხრივ ყალ-
ბი — ჯაყო.

საკითხის დაყენებისთვის: «ჯაყოს ხიზნებში» მიხ. ჯავახიშვილი
შეეცადა დაეხატა ის დიდი პოლიტიკური ამბები, რომელიც მოხდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში გუშინ... პირველი რესპუბლიკა რომ დაეცა. რუსის ჯარმა ქართული მიწის ყოველი მილიმეტრი მახვილით რომ დაიკავა. ესაა რომანის ჩონჩხი... ჯავახიშვილი ცდილობს, რომანის ეს ნამდვილი ჩონჩხი შინაგან კლასიურ წინააღმდეგობების ყალიბში მოკუმშოს... სოციალური საღებავებით გააშავოს... გამოდის რომ რუსეთის სამხედრო ძალას კი არ დაუკავებია ჩვენი ქვეყანა ხიშტითა და ძალადობით, არა... თურმე ნაშინდარელი ჯაყო გამოვიდა თავისი ბიჭებით .. ერთი მაგრად შეიძახა და ,,ყაყანის მოედანი დასცალა და დაიჩემა''... სიყალბე იწყება აქედან... მთელი რომანი სათაურიდან უკანასკნელ სტრიქონამდე ამგვარი სიცრუის დამალვას ემსახურება. ამიტომაა რომ ჩვენ უცნაურ შეთანასწორებასთან გვაქვს საქმე: ჯაყო და თეიმურაზი. პირველი თითქო იშვიათი სისწორით და დიდი ხელოვნებითაა დახატული, მეორე მოჭორილი... ამას ვლ. ბაქრაძე ხსნის ავტორის შემოქმედების საიდუმლოებით... ასეთი საიდუმლოება არ არსებობს, აშკარა არის. ეს იმას ჰგავს, როცა პეტრეს სურათი გინდა დახატო და მარტო ცხვირზე გამოსული მეჭეჭი გადიღო. დანარჩენი ტანი კი გააშავო. თითქოს პეტრე არ არსებობს, არამედ ოთხმოცი კილო თარაქანის ხორცი... ასე მოიქცა ჯავახიშვილი. მან დახატა ქართველი ხალხის ტანზე გამოსული მეჭეჭი. ქართველი ხალხი კი გადააქცია ხევისთავად. მეჭეჭს არ არსებული შინაგანი სოციალური ბაზა გამოუნახა.

ის რაც მოხდა საქართველოში გუშინ,ეს ხომ შინაგან. ეროვნულ სოციალ პოლიტიკურ ძალების შეჯახება არაა, როგორც მაგალითად რუსეთში. რუსეთში რაც მოხდა ეს იქაური, შინაგან ვითარებათა ამბავია. რუსის ხალხმა ერთი აბსოლუტიზმი დაანგრია, სამაგიეროდ მეორე დაამყარა. რუსეთში, ჯაყო რევოლუციამ ამოაგორა. რუსის ხალხის უმრავლესობა მას გვერდში ამოუდგა, რადგან ჯაყო ბევრს ყბედობდა რევოლუციის ქარტეხილში თავის უფლებაზე, ძმობაზე, ერთობაზე, ზავზე და რაც მთავარია, უძრავ-მოძრავი ქონების განაწილებაზე. მართალია, ჯაყოს მარჯვენა ხელში კომბალი ეჭირა და ყველას თავში უჩაჩქუნებდა, მარა, რუსის ხალხი გაბრუვდა ამდენი დაპირებებით. იგი პოლიტიკურად ბეცი აღმოჩნდა და გაყვა ყბედობას.

ჩვენში კი პირიქით. ჯაყო შემოყვა შულავერის «გმირებს», რუსის სამხედრო ძალას. დამკვიდრდა ძალმომრეობით და დღესაც ცხენივით ჭიხვინობს. ჩემთვის გასაგები იქნებოდა «ჯაყოს ხიზნები»-ს ავტორი რომ რუსი იყოს. გაუგებარია, როცა იგი ქართველია.
ვინაა ჯაყო? საიდან მოვიდა იგი?.. ჯაყოები ჩვენში შინაგან საზოგადოებრივ ძალთა განწყობილების გამომხატველი არაოდეს არ იყო და არც დღეს არის. ჯაყო სახელმწიფო მოღალატეთა ორ სახიანი იანუსია. ამ დებულების დაყენების დროს მტკიცება საჭირო არაა. საკმაოა დავხედოთ ტიტველ ისტორიულ ფაქტებს. უკომენტარიოთ, უწილადობილოდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს ფაქტები გვეუბნება: ჯაყო საგარეო ინტერვენციის ნაშიერია... ჩვენს ისტორიაში ბევრია მაგალითი, როცა გვებრძოდა მტერი — თითო ოროლა ქართველი მტრის ბანაკს მოუძღოდა თავის ქვეყნის წინააღმდეგ. როცა უცხო ძალის წინაშე ვმარცხდებოდით ამ ხალხს საგარეო უცხო ძალასთან ერთად სისრულეში მოყავდათ დამპყრობის ყველა სამიზნო გეგმები. არაა მართალი თითქო ჯაყო მხოლოდ გლეხის წრიდანაა გამოსული. არა! ჯაყო ჩვენში ისტორიულად მოდის. იგი ჩვენი საზოგადოებრიობის ყველა წრეში იყო თითო ოროლა მარა მაინც. ჯაყოს საუკეთესო წარმომადგენლები ყავს ჩვენს ისტორიაში: — პავლე ციციშვილი, ზურაბ წერეთელი, ია ფალავანდიშვილი, ქუთათელი ოღოლბერიძეები, შულავარის «გმირები» და კიდევ რამდენიმე «პატიოსანი» გვამი. ყველა ესენი თავისებური მეთოდით ებრძოდენ ქართველ ხალხს, იმის და მიხედვით, თუ რა ნაირ პირობებში უხდებოდათ მათ მოქმედება. ჯაყო ჩვენი ისტორიული უკულმართობის, საუკუნოების მონობის და ეროვნულ თვითშეგნებათა გაჩანაგების საზიზღარი კუზია... როცა რუსულმა იმპერიალიზმა კავკასიის და საქართველოს ყველა ნაწილების დაპყრობა სისრულეში მოიყვანა, ჯაყო ჩინ მენდლებში აგირავებდა სახელმწიფოებრიობის ყველა ძვირფას საგანძურს. ბანქოს თამაშში მიდიოდა მისი მამულის უკანასკნელი დღიური. დღეს ჯაყომ გლეხის გაპოხილი ჩოხა გადაიცვა და ქვეყანას თავში ურახუნებს... ჯაყომ ბევრი ცვლილება განიცადა ციციშვილიდან ჯივაშვილამდე... ეს გენეალოგია გრძელია და მრავალ მხრივი. ჯაყოს ათასი სახე აქვს ამ გენეალოგიაში... ჯაყოს იძლეოდა ჩვენი საზოგადოებრიობის ყოველი წრე, როცა ჩვენი ქვეყანა საგარეო თავდასხმის საბედისწერო წუთებში იყო. ჯაყო მედროვეა. იგი ყოველთვის გამარჯვებულის მხარეზე დგას. პირველი რესპუბლიკის დროს ჯაყო გაჰკიოდა: „გაუმარჯოს რესპუბლიკას, გაუმარჯოს ქორდანიას". როცა რესპუბლიკა და ქორდანია რუსეთის სამხედრო ძლიერებამ დაამარცხა, ჯაყომ ფირფიტა გამოცვალა: „ძირს რესპუბლიკა, ძირს ქორდანია, ეს ბურჯუაძიაა.". ჯაყოსთვის სულ ერთია ვინ გაიმარჯვა. მტერმა თუ მოყვარემ. ჯაყოები ყოველთვის სახელმწიფო მოღალატეები იყო ჩვენში და დღესაც ასეა... და თუ დღეს ჯაყოს ხალვათი პაიჭები და ჭრელი წინდები აცვია. ეს იმიტომ რომ უკანასკნელი ღალატი მუშისა და გლეხის სახელით მოხდა... მაშ დაკვირდით რა ვებერთელა და ძირეული განსხვავებაა, ქართველ და რუს ჯაყოს შორის. რუსეთში ჯაყო შინაური რეაქციაა. შურის ძიებისა და სისხლის შიშველი სიმახინჯე. ჩვენში საგარეო ინტერვენცია ეს რომანში არ ჩანს. ნამღვილი ამბავი კი ასეთია.

მიხ. ჯავახიშვილი წელებზე ფეხს იდგამს, რომ ჯაყო ჩვენი ცხოვრების შინაგან სიჰრტყიდან ჩამოკვეთოს. შინაგან სოციალ პოლიტიკურ დუღილიდან გამოსჭრას. «ასე იფიქრა და ისაზრა ჩხირკედელა წიგნის მატლმა და ქაჩალა თაგვმა, სანამ თავისივე თათებით გამოჩხრეკილი კატა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავთ არ წაადგა... ის კატა ჯერ თითქო ნამდვილ კატის კნუტს ჰგავდა —შინაურ კატუნას წყნარსა და ფრუტუნას, მოქნილსა და ხავერდოვანს, დაგეშილსა და ალერსოვანს. ჯერ თვალებიც არ ჰქონდა ახელილი, თათებზედაც ძლივ ეტყობოდა დონდლო და ჩვილი ბრჭყალები, ხოლო კბილის მაგიერ პაწაწინა კიჩებმაც ძლივს ამოსჭრეს ღძილები... თეიმურაზი სიხარულით ცას დაეწია, სიცოცხლის ნატვრა აუსრულდა... სამოთხის კარები გაეღო! დღე და ღამე ქუდმოგლეჯილი დარბოდა წითელ ბაირაღს იქნევდა ჩახლეჩილი ხმით გაჰკიოდა — თავისუფლებას გაუმარჯოს! რევოლუციას გაუმარჯოს! ძირს მეფე და ძალადობა!.. და მეათასჯერ სწერდა და ილოღნიდა... შემდეგ თანდათან დაინახა და დარწმუნდა, რომ ამდენი ხნის ნანატრი და ნაცოდვილევი წითელი მხეცი მისი გასართობი და სათამაშო კნუტი კი არ იყო, არამედ ნამდვილი ვეფხის ბოკვერი.... აღმოჩნდა. თეიმურაზი შეშინდა და საქვეჩნოდ ყვირილი მოართო... დაბით! დაიჭირეთ! გალიაში ჩასვით!.. თან წითელ ფერს გაურბოდა უწინდელ დროშებს სწვავდა, თაგვის სოროში ძვრებოდა... შიშისგან კანკალებდა და ნადირის ნავარდს დამფთხალ თვალებს არ აშორებდა. ბოლოს, როცა ბოკვერი ვეფხად გადაიქცა და იმ ვეფხმა რამდენიმე ნახტომით და გულშემზარავი შეძახებით ყაყანის მოედანი დასცალა და დაიჩემა შიშისაგან გადარეულმა თეიმურაზმაც უმალ ზურგი მიიბრუნა, უგზო უკვლო თავდაღმა დაეშვა და გაჰკიოდა: «გვიშველეთ, დავიღუპეთ.. გვიშველეთ!.» როგორ მოგწონთ!.. 1921 წ. რუსეთ საქართველოს ომი ნაშინდელ ჯიკაშვილის ერთი უბრალო შეძახება ყოფილა!? რაოდენ გაბოროტებული უნდა იყოს კაცი რომ ასეთი ცილის წამება ისროლოს ქართველი ხალხის წინააღმდეგ. ეს გრძელი ტირადა მიტომ ამოვწერე, რომ იგი ზედმიწევნით ახასიათებს ავტორის სულის კვე თებას, რომლის «მხატრულ» დალაგებას იგი შეეცადა რომანში. ეს გრძელი ტირადა ხსნის რომანის მთელ კვანძს ე. ი. იმას, რაც ჯავახიშვილმა სთქვა... რისი დანახვაც მან განიზრახა... და მისებურად სისრულეში მოიყვანა. ჯავახიშვილის ვექილები იტყვიან: ავტორს ასეთი რაჰეები რომ არ დაეწერა, წიგნს ბაზარზე ვერ გამოიტანდა... და ჯობს სულ არაფრის თქმას გლახად თქმა თუ ამ სიგლახეში, ცოტა რამ სიმართლეა... ჯერ ერთი ამ სიგლახეში არავითარი სიმართლე არაა... და მერე ასე მხატრული ნაწარმოები არ იწერება. ეროვნულ ცხოვრების დახასიათების დროს ასე არ იქცევიან.

მთელი რომანის გასწვრივ არაა არავითარი ცდა ქართველი ჯაყოს დეფინიციისათვის. ჯაყოს თავისი ნიშნობლივი ქართული დამღა მოხსნილი აქვს... ჯაყო საინტერესო პორტრეტია მარა იგი ქართულ სოციალური ექსპერიმენტის მედროშეთაა გამოყვანილი... რომელმაც თითქოს ჩვენი ქვეყნის შინაგან ძალებით გაიმარჯვა. ესაა სიყალბე. ამიტომაა რომ რომანს ადმინისტრატიულ მოხელის განზრახ და მიკერძოებით დაწერილ საბრალდებლო ოქმის სუნი უდის. ესაა ენერგიული ცდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1918 წ. 26 მაისიდან ჩვენი ისტორიის ახალი და მეტად საინტერესო თავი მოშალო. ჩვენს სახელმწიფოებრივ კვდრეთით აღდგომას ფეხი დაადგა... როცა სახელმწიფო გამომცემლობამ ეს წიგნი ორჯერ გამოსცა იგი გარკვეული მოსაზრებებილ ხელმძღვანელობდა.

იმ ამონაწერში რომელიც მე ზევით მოვიყვანე ჯავახიშვილი გარკვეულად აყენებს უდიდეს ცილის წამებას ქართველი ინტელიგენციის წინააღმდეგ... თითქოს ჩვენი ინტელიგენცია თითონ ამზადებდა იმ ტრაღედიას, რომელიც ჩვენს ხალხს თავს დაატყდა 1921 წ. მთელი რომანის გასწვრივ ამ ბრალდებას იგი ყოველ ფეხის ნაბიჯზე იმეორებს: «უკანასკნელ ხანებში თეიმურაზი ქართული კულტურის სამ ტომინ ისტორიას ადგენდა და შიგ და შიგ ათობით სწერდა, საგაზეთო წერილებს, მოხსენებებს, გამოკვლევებს, დასკვნებს, შენიშვნებს, და თან საიდუმლო კრებებზედაც დადიოდა და სხვებთან ერთად ღრღნიდა და სჭამდა იმ ტოტს, რომელზედაც არხეინად ეძინა და უდარდელად ფუსფუსებდა». (გვ. 25) რომელ ტოტს ღრღნიდა ქართველი ინტელიგენცია?!. ეროვნულ ცხოვრების ტოტს?!! ვითომ? მაშ ჩაათვალიერეთ ამ შეუსწავლელ და ხელმოუკიდებელ ისტორიის საბუთები და დაინახავთ, რომ ჯავახიშვილის სასარგებლოდ იქ ერთი მოხრილი კითხვითი ნიშანიც არ აღმოჩნდება. მ. ჯავახიშვილმა ამ შემთხვევაში ყველაფერი შეგნებულად მოიმოქმედა. მიუდგომელი მკითხველი ხედავს, რომ ეს ნამოქმედარი ყალბია... სიყალბე იწყება ჯაყოდან. დანარჩენი მომქმედი პირები რომანში ამ სიყალბის დაფარვას ემსახურება. ხევისთავი და ყაფლანიშვილის ასული უბრალო მსხვერპლია ამ შემთხვევაში. მე მიკვირს ბ-მა ბაქრაძემ ეს რატომ ვერ შეამჩნია. ვინც საკითხს ასე არ დააყენებს იგი ან ვარდანიძის ქალწულს უნდა ამოუდგეს გვერდში ან და ბაქრაძესავით ავტორის მხატრული შემოქმედების საიდუმლოებით ახსნას ეს ოდიოზური მდგომარეობა. ჯაყო კარგია, თეიმურაზი ცუდი. ეს არაა სწორი.

ამ გვარად როცა მთავარი საკითხი, ჯაყოს ვინაობა და რომანის არსი გამორკვეულია ეხლა ადვილია გავერკვათ მთელ რიგ კითხვებში, რომელსაც უხეიროდ დაწერილი რომანი (სტილის მხრივაც) ჩვენს წინაშე აყენებს.

თეიმურაზ ხევისთავი. ეს პორტრეტი უეჭველად საინტერესოა... იმ მხრივ კი არა თითქოს იგი დიდი ხელოვნის ხელით იყოს შექმნილი და იძლეოდეს ჩვენი ინტელეგენციის ან საზოგადოებრიობის, რომელიმე ნაწილის შინაგან და ღრმა დაფარულ ხაზებს... არა იგი ყალბია და ესაა საინტერესო... ხევისთავი ცვედანია — პატალოგიური ტიპი. ეს ფიზიკური დეფექტი ნათლადაა მოცემული რომანში. საბუთი პირველი: «ერთ დღეს ვიღაცამ გაკვრით ჰკითხა თეიმურაზს: თეიმურაზ რატომ ცოლს არ ირთავ? იმ დღიდან ეს აზრი მას არ ასვენებდა. ზოგჯერ მისი გული ჩიტივით შეფთხიალდებოდა, მაგრამ მაშინვე ფრთა მოტეხილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწყდებოდი, რადგან მოწონებული ქალი ერთი საათის შემდეგ ავიწყდებოდა. ხოლო მეორე დღეს იმ ქალს ვეღარც კი სცნობდა.» აშკარაა არამც თუ ცოლის შერთვაზე, არამედ საზოგადოთ ქალზე თეიმურაზს არაოდეს არ უფიქრია. ეს მას სრულიად არ აწუხებდა. ვიდრე ვიღაცამ არ გაახსენა. საფიქრებელია ხანში შესული თეიმურაზი ან სქესობრივად მოუმწიფებელია ან დაბადებიდან ავადმყოფი — ცვედანი.

საბუთი მეორე: «თეიმურაზს ძარღვებში სისხლის მაგივრად თითქო გაზეთების ნაგლეჯებით ჰქონდა დატენილი. დედაკაცი იმის მდორე ბუნებას უძალო ნიავივით ძლივს აღელვებდა. მისი დაშრეტილი და დონდლო სისხლი ვნების ქარიშხალით არაოდეს არ ატეხილა. (გვ. 26) საბუთი მესამე: (მარგოს გაუპატიურების სცენა ტყეში) «რიერაქზე ჯაყო ერთხელ კიდევ აცოცდა ურემზე. და იმ ჩარდახიდან კიკილისა და ტირილის ნაცვლად დედაკაცის ვნებიანი კვნესა და თავდავიწყებული ბოდვა მოისმა. მიძინებულმა მარგომაც პირველად გამოიღვიძა. გაკვირვებით თვალი გაახილა. და ხარბად დასწვდა ცხოვრების ერთ საუნჯეს, რომელიც ამ ქვეყნად არც კი ეგულებოდა. რაც უნდილმა და ჭია ნაჭამმა თეიმურაზმა თავის უბის ვნებით ათ წელიწიდში ვერ გაუთბო მარგოს, ჯაყომ ათ წუთში აუდუღა და აუჩქროლა» — და შემდეგ — «მისი ტანი საამურის შანთით დაიდაღა და სხივნაკრაკ კოკორივით გაიფუჩნა.» (გვ. 56 -57) და ასე ბევრი დამახასიათებელი ადგილების ამოწერა შეიძლებოდა, მარა რაც ამოვწერე ესეც საკმაოა ხევისთავის ავადმყოფობის დასამტკიცებლად. რაში დასჭირდა ავტორს ხევისთავის ასე ავადმყოფად წარმოდგენა? ეს მიტომ რომ, ჩვეულებრივი ნორმალური ადამიანის იმ გვარად დაგლახეპა, როგორც ხევის თავია მეტის მეტად ძნელი და სახიფათო იქნებოდა. ავტორმა შეგნებულად მიმართა ამ ხერხს. სხვა მხრივ ამის ახსნა შეუძლებელია...

ხევისთავი სრულიად უნებისყოფოა. არც ერთი გადაწყვეტილება სისრულეში არ მოუყვანია. ხევისთავი თითქოს ყველაფრის მცოდნეა ნამდვილად კი არაფერი არ იცის არც საკუთარი ერის ისტორია არც ზანზიბარის ამბები. ტყუილად ცდილობს ჯავახიშვილი ხევისთავი საქართველოს ისტორიაში ჩასჭრას და მსოფლიო პოლიტიკის მცოდნეთ გამოიყვანოს. ავტორი ჰაერში დაბორიალობს, ყურით მოათრევს თვითეულ არ არსებულ ფაქტს ერთად აჯგუფებს, რომ ხევისთავი დააგლახოს. თითქოს ამით უნდა დაჰკრას ჩვენი საზოგადოებრიობის ერთ ნაწილს, იმას ვისაც ჩვენი ისტორიის ზიგზაგიანი ორმოცი წელი ზურგზე ჰკიდია, ესაა გუშინდელი და დღევანდელი მებრძოლი საქართველო... ამ საქართველომ «ჯაყოს ხიზნების» ავტორისთანა ჯავახიშვილებს სილა გააწნა ღალატისა და ქონდრის კაცობისათვის...

ხევისთავი უვიცია. მას ატყუებს ჯაყო. რანაირად მოხდა რომ, განათლებულმა და მსოფლიო პოლიტიკის მცოდნე ხევისთავმა უბრალო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიმატება და გამოკლება არ არის. ესეც საქართველოს ისტორია ხომ არაა!

ხევისთავი ლაჩარია. მას იოტის ოდენა თავმოყვარეობა არ აქვს. მას შეურაცყოფას აყენებს ცოლი, ჯაყო და ყველა გამვლელ გამოვლელი. ხევისთავი იობის მოთმინებით იტანს ყოველივეს. ყველაფერი შეიძლება წაართვათ ქართველ ადამიანს მარა თავმოყვარეობას კი ვერა... თავმოყვარეობა მისი ბუნების განუკვეთელი თვისებაა. ხევისთავი განათლებულ მოქალაქედ რო გამოიყვანოს, ავტორი ხმარობს ყოველნაირ საღებავს. ხშირად იმეორებს ერთსა და იმავეს. აწერს ხევისთავს მეცნიერების ყველა დარგის ცოდნას, მარა დამჯერებელ შთაბეჭდილებას მაინც ვერ ქმნის. ყველაფერი ეს ჭორია და უხეიროდ ენის მოფხანა... ხევისთავს, რომ რაიმე სერიოზული განათლება ჰქონდეს რომელიმე დარგში, მას თანამოაზრეები ეყოლებოდა. მის წერილებს და გამოკვლევებს წამკითხველი. მის რადიკალურ აზრებს თანამგრძნობი. მას არც ერთი არ გააჩნია. ხევისთავი მარტოა ჩამოკიდებული საქართველოს ცის გუმბათზე: უმეგობრო, უთანაგრძნობო, უაუდიტორიო... ქაჩალა თაგვი, წიგნის ჩრიჩილი დონდლო და უხერხემლო...

ხევისთავს არ აქვს არც პიროვნული და არც საზოგადოებრივი მე. იგი არა რაობაა...

საკვირველია რა ნაირად გამოყავს თ. ვარდანიძის ასულს თეიმურაზ ხევისთავი — ეს არა რაობა და დაჭმუჭვნილი გაზეთის ჩვარი თათქარიძის მოდგმიდან თუ გინდ ფსიხოლოგიურადაც... თათქარიძეები იყო ჩვენს ცხოვრებაში, კარგა ბლომად მას თავისი პიროობები ჰქონდა და თავისი დრო... თათქარიძე განსაზღვრული წოდებისა და წრის წარმომადგენელია — თავად-აზნაურობის ერთი ნაწილის. არაა მართალი თითქო მთელი საქართველო თათქარიძეებით იყო დასახლებული. ეს რომ ასე ყოფილიყო ილიას მჭრელი თვალი და ფაქიზი ყნოსვა ამას შეამჩნევდა. მაშინ ილია გაანზოგადოებდა თათქარიძეს, როგორც ამას ცდილობს თ. ვარდოსანიძისა.., რაღა მხოლოდ იმ წრეში დაინახა ილიამ თათქარიძე, რომელსაც წოდებრივათ თითონ ეკუთნოდა და სხვაგან კი ვერ შეამჩნია. არა! ილია დაუზოგველი და მართლის მთქმელი იყო ყველას მიმართ იგი გამოცდილი დოსტაქრის ხელით სინჯავდა ჩვენი ეროვნულ სხეულის ყველა ნაწილებს. თათქარიძე შეგიძლიათ გაასამართლოთ, შეგეზიზღოთ, უარყოთ. ხევისთავი ისეთი საღებავებითაა შექმნილი, რომ მისი გასამართლება შეუძლებელია. ზიზღის გრძნობასაც არ იწვევს. უარყოფასაც აზრი არ აქვს, რადგან ხევისთავი თვით უარყოფის უარყოფაა...

ვარდანიძის ასული განსვენებულ არჩილ ჯორჯაძეს იშველიებს. არჩილი ხომ გუშინდელ საქართველოს ეკუთვნის, ორმოცი წლის ისტორიაში ძარღვიანად რომ შემოდის. ამ საქართველოს ჯავახიშვილმა ხევისთავის დაჩვარული ტყავი გადააცვარა და ძარღვები სისხლის მაგივრად დაჭმუჭვნილი გაზეთით დაუტენა... ვარდანიძისა შველის ჯავახიშვილს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოცდილ მოხელის მიერ დაწერილ ოქმს ლიტერატურული დასაბუთება რომ მისცეს. იგი სწერს: «ნუ დავხუჭავთ თვალებს და საქართველოში თეიმურაზებს ბეკრს დავინახავთ... თეიმურაზები ეკუთვნიან ყველ წრეს. ის ცხოვრობდა სხვების ხარჯზე. საზოგადოებას, ან პარტიას, ა ოჯახს, ან მეგობრებს მძიმე ტვირთად აწვებოდა და თავის მოჩვენებით საქმეს აკეთებდა... და ეგრედწოდებულ საზოგადო მოღვაწეობას ეწეო და». (იხ. კავკასიონი წიგნი მესამე) მაშ გამოდის რომ ჩვენი ორმოცი წლის ხალხსნური და დემოკრატიული მოძრაობა უსისხლო და დონდლო ხე ვისთავის ნაცარ ქექიობა და ჩხირკედელობა ყოფილა?! ნუთუ?.. ხალხის დემოკრატიული აღზდა, მუშათა წრეების ორგანიზაციული შეკავშირება დაბალი სკოლების და კოოპერატიულ სავაჭროთა ქსელის გავრცელება, თვითპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა, საზოგადოებრივი აზრის გაწვრთნა და იდეური გათვითცნობიერება... და სხვა და სხვა... ნუ თუ ყველაფერი ეს ღელეში ქვის რახუნი კენჭობიას თამაში და ხევისთავის უნიჭო სტატიების წერა იყო, რომელსაც მის მეტი არავინ კითხულობდა?! ვის მოუბრუნდება ენა პირში ყველაფერი ეს მასხრობად და ენის მოსაფხან საქმედ გამოაცხადოს?! ჯერ ჯეროობით ორი კაცი აღმოჩნდა ამ აზრის მქადაგებელი: მ. ჯავახიშვილი და ვარდანიძის ასული.

რა საკვირველია თქმა იმისა, რომ მთელ ამ მუშაობაში შიგა და შიგ შეცდომები არ იყო — არ შეიძლება. აბა დაასახელეთ ვინაა ის ვინც არ ცდება?.. ესენია გულზე ხელდაკრეფილი ქონდრის ჯუჯუ კაცები, ხალხის გაჭირვებას გულგრილად გვერდს რომ ჩაუარს და სასაფლაოს ქვები, სადაც «მრავალნი განისვენებენ».

ნუთუ ჩვენი საზოგადო მოღვაწეები, ინტელიგენტები და რა ინტელიგენტები, ხელმძღვანელები და ჯარისკაცები, ისინი ვინც ხალხის გაწვრთნას და ორგანიზაციულ შეკავშირებას მსხვერპლად შეეწირენ, ციტაიგებში და დაბანგულ საპყრობილეებში სული ამოხდათ... ესენი საზოგადოებას, პარტიას, მეგობრებს ზედ მეტ ბარგად აწვათ მათ ჯიბეებზე ცხოვრობდენ და «ეგრედ წოდებულ, თავიანთ მოჩვენებით საზოგადო მოღვაწეობას ეწეოდენ»!? პირიქით, რამდენია დღესაც იმის ცოცხალი მოწამე, რომ ეს მებრძოლი რიგები საკუთარი ნივთიერი სახსარით ეწეოდენ ამ ბრძოლას... და ესეც რომ ასე არ იყოს განა შეიძლება ასეთი ბრალდების დაყენება იმათ მიმართ ვინც ბავშური სისპეტაკით და რომანტიული გატაცებით დაიღუპენ შავი წლების უშავეს უფსკრულში?.. საზოგადოთ ამ ისტორიის მასალები ხელმოუკიდებელი და შეუსწავლელია და კაცმა რაც არ იცი, იმაზე უსაბუთო ლაპარაკი, ყოველგვარ საბუთ მოკლებულია. როცა მიუდგომელი ისტორიკოსი ამ ისტორიის ყველა ფა'ტებს დაალაგებს და შეისწავლის შეამჩნევს: რაოდენი გმირობა და თავდადება, რაოდენი ენერგია და მსხვერპლთ შეწირვა და როგორი წარმოუდგენელი სიძნელეები და დაბრკოლებები იყო ამ მუშაობაში...

ჭოლა ლომთათიძე სწერს თავის დღიურში: «მიადე ხელი რკინას, შენგან სითბოს წაიღებს თითონ კი არაფერს მოგცემს — ასეა ხალხი შენგან ყველაფერს ითხოვს თითონ არაფრის ძომცემი არაა!..» ეს თქვა კაცმა რომლის თავგანწირულებისა და საკუთარი ერის კეთილ დღეობის სამსახურში გაბოროტებული მტერიც კი ეჭვს ვერ მიიტანს. შეიძლება ეს სიტყვები გადაჭარბებულია, მარა იმ დროისათვის ფრიად დამახასიათებელი.

ეს წელიწადზე მეტი ჩვენი ცხოვრება დალურსმული იყო იმ ადმინისტრატიულ რუქაზე პავლე ციციშვილის მანათიანმა ჯარისკაცებმა რომ მოხაზა... აბა ჩაათვალიერეთ ეს შავი საუკუნე, რომელმაც საქართველო სასიკვდილოთ დასჯრა, დიდი ხნით დაასნეულა და თქვენ დარწმუნდებით: ქართველი ხალხი და მისი საუკეთესო წარმომადგენლები, მუდამ დაბჯენილი იყო მკერდით ქართულ ნიადაგს. და შინაურ და გარეშე მტერს ერთხაირი დაუზოგველობით ებრძოდა... ეს ბრძოლა იყო ისე მძიმე, ხანგძლივი და სასტიკი, რომ ქართული საზოგადოებრიობა გახლიჩა სამ ნაწილად. 1. რუსეთის ბატონობის ერთგულნი და გამტარებელნი. 2. ქართული ნიადაგის შეურიგებელი დამცველნი. 3. იმედ გაცრუებულნი. რომელთაც მარჯვენა ფეხი შეურიგებლებთან აქვს, მარცხენა კი სანახევროდ, ან მთლად გადადგმული რუსეთის ერთგულებთან. ეს სამი ხაზი თანიდანვე მე-19-ე საუკ. დასაწყისიდან ჩამოყალიბდა... ყველას ჩინებული წარმომადგენლები ყავდათ და ყავს... მარა ბოლოს შეურიგებლებმა გაიმარჯვა. საქართველო აღსდგა. აღსდგა და 21 წ. ისევ დაეცა. შეხედეთ დღეს დაცემულ საქართველოს. ისევ ეს სამი ხაზი, შავმა საუკუნემ ჩვენს ცხოვრებას რომ უანდერძა. დღეს შეურიგებლები ასი პროცენტით ძლიერია მათ წინაპრებზე. ცხრა წლის ლეგენდალური ბრძოლა, უთანალავ გმირების საფლავები, მდინარეებად დადენილი სისხლი და შეურიგებლობის რიცხვის სტაციონალობა ამას ღაღადებს. ერთი მეტად მკვეთრი ნიშნობლივი თვისება ახასიათებს ქართველ ადამიანს, ესაა აქტიობა. აქტიობა მისი ბუნებაა და შინაგანი სტიქია. სულერთია რომელ დაჯგუფებას არ უნდა ეკუთვნოდეს იგი. შერიგებულსა თუ შეურიგებელს, იმედ გაცრუებულსა თუ მოღალატეს.

ეხლა დაუბრუნდეთ ხევისთავს ამ უსისხლო და დაჩვარულ გვამს... და დაბეჯითებით გავსინჯოთ ჩვენი ისტორიის ყველა საბუთები. ჩვენი ინტელიგენტები, საზოგადო მოღვაწეები, ჩვენი საქმიანობა. აქ ასეთი უცნაური ცომიდან მოზელილი ნაგვი არ ჩანს. შეიძლება ერთი ან ორი კაცი იყო საქართველოში ქართული გვარით, ქართული შთამომავლობით სულ ერთია იგი გლეხი იყო თუ თავადი, ნაშინდარში ცხოვრობდა თუ ბანოჯაში, მარა ამას ჩვენი ცხოვრების ამღვრეულ მიმდინარეობასთან არავითარი კავშირი არ აქვს... კუზიანი და მახინჯი ოჯახშიც იბადება მარა არავის აზრათ არ მოსვლია მთელი ოჯახი კუზიანათ გამოეცხადებიოს.

«ჯაყოს ხიზნებში» ხევისთავსა და ჯიკაშვილს გარდა ყურადღებას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იქცევს ყაფლანაშვილის ასული მარგო. თავადის ქალი, საშვალო განათლებით, მუსიკისა და ცეკვის მოყვარული. ჯანსაღი, მხიარული და კეკლუცი. მარა ბოლოს ჯავახიშვილი ვერ ითმენს და მარგოც ჯაყოს ხამსხვერპლოზე მიიტანა. ვთქვათ მარგო პირველად შეცდა არჩევანში, როცა თეიმურაზს გაყვა. თეიმურაზი ცვედანი იყო და მარგო ეს ჯანსაღი ტანი და აღვენთილი ვნება, პირდაპირ დაიტანჯა ფიზიკურად მახინჯ ადამიანთან. პირველ ხანებში ამას იტანს მარგო, რადგან ხევისთავთან მას კეთილი ცხოვრება აქვს, ეს ბუნებრივია და გასაგები. მარა როცა ეს კეთილი ცხოვრება დაილია, მარგო ჯაყოსთან ჯერ სქესობრივ კავშირს იჭერს მერე მის ხასად ხდება. მარგო თითქოს შეწუხებულია ამ გარემოებით, იგი ასე ამსჯელობს: «რომ გაიგონ კიდეც ვინ იცის იქნება სჯობდეს. სამუდამოთ შერჩე ჯაყოს. ჯაყო ყველაფერს მოგცემს რაც შენ გინდა: სიყვარულის ცეცხლს, კეთილ ცხოვრებას, ახალგაზდა ვაჟკაცის ჯანღონეს და დღევანდელზე უკეთეს მომავალს. თეიმურაზი კი, მას აქვს წარსული, მიმავალთა შორის პატივი, საჯურისის ცოდნა და ზანზიბარი, დაანებე თავი თეიმურაზს!..» მარგო ცოტი ხნით ყოყმანობს. მარა ბოლოს ამ გადაწყვეტილებას მიიღებს და თავის ცხოვრების სახარებად გადააქცევს... ადვილი წარმოსადგენია ზოგიერთმა ქალმა კეთილ ცხოვრებისათვის ბევრი რამ გასცვალოს, მარა საკვირველია რა ნაირად შეიყვარა ამ ქალმა ჯაყო — ტყიდან გამოვარდნილი მხეცი, წვირიანი და აყროლებული. ნუთუ მარგომ ყველაფერი აღვირ აღსნილ ვნებას შესწირა!.. საეჭვოა...

ნუ თუ საქართველო მხოლოდ ხევისთავებით და ჯავახიშვილებითაა დასახლებული. რასაკვირველია რომ არა... რატომ მარგოს არ შეეძლო სხვაგან მოენახა თავისი ტოლი და სადარი. არა ჯავახიშვილი წინასწარ განზრახულ გეგმით მუშაობს. გარკვეული მიზანი აქვს... და გზა და გზა არ ინდობს არავის: ქართველი ინტელიგენტიდან ქართველი ქალით გათავებული.

პარიზი 1930 წ. აგვისტო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ. ხუნდაძე

დიდი ბრიტანეთი და ინდოეთის პრობლემა

სხვა და სხვა რთულ საკითხებში, რომელნიც დიდი ბრიტანეთის წინაშე სდგანან და მისგან დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვენ — ინდოეთის საკითხს უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. მის სწორად გადაჭრაზე დამოკიდებულია ბრიტანეთის იმპერიის ბედი, მისი სიდიადე და სიძლიერე. —მსოფლიო ომმა სულ ყველგან ცხადჰყო ეროვნული პრობლემის სიმწვავე, აამოძრავა განსაკუთრებული სიძლიერით აგრეთვე აღმოსავლეთის ერები და მათ შორის უწინარეს ყოვლისა ინდოეთი.

დასავლეთში, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, ინგლისმა მიანიჭა ჰოუმრული, ავტონომია ირლანდიას, რომელიც ბრიტანეთის იმპერიის სხვა თავისუფალი ნაწილებსავით, როგორც მაგალითად, კანადა და ავსტრალია, თუმცა დიდი ბრიტანეთის გვირგვინს ემორჩილება, ფაქტიურად თითქმის დამოუკიდებელია.

აღმოსავლეთში იბრძვის ეროვნული თავისუფლებისათვის ინდოეთი და დიდმა ბრიტანეთმა უნდა სთქვას: რა შეუძლია ინდოეთს მისცეს

ინდოეთის საკითხი განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს და სრულიად არ წააგავს ირლანდიის საკითხს, რომელიც ეხებოდა ერთ განცალკევებულ ერს, ევროპის უაღრესად განვითარებული კულტურის მატარებელს, და ერთი ეროვნული იდეით გამსჭვალულს, რომლის განხორციელებისათვის ის ერთსულოვნად იბრძოდა.

რა ხასიათის არის ინდოეთის საკითხი?

შევეცადოთ გავეცნოთ ამ არა ჩვეულებრივ, საზღაპრო ქვეყანას.

ინდოეთი იმავე ზომისაა, როგორც ევროპა ურუსეთოდ, ანუ დაახლოვებით ჩრდილოეთ ამერიკის შტატების ნახევარი. მისი ტერიტორიის სივრცე უდრის 4.668.000 კვ. კილ., მათ შორის თვით ბრიტანეთის სამფლობელოს (ბრიტიშ ინდია) უჭირავს 2.826.000 კვ. კილ., დანარჩენი კი ინდოეთის სახელმწიფოებს, რომელთა რიცხვი უდრის 562-ს. ეს სახელმწიფონი, რომელთა სათავეში ადგილობრივი მთავრები არიან, ბრიტანეთის უშუალო ბატონობას არ განიცდიან, არამედ მასთან ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკრულებათა ძალით ვასსალურ განწყობილებაში იმყოფებიან. მათი ტერიტორიალური სიკრცე ერთი მეორესაგან ძალიან არ განსხვავდება, ზოგიერთი სახელმწიფო, მაგალ. კაშმირი ან ჰიდერაბადი უფრო დიდია, ვიდრე თვით ინგლისი და შოტლანდია ერთად აღებული; ზოგიერთი კი რამოდენიმე ქცევას უდრის. ეს სახელმწიფონი გაბნეული არიან მთელი ინდოეთის ტერიტორიაზე და ხშირად ბრიტანული ინდოეთის საზღვრებში მოქცეული. საგარეო პოლიტიკაში ისინი ექვემდებარებიან ინგლისის მეფეს, შინაურ საქმეებში კი პრინციპიალურად დამოუკიდებელი არიან. მათი პოლიტიკური წყობილება საერთოდ აბსოლუტურ მონარქიის პრინციპზეა აგებული. კულტურულ, ეკონომიურ და სოციალური პირობების მიხედვით, ისინი ისევე განსხვავდებიან ერთი მეორესაგან, როგორც ბრიტანეთის იმპერიის სხვა და სხვა ნაწილები.

თვით ბრიტანეთის სამფლობელო (ბრიტანული ინდოეთი) შესდგება ცხრა მთავარ პროვინციისაგან, რომელთაც აქვთ თვითმართველობა. ამათ გარდა არიან პატარა პროვინციები, რომელნიც თვითმართველობას მოკლებული არიან და უმეშველოდ ცენტრალურ მთავრობას ემორჩილებიან. ყველაზე დიდი პროვინცია, ბურმა, ტერიტორიით საფრანგეთზე მეტია და ყველაზე მცირე, ასსამი, უდრის თვით ინგლისს.

მოსახლეობას რაც შეეხება, 1921 წ. საერთო აღწერის მიხედვით მთელ ინდოეთში იმყოფებოდა დაახლოვებით — სამასოცი მილიონი სული, მთელი კაცობრიობის მესუთედი ნაწილი დაახლოვებით; მათ შორის 247 მილ. (ესეიგი 77 პროც.) იმყოფება ბრიტანულ ინდოეთში, ხოლო სამეფოებში 77 მილიონი (23 პროცენტი). ინდოეთშია დაახლოვებით 160.000 ევროპიელი, უმთავრესად, რა თქმა უნდა, ინგლისელები, რომელთაც მთავარი ადგილი უჭირავთ ეკონომია-მრეწველობაში, ჯარში და ადმინისტრაციაში.

მთელს ინდოეთში არსებობს 222 ენა-კილოკავი, უმთავრესი კი 12 ყველაზე გავრცელებული ენა: ჰინდი, რომლითაც ლაპარაკობს 97 მილიონი პირი, შემდეგ ბენგალი, რომელსაც ხმაროობს 49 მილ. ერთადერთი საერთო ენა, რომლის საშუალებით ინდოეთის სხვა და სხვა ნაწილებს ერთმანეთის ესმით და გაეგებათ — არის ინგლისური ენა. უკანასკნელი აღწერის მიხედვით, ინგლისურად ლაპარაკი და წერა-კითხვა შეუძლია მხოლოდ 2.500.000 სულს (16-ს ყოველ 1000 მამაკაცზე, 2-ს ყოველ 1000 დედაკაცზე). საერთოდ წერაკითხვის მცოდნეთა რიცხვი შეადგენს სულ 22 მილიონს, ესეიგი მთელი მოსახლეობის 8,2 პროცენტს.

რელიგიის მიხედვით სხვადასხვაობა უფრო ნაკლებია, ვიდრე ენის მიხედვით. მთელ ინდოეთში ინდუსტანის (ბრამანიზმის) რელიგიის მიმდევრების რიცხვს შეადგენს 217 მილ. (68 პრც.); მაჰმადიანები — 68 სამი მეოთხედ მილ. (22 პრც.) ბუდისტები — 11 მილიონ-ნახევარი (3 პრც.], ქრისტიანები — 4 და სამი მეოთხედი მილ. [1 პრც.], სიქები — 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სამი მეოთხედი მილ. [1პრც.], პარსები — 100.000.

ინდოეთის სახელმწიფოებში იმყოფება 53.500.000 ჰინდუ და — 9.250.000 მაჰმადიანი. წერაკითხვის ცოდნა ყველაზე უფრო გავრცელებულია პარსებსა, ქრისტეანებსა და ბუდისტებს შორის.

რელიგიას საერთოდ ინდოეთის სულიერ ცხოვრებაში უდიდესი ადგილი უჭირავს და ანტაგონიზმი ორ მთავარ რელიგიის, ჰინდუსა და ისლამის მიმდევართა შორის, რომელიც ხშირად უკიდურეს გამწვავებას აღწევს, წარმოადგენს უდიდეს დაბრკოლებას ინდოეთის მთლიანობისა და ერთობისათვის, და საერთოდ, ინდოეთის პოლიტიკური პრობლემის გადაჭრისათვის. ორივე რელიგიის მიმდევრები ფანატიურად მისდევენ თავის პრინციპებს და ჩვეულებებს, რომელთა წინააღმდეგობა იმდენად დიდია, რომ ის ხშირად ტრაღიული შეტაკებით თავდება. მაგ. ჰინდუს, ძროხა თაყვანისცემის საგნად მიიჩნია და მას აღმერთებს. მაჰმადიანების დღესასწაული კი «ბაკრიდ» ძროხისა და სხვა პირუტყვის მსხვერპლად შეწირვას მოითხოვს. ეს ჩვენთვის უმნიშვნელო ფაქტი ჰბადებს აუწერელ სიმწარეს ჰინდუსა და მაჰმადიანთა შორის ინდოეთში. მეორე მხრივ იმ დროს, როდესაც მაჰმადიანები მეჩეთში ლოცულობენ, რაც სრულ სიმშვიდეს, სიჩუმეს მოითხოვს მეჩეთის გარშემო, ჰინდუს მიმდევრები კერპების პროცესიის ან და ქორწილის გამო მუსიკითა და ხმაურობით დადიან ქუჩებში მეჩეთის წინ. ხშირად იმ დროს, როცა ერთის რელიგია ითხოვს გლოვას, მეორის მოთხოვნილებას ზეიმი შეადგენს; ეს ორი საწინააღმდეგო ცერემონია კალენდარის მიხედვით ერთსა და იმავე დღეს ხდება, რაც მათ შორის გამწვავების საბაბსა ჰბადებს. რამდენად სერიოზულია ეს წინააღმდეგობა, იქიდან სჩანს, რომ 1923—1927-მდე, ამ შეტაკებებში სიცოცხლეს გამოესალმა 450 ადამიანი და დაიჭრა 5000.

ამ წმინდა რელიგიურ მიზეზებს ემატება სოციალური და რასიული განსხვავება. მაჰმადიანისათვის ჰინდუ არა მარტო კერპთაყვანისმცემელია, არამედ შთამომალი იმ ტომთა,რომელნიც მისმა წინაპრებმა დაიპყრეს, ამიტომ ის მას დაბალი ხარისხის ადამიანად სთვლის. მეორე მხრივ, მაღალი კასტის ჰინდუ მაჰმადიანს ისე უყურებს როგორც უმდაბლესი კასტის წევრებს, რომელთანაც მას არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს, რომელთაც ის არ უნდა გაეკაროს. ორივე ერთმანეთს მტრული თვალით უყურებს, ხშირად ორივეს ერთმანეთი სძულს და ეზიზღება. მართალია, ჯერ კიდევ არ შენელებულა ეს წინააღმდეგობა, მაგრამ თან და თან, თანამედროვე განვითარებასთან ერთად, იზრდება იმ პირთა რიცხვი, რომელთაც გულწრფელად სწადიათ ზავი ამ ორი ელემენტის შორის, გაერთიანება და თანამშრომლობა ერთ ეროვნულ მთავრობაში.

ამ წინააღმდეგობიდან გამომდინარეობს განსაკუთრებითი საარჩევნო უფლება, რომელიც დღეს მოქმედობს და რომლის ძალით მაჰმადიანი ამომრჩეველნი ცალკე ირჩევენ თავის წარმომადგენლებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სხვაგვარ სირთულეს და წინააღმდეგობას, რომელიც შეუძლებლად ხდის ერთობასა და ერთსულოვნებას ინდოეთის გამათავისუფლებელ ბრძოლაში — ვხედავთ ჩვენ ინდოეთის სოციალურ წყობილებაში, რომელიც კასტების სისტემაზეა დამყარებული.

ვედ-ის და მანუ-ს მოძღვრებით არსებობს 4 კასტა: — 1. ბრამინები — სამღვდელოება და ინტელიგენცია; 2. ქშატრია — სამხედრო წოდება და ადმინისტრაცია; 3. ვაისია — ვაჭრები და მიწათმოქმედნი; 4. სუდრა — დაბალი წოდება, რომელიც სხვა კასტებს ემსახურება.

სინამდვილეში, დროთა მსვლელობაში კასტების რიცხვი იმდენად გამრავლდა, რომ ამ 30 წლის წინად, როდესაც ძის კლასიფიკაციას შეეცადენ, დაახლოებით 2300 კასტა აღმოჩნდა.

უმაღლეს კასტას შეადგენს ბრამინთა კასტა, რომელსაც აქვს სამღვდელო ფუნქციის მონოპოლია და რომელიც განათლებას და ცოდნას თავის სამფლობელოდ სთვლის. მათი რიცხვი დაახლოებით 8 მილიონია და მათი მნიშვნელობა და გავლენა არა მარტო რელიგიის დარგში, არამედ სასამართლოში, ადმინისტრაციაში, საკანონმდებლო სფეროში— მრავალჯერ აღემატება მათ რაოდენობას.

უმდაბლეს საფეხურზე სდგანან პარიების კასტები, რომელთა წევრებთან მაღალი კასტების წევრებს არავითარი სოციალური ურთიერთობა არ აქვთ, რომელთაც ისინი არ ეკარებიან. აქედან წარმოსდგა ამ კასტების სახელი — «არ-მისაკარებნი». ამ კასტას ეკუთვნიან მუშები, მეთევზენი, მეტყავენი... ქურდები, როსკიპები და სხ.

კასტების სისტემა სტატიკურ პრინციპზეა აშენებული: ერთი კასტიდან მეორეში გადასვლა აკრძალულია; კასტის წევრი სიკვდილამდე რჩება იმ კასტის წევრად, რომელშიაც ის დაიბადა. პარია, მაგალითად, რაც არ უნდა გამდიდრდეს, რა განათლებაც არ უნდა მიიღოს, რჩება პარიად, რომელსაც სხვა კასტების წევრები არ ეკარებიან.

მაჰატმა განდი — ინდოეთის ეროვნული მოძრაობის მოციქული, უაღრესად რელიგიოზური პიროვნება — ღრმა მწუხარებით იხსენიებს დაბეჩავებულთა არსებობას და ამბობს: «მიუკარებლობა არის შეიძლება ყველაზე უფრო დიდი ბოროტება, რომელიც ჰინდუიზმში შეიპარა». იგი მას ადარებს ებრაელთა გეტტოს აღიარებას დასავლეთში და «მიუკარებლობის დოქტრინას აცხადებს «უხეშად», «მახინჯად» და «ცოდვად»; ივი ხედავს წინსვლას ამ დოქტრინის მოსპობის გზაზე, მაგრამ დასძენს: «რეფორმატორს ჯერ კიდევ დიდი ბრძოლა სჭირია, რომ მასსებს თავისი აზრი მიაღებინოს; მასსები თეორიულად ემხრობიან რეფორმატორის იდეას, მაგრამ არა ჩქარობენ თანასწორობა მისცენ თავიანთ დაჩაგრულ ძმებს; ამის მიუხედავად, «მიუკარებლობა» დაძრულია და ჰინდუიზმი გადარჩენილი»...

ამ დაბალ კასტების წევრთა რიცხვი ოდრის 43 მილიონს დაახლ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თანამედროვე კაპიტალისტური მეურნეობის განვითარებასთან კასტების განცალკევება თანდათან სუსტდება. ვაჭრობა-მრეწველობაში ჩაბმულია ერთსა და იმავე სამუშაოზე სხვა და სხვა კასტის წარმომადგენელი; მატარებლებში და ტრამვაიში არ არსებობენ ცალკე განყოფილებანი კასტებისათვის. მოღვაწეობა საზოგადო, პოლიტიკურ და ეკონომიურ ასპარეზზე მოითხოვს სხვადასხვა საფეხურის კასტების წევრთა ხელგაყრილ ერთად მუშაობას. ამ განვითარების შედეგია ის, რომ ეროვნული მოძრაობის ლიდერები, რომელნიც დემოკრატიული თვითმართველობისათვის იბრძვიან, მოითხოვენ — ზოგი მარტო «მიუკარებლობის» მოსპობას, ზოგი მთელი კასტიური სისტემის მოშლას, ხედავენ რა, რომ ეს სოციალური დაყოფა ნაციონალიზმის ზრდას აბრკოლებს და ინდოეთის ავტონომიის მოწინააღმდეგეთ ზედმეტ საბუთს აძლევს ხელში.

რა თქვა უნდა, ეს ცვლილება, სოციალური თანასწორობის განხორციელება, ძალიან დიდი ხნის საქმეა; დღეს კი ეს დანაწილება კასტებად, მათ შორის მტრობა და აუტანლობა — ინდოეთის ცხოვრების მთავარ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს.

კასტები — ეს ჰინდუს რელიგიის ნაყოფია; ბუდდისტებში კასტები არ არსებობენ, და მაჰმადიანებმა კი მათ მიერ დაპყრობილ ინდოეთში არ გააუქმეს მათი არსებობა.

მეურნეობის თვალსაზრისით ინდოეთში შემდეგი სურათია: — მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ჩართულია მიწათმოქმედებაში. 48 პროცენტი მთელი მიწაწყლისა მსხვილ და საშუალო მემამულეთა ხელშია; ეს მიწა აღებულია იჯარით გლეხების მიერ, რომელნიც თავისი შემოსავალის 60 პროც. მემამულეებს აძლევენ. წარმოება ექსტენსიური ხასიათისაა, სამიწათმოქმედო ტექნიკა მეტად ჩამორჩენილი. ხშირადაა, გლეხს ვერ მოჰყავს იმდენი საკვები, რომ მემამულეს გადაუხადოს და თავისი თავიც ირჩინოს, ამ შემთხვევაში იგი სესხულობს: ან მდიდარი გლეხისაგან ან და უფრო ხშირად მევახშეებისაგან, რომელნიც გასესხებულ ფულზე ოციდან სამოც პროცენტამდე იღებენ, და ამგვარად გლეხობა თავის მორჩილებაში ჰყავთ. კოოპერაცია ებრძვის ამ ბოროტებას, მაგრამ მისი გავლენა ჯერ კიდევ სუსტია. მემამულეთა მიწაზე მომუშავეთა ბარდა, არის სამოცი მილიონი გლეხობა, რომელიც იმ მიწაზე მუშაობს, სახელმწიფოს თეორიულად რო ეკუთვნის და რომელსაც იგი იჯარით იღებს; ამ შემთხვევაში იჯარა უდრის შემოსავალის 15 პროც. თვითეული გლეხის ოჯახზე საშუალოდ მოდის ორ ჰექტარზე ნაკლები და თუ გავითვალისწინებთ მოსახლეობის სწრაფ ზრდას და მიწის მუდმივ დანაწილებას, მასთან წარმოების წესებს, დავინახავთ, თუ რა სიღარიბეს განიცდის ინდოეთის გლეხობა. სიღატაკე, სრული დამოკიდებულება მევახშეთაგან და მემამულეთაგან, გაუნათლებლობა. ცრუმორწმუნოება — აი გლეხობის დაბეჩავების მიზეზები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გლეხის მოსავალის ბედი დამოკიდებულია იმ არა ჩვეულებრივ ქარზე, რომელსაც «მონსუნს» უწოდებენ და რომელიც აქარწყლებს მის ნამუშევარს და ამგვარად მიმშილობას იწვევს. 1899 წ. მოკვდა ორი მილიონი ადამიანი შიმშილის გამო. [საერთოდ სიკვდილის პროცენტი ძალიან დიდია ინდოეთში. საშუალო ხნოვანება აღწევს იქ 23 წელს, მაშინ როცა ინგლისში იგი უდრის 50 წ-ს, გერმანიაში 47-ს და საფრანგეთში 47]

რა თქმა უნდა, ინგლისის ადმინისტრაცია სცდილობს გააუმჯობესოს აგრარულ-ტეხნიკური პირობები და ამით სოფლის მეურნეობა მაღალ საფეხურზე ასწიოს; მაგალითად, მორწყვის ფართო მასშტაბით ჯანხორციელება, რომელმაც უდაბნოები ნაყოფიერ მიწად აქცია, ამ მხრით მეტათ მნიშვნელოვან ზომას წარმოადგენს, მაგრამ, თუ წარმოვიდგენთ ინდოეთის სივრცეს, მოსახლეობის რიცხვს და ხალხის სიღატაკეს, ამ ზომების გავლენა საერთო მდგომარეობაზე თითქმის შეუმჩნეველია.

გავეცნოთ მოკლედ ვაჭრობა-მრეწველობის, მდგომარეობას.

სანამ ბრიტანეთი შემოვიდოდა ინდოეთში, აქ ადგილობრივი მრეწველობა (წვრილი წარმოება უმთავრესად, რა თქმა უნდა) მეტად მნიშვნელოვანი იყო. ინგლისურ საქონელმა გაანადგურა ეს ადგილობრივი წარმოება. მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ახალ სადამოენო პოლიტიკით ინგლისი ხელს უწყობს ადგილობრივ წარმოების განვითარებას, კერძოდ ტექსტილის სფეროში. თანამედროვე დიდ წარმოებასთან (სამთამადნო სხვათა შორის მარგანეცი, სატყეო, ბამბისა და ჩაის წარმოება, რკინიგზები, რეზინის ინდუსტრია და სხ.), რომლის უმეტესი ნაწილი ინგლისელების ხელშია, არსებობენ აგრეთვე მცირე მწარმოებელნი, რომელთ რიცხვი დაახლოვებით 10 მილიონს უდრის და რომელნიც უმთავრესად ინდოელები არიან. მათი მდგომარეობა ეკონომიურად არ არის მტკიცე და ისინი გლეხებივით მევაჭშეთაგან არიან დამოკიდებული. მუშები, როგორც სოფლად, ისე ქალაქად თითქმის სულ ინდოელები არიან. სოფლად იმყოფება 25 მილ. [სოფლის მეურნეობაში მომუშავე]; რკინიგზებზე — 900.000; მეზღვაურები და ნავთსადგურთა მუშები — 100.000; სამთამადნო მრეწველობაში — 300.000; ქარხნებში — 1.700 000; პლანტაციებზე — 1.000.000; პატარა მოსაძსახურენი — 4.000.000; მზარეულები — 2.500.000. მუშათა უმრავლესობა იმყოფება მეტად მძიმე პირობებში, მათი საშუალო დღიური ხელფასი უდრის 12 ფრანგულ ფრანკს. ჯამაგირის მიღებას მუშა 6 კვირას უცდის ხოლმე. ვაშინგტონის კონფერენციის შემდეგ შემოღებულ იქნა უკეთესი შრომის პირობები, მაგ. ახალი კანონის მიხედვით: სამუშაო დღე არ უნდა აღემატებოდეს 11 საათს, ბავშვებს შრომა ქარხნებში 12 წლამდე აკრძალული აქვთ; წინად კი 12 წლ. ბავშვი მუშაობდა იმდენსავე, რამდენსაც ჯაბუკი. ბავშვები ეხლა 12 წლ. 15 წლამდე მხოლოდ ნახევარი დღე უნდა მუშაობდენ და სხვა და სხვა. მაინც, სოციალური კანონმდებლობა ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1918 წ. დაარსდა მუშათა ორგანიზაციები ინტელიგენციის მეთაურობით. დღეს არსებობს დაახლოებით 120 პროფესიონალური კავშირი, სადაც შეკავშირებულია 196.000 მუშა. მუშათა მოძრაობა მხოლოდ დასაწყისის საფეხურზეა. 1918 წ. გაიმართა პირველი საერთო გაფიცვა, რომელსაც სხვათა შორის ხელმძღვანელობდა განდი. ამ გაფიცვის მიზანი იყო ხელფასის 35 პროც-ით მომატება. გაფიცვა გამარჯვებით დასრულდა.

თანამედროვე ეკონომიურ განვითარებამ ერთი მხრით (რკინის გზები, აღებ მიცემობა) და ბრიტანეთის ადმინისტრაციამ მეორე მხრით, შექმნა და გააძლიერა ინდოეთის ერთობა, მოამაგრა ბურჟუაზია და ინტელიგენცია. ინდოელი ინტელიგენტები, ზოგი ინდოეთის, ზოგი ევროპის უნივერსიტეტებში [უმთავრესად ინგლისში] აღზდილი, თანამედროვე იდეებით აღჭურვილი, ხდებიან ევროპიელ-სახელმწიფოებრივ მოძრაობის მებაირაღტრედ. ამ დიდ მოძრაობის ხელმძღვანელ ორგანოდ ხდება «ინდოეთის კონგრესი», რომელიც დაარსდა 1885 წ. და რომელიც წარმოადგენდა მთელი ბრიტანული ინდოეთის ეროვნულ ყრილობას. პირველ ხანებში ამ მოძრაობის მთავარ საგანს შეადგენდა რეფორმების შემოღება ინგლისთან თანამშრომლობით. თანდათან, რა კი ინგლისი ყოყმანობდა და რეფორმებს არ ანხორციელებდა, ეროვნულ მოძრაობამ მიიღო ანტი-ინგლისური ხასიათი. მეოცე საუკუნის დასაწყისში კონგრესის ლიდერათ იყო ტილაკი, დიდი პოლიტიკური მებრძოლი, ინდოეთის პატრიოტი და კონსერვატიული იდეების მატარებელი. ტილაკის სიკვდილის შემდეგ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა განდი, დღემდი ყველას მიერ აღიარებული ლიდერი, დიდი ბუნების ადამიანი, უაღრესად სპეტაკი პიროვნება, შეუდრეკელი ნებისყოფით აღსავსე, ყოველგვარ ძალადობის წინააღმდეგი, სიყვარულის და ადამიანობის მოციქული. მას დღეს ინდოეთში როგორც წმიდას ისე შესცქერიან, მისი ზედმეტი სახელი, რომელიც მას მისმა ქვეყანამ უწოდა, მაჰატმა — ნიშნავს დიდ სულს. განდი, ინგლისის უნივერსიტეტში აღზდილი, ბრიტანეთის იმპერიის დიდი მოქალაქე და პატრიოტი იყო. მისი მისწრაფება იყო «სვარაჯის მოპოება» [სვარაჯ — თვითმართველობა, ავტონომია, ჰოუმრულ]; მას სურდა ინდოეთი ბრიტანეთის იმპერიის ფარგლებში, იგივე უფლებებით აღჭურვილი, როგორც სხვა შიგ შემავალი ნაწილები, დომინიონები. ომის დროს ინდოეთის ეროვნული მოძრაობა ინგლისის წინააღმდეგ მიმართული შეჩერდა, განდი, ხედავდა რა ბრიტანეთის გასაჭირს, ითხოვდა ინდოეთიდან თავისი ეროვნული ზრახვები დროებით უკან დაეყენებინა და მთელი თავისი ძალები ბრიტანეთის დაცვისათვის მიეშურებინა. დიდი იყო ინდოეთის დახმარება ამ მსოფლიო ომში. ამის აღიარებისათვის და რომ ეს არ შენელებულიყო მომავალშიც, ლოიდ-ჯორჯის მთავრობამ ინდოეთის მინისტრის მონტაგიუს პირით მისცა ინდოეთს დაპირება ახლო მომავალში ეროვნულ-პოლიტიკური რეფორმის განხორციელების შესახებ ინდოეთში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს პირობა მიცემული იყო განსაკუთრებული დეკლარაციით ინ-
გლისის პარლამენტში. აი თვით დეკლარაციის სიტყვები: «მისი უდი-
დებულესობის მთავრობის პოლიტიკის საგანს შეადგენს ინდოელების მი-
ერ უფრო და უფრო მეტი მონაწილეობის მიღება ინდოეთის ადმინისტ-
რაციის ყველა დარგში და თვითმართველობის თანდათანობითი განვი-
თარება, რომლის მიზანია პასუხისმგებელი მთავრობის თანდათანობითი
შემოღება ინდოეთში, როგორც ბრიტანეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილ-
ში». — პასუხისმგებელი მთავრობა — ინგლისის საჯარო სამართალის
ტერმინოლოგიით ნიშნავს ავტონომიას, როგ. ეს მაგალითად არსებობს
კანადაში, ირლანდიაში და სხვა დომინიონებში. ამ განცხადების შემდეგ
მონტაგიუ გაემგზავრა ინდოეთში საგნის დაწვრილებითი შესასწავლად
და წარმოადგინა მოხსენება, რომელიც მონტეგიუ-ჩელმსფორდის სახელს
ატარებს [ჩელმსფორდი იყო მაშინ მეფის მოადგილე ინდოეთში]. მეფის
აღთქმამ, ლოიდ ჯორჯის დაპირებამ გამოიწვია დიდი იმედი და აღფრ-
თოვანება ინდოეთში, მონტაგიუ—ჩელმფორდის მოხსენებამ ამ იმედის
სრული გაცრუება. ნაციონალურმა კონგრესმა გაილაშქრა მის წინააღ-
მდეგ. ინგლისის დაპირება ინდოეთმა მიიღო როგორც ავტონომიის ახ-
ლო მომავალში განხორციელება. ინგლისის მთავრობა კი, თუმცა ავ-
ტონომიას საბოლოო მიზნად აცხადებდა, მაინც მის განხორციელებამდე
ჯერ კიდევ დიდ ხანასა და დიდ გზას ითვალისწინებდა. ამ ნიადაგზე
მდგომი, ის იღებს 1919 წ. ინდოეთის კონსტიტუციას, რომელიც დღემდე
ძალაშია, თუმცა ფაქტიურად აღარ მოქმედებს იმ დიდი მოძრაობის გა-
მო, დღეს რო ინდოეთში ხდება. ეს კონსტიტუცია, —მონტეგიუ—ჩელმ-
სდორფის მოხსენების შედეგი — აგებულია შემდეგ პრინციპებზე: —

ინდოეთის საქმეთა უმაღლესი გამგე არის ინგლისის მთავრობის
წევრი — მინისტრი ინდოეთის საქმეთათვის [ეს თანამდებობა დაწესდა
1858 წ. აქტით]. მართალია, მეფე ნიშნავს თავის მოადგილეს ინდოეთში,
რომელიც უმაღლესი ძალაუფლებით არის აღჭურვილი, მაგრამ ის [ვაის-
როი] დამოკიდებულია ინდოეთის საქმეთა მინისტრისაგან, ეს კი პასუ-
ხისმგებელია არა ინდოეთის ხალხის, არამედ ბრიტანეთის პარლამენტის
წინაშე. მასთან დაკავშირებულია თვით ინდოეთის მთავრობა, რომელიც
არავითარ მნიშვნელოვან ნაბიჯს არა სდგამს მის დაუკითხავად. ამგვა-
რად უეჭვოა, რომ ინდოეთის მთავრობა ემორჩილება ინგლისის მთავ-
რობას. თვით ინდოეთის მთავრობა შემდეგნაირად შესდგება: 1. ცენტ-
რალური ორგანოები: — ადმინისტრაციის სათავეში სდგას მეფის მოად-
გილე ანუ ვაისროი, გოვერნორ ჯენერალი და მისი საბჭო, რომელიც
სამინისტროს წარმოადგენს, თუმცა ფორმალურად ამ სახელს არ ატა-
რებს. მეფის მოადგილე და მისი საბჭო პასუხისმგებელია ინგლისის
მთავრობის და არა ინდოეთის საკანონმდებლო ორგანოთა წინაშე.

ცენტრალური კანონმდებლობისათვის არსებობს ორი პალატა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საკანონმდებლო კრება და ზემო პალატა, სახელმწიფო საბჭო. ა]. სახელმწიფო საბჭო შესდგება 60 წევრისაგან; მათ შორის 34 არჩეულია, 20 — მოხელეა, რომელნიც თავისი თანამდებობით საბჭოს წევრებად ითვლებიან, 6 — ინდოეთის მთავრობის დანიშნული. [ამრჩეველთა რიცხვი ამ 34 წევრის ასარჩევად უდრის 32.126 პირს.]. ბ]. საკანონმდებლო კრება შესდგება 140 წევრისაგან. მათ შორის 105 არჩეულია, 26 მოხელეა და 14 მთავრობის მიერ დანიშნული. 105 წევრ1 ირჩევს 1.122.780 პირი, რომელნიც კურიებად არიან დაყოფილი. მაჰმადიანობას ყავს ცალკე წარმომადგენლობა: 51 დეპუტატი არჩეულია არა მაჰმადიანების მიერ, 30 მაჰმადიანებისაგან, 9 ევროპიელებისაგან, 7 მიწათმფლობელთაგან, 4 ვაჭრებისაგან, 2 სიკეებისაგან, — განსაკუთრებული ტომის ხალხია. ამგვარად საარჩევნო უფლება აქვს მოსახლეობის ნახევარ პრ—ცტზე ნაკლებს.

თვით პალატებს არა აქვს ნამდვილად გადამწყვეტი საკანონმდებლო უფლება თუ გავითვალისწინებთ, რომ მათ არა აქვთ ფინანსების კონტროლი და არც საშუალება აიძულონ მთავრობა მათ მიერ მიღებული კანონი მიიღოს. მეფის მოადგილეს აქვს უფლება უარჰყოს პალატების მიერ მიღებული კანონები ან და პალატების მიერ უარყოფილი კანონ-პროექტები დეკრეტების საშუალებით კანონად აქციოს.

2. პროვინციალური ორგანოები: პროვინციას განაგებს გუბერნატორი და მისი მთავრობა, რომლის ნახევარი პასუხისმგებელია მის წინაშე და მეორე ადგილობრივ პარლამენტის, პროვინციალურ საბჭოს წინაშე. საარჩევნო უფლება, რომლის ძალით ეს პროვინციალური საბჭო ირჩევა, ეკუთვნის 8 მილიონ სულს. ყველა ის საქმენი, რომელნიც პროვინციალურ მთავრობის კომპეტენციის საგანს შეადგენენ, გაყოფილია ორ ნაწილად: «გადაცემული საქმენი» და «შენარჩუნებული საქმენი». პრ ელი ეკუთვნის მთავრობის იმ წევრების კომპეტენციას, რომელნიც საკანონმდებლო საბჭოს წინაშე პასუხისმგებელი არიან, მეორე კი მეფის მიერ დანიშნულ წევრთა კომპეტენციაში რჩება. «გადაცემული საქმენი» — იუსტიცია, პოლიცია, ფინანსები, მუშათა კანონმდებლობა, სატყეო კანონმდებლობა. «შენარჩუნებული საქმენი» — სახალხო განათლება, ჰიგიენა, აგრონომია, კოოპერაცია, შიმშილთან ბრძოლა. ამ დუალისტურ რეჟიმს უწოდებენ დიარქიის სახელს. — ასეთია მოკლედ 1919 წ. შემოღებული კონსტიტუცია. როგორც ვხედავთ, უმთავრესი უფლება მეფის მიერ დანიშნულ ადმინისტრატორების ხელშია, ხოლო თვით ინდოეთის ხალხის მონაწილეობა ქვეყნის მართვა-გამგეობაში მეტად მცირეა. ყოველ შემთხვევაში ეს იყო პირველი ნაბიჯი სრული თვითმართველობის გზაზე. მეფემ გამოაცხადა რა ეს რეფორმა (24 დეკემბერს 1919 წ.), მოუწოდა ინდოეთის ერებს და მოხელეების თანამშრომლობისაკენ და წინადადება მისცა მის მოადგილეს პოლიტიკურ დანაშაულთა ამნისტია გამოეცხადებია. ამ ნაბიჯებმა ისე იმოქმედა განდის მგრძნობიარე ბუნებაზე, რომ მან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურჩია კონგრესს ეს რეფორმა, რომელშიაც ის ახალ მოპოებათა ლეგალურ საშუალებას ხედავდა, მიეღოთ. მეტად მწვავე კამათის შემდეგ, კონგრესმა მიიღო ახალი კონსტიტუცია. მაგრამ ინდოეთს იმედები მალე გაუცრუვდა. 1919 წ. აპრილის 6-ს განდიმ დაიწყო «არათანამშრომლობის» [სატიაგრაჰა] მოძრაობა მთავრობის წინააღმდეგ საერთო ლოცვისა და მარხვის გამოცხადებით [ჰარტალი] მთელს ინდოეთში. ამ მოძრაობამ დიდი გამოძახილი ჰპოვა ინდოეთის ხალხში, ყველა წრეში. თუმცა ეს მოძრაობა ეწინააღმდეგება ყოველგვარ ძალადობას, მაინც კი ხდებოდა შეტაკებანი, მაგ. დელჰიში. განდი გაეშურა იქით ხალხის დასამშვიდებლად, მაგრამ მთავრობამ ის გზაში დააჭერინა და ბომბეიში დააბრუნა. ამ ამბავმა პენჯაბში აღშფოთება გამოიწვია. ამრიცარში მოხდა რამოდენიმე მკვლელობა. რის შემდეგ ეს ქალაქი გენ. დაიერმა დაიჭავა და ერთ კრებას ტყვიაფრქვევნი დაუშინა. ამ დროიდან იწყება გაძლიერებული დიდი მოძრაობა «არათანამშრომლობისა», კანონთა ბოიკოტისა, არ დამორჩილებისა. ასეთი გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული ინდოელთა და მაჰმადიან ორგანიზაციების მიერ. ეს მოძრაობა არდგენდა შემდეგ მოთხოვნილებებს: 1. მინებება ყველა ტიტულის და საპატიო ფუნქციების, 2. უარყოფა მთავრობის სესხზე ხელისმოწერის, 3. სასამართლოსა და იურისტების გაფიცვა; სადავო საქმეთა კერძო არბიტრაჟით გადაწყვეტა, 4. მთავრობის სკოლების ბოიკოტი, 5. საკონსტიტუციო რეფორმათა საბჭოს ბოიკოტი, 6. არ მონაწილეობა მთავრობის დარბაზობაზე და არ მიღება ოფიციალურ ფუნქციების, 7. არ მიღება სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობისა, და 8. სვადეშის პროპაგანდა.

სვადეში არის პოზიტიური ეკონომიური პროგრამა. ეს ნიშნავს უცხო საქონლის ბოიკოტს და ადგილობრივი წარმოების განვითარებას [განდი ითხოვდა, რომ თვითეულ ინდოელს ესწავლა ქსოვა — და ამით მოესპო უცხო ქსოვილების გავრცელება ინდოეთში; მისი აზრით, უცხო საქონელი ნაყოფია ევროპის მუშათა კლასის გაყვლეფისა და ტანჯვისა და ამიტომ მიუღებელი]. განდიმ გამოაცხადა რა ამ მოძრაობის დაწყება, ეევედრებოდა ხალხს, ყოველგვარ ძალმომრეობისაგან თავი დაეჭირა. ნაგპურში შეკრებილმა კონგრესმა დაამტკიცა «თანამშრომლობის უარყოფის» მოძრაობა და თავისი კონსტიტუციის პირველ მუხლში გამოაცხადა: — «ეროვნული კონგრესის მიზანია ინდოეთის ხალხის მიერ სვარაჯის (ავტონომია) მიღწევა ყველა კანონმდებლობის მშვიდობიანი გზებით». პროპაგანდა და მოძრაობა დღითი-დღე ძლიერდებოდა. ყველის, ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა კონგრესის დადგენილებებს, საჯარო ცხოვრებიდან გამორიცხული იქნებოდა. პირველად ინდოეთის ისტორიაში, მუშათა და გლეხთა მასები მონაწილეობას იღებენ ამ მოძრაობაში. ინგლისის მთავრობა რწმუნდება, რომ საჭიროა რეფორმების შემოღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მიზნით ინგლისის პარლამენტი ირჩევს 1927 წლის ნოემბერში სპეციალურ კომისიას, რომელშიაც სამივე პარტიის წარმომადგენლები შედიან ჯონ საიმონსის [ლიბერალი] თავჯდომარეობით. ბრიტანეთის ინდოეთის პასუხისმგებელმა ხელმძღვანელებმა საიმონსის კომისიას ბოიკოტი გამოუცხადეს და როდესაც ამ კომისიის წევრები ინდოეთში ჩავიდნენ, [1928 წ.] ინდოელები მათ საერთო გაფიცვით შეხვდნენ. თავის მხრივ, კონგრესმა შეადგინა საკუთარი კომისია, რომელმაც შეიმუშავა ეგ.წოდ. ნეჰრუს კონსტიტუცია, რომელიც ინდოეთისთვის დომინიონის სტატუტს ითვალისწინებს და რომელსაც ავსტრალიის კონსტიტუცია უდევს საფუძვლად. 1928 წ. მომხდარ ეროვნულმა კონგრესმა მიიღო ნეჰრუს კონსტიტუცია და ერთგვარი ულტიმატუმი წარუდგინა ბრიტანეთის მთავრობას: თუ ის ერთი წლის განმავლობაში არ მისცემდა ინდოეთს დომინიონის სტატუტს, მაშინ კონგრესი ინდოეთის დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა. თუმცა ლორდ ირვინმა, დღევანდელ მეფის მოადგილემ, თავის დეკლარაციაში განაცხადა, რომ ბრიტანეთის პოლიტიკის მიზანს ინდოეთისათვის დომინიონის სტატუსის მიცემა შეადგენსო, ინგლისის მთავრობისათვის, რასაკვირველია, საკითხი არ დასმულა კონგრესის ულტიმატუმის მიღების შესახებ. 1929 წ. დეკემბერში, ხელმეორედ შეიკრიბა ლაჰორში კონგრესი, რომელმაც გამოაცხადა ინდოეთის დამოუკიდებლობა და «არ დამორჩილების» კომპანიის დაწყება. განდი სათავეში ჩაუდგა ამ მოძრაობას და მიაშურა თავისი მომხრეებით მარილის წარმოებისაკენ, რომელიც მთავრობის მონოპოლიას შეადგენს. მარილის კერძო წარმოების დაწყება წარმოადგენს სიმბოლიურ აქტს, ეს ნიშნავს ინგლისის კანონისადმი არ დამორჩილებას. მოძრაობამ მიიღო მეტად მწვავე ხასიათი. განდი და სხვა ლიდერები: მამა და შვილი ნეჰრუ, დ სხვები დატუსაღებულ იქმნენ.. მაკდონალდმა გამოაცხადა «რგვალი მაგიდი-»ს კონფერენციის მოწვევა, რომელსაც უნდა დასწრებოდენ მთელი ინდოეთის ყველა მიმართულების წარმომადგენელები ერთი მხრივ და ბრიტანეთის პარლამეტისა, მეორე მხრივ და რომლის მიზანი იქნებოდა ინდოეთისათვის ახალი კონსტიტუციის შემუშავება.

საიმონსის კომისიამ გამოაქვეყნა თავისი პროექტი, რომელიც დიდ ნაბიჯს წარმოადგენს დღევანდელ კონსტიტუციასთან შედარებით, მაგრამ რომელიც დომინიონის სტატუტის შემოღებას არ მოასწავებს. ლორდ ირვინმა გამოაგზავნა ლონდონში თავისი განსაკუთრებული პროექტი, ინდის დომინიონზე უფრო შორს. ინგლისის მთავრობამ წინასწარ ხელი არ შეიკრა არც ერთი პროექტის მიღებით და თავისუფალი მივიდა «რგვალი მაგიდის» კონფერენციაზე, რომელიც დღეს ლონდონში თავის მუშაობას აწარმოებს. ის შეეცადა განდი და მისი მიმდევრები, რომელთაც უდიდესი გავლენა აქვთ ინდოეთში და რომელთაგან დაშორებულია რეფორმის განხორციელების ბედი, დასწრებოდენ ამ კონფერენციას, მაგრამ ეს ვერ მოახერხა, — განდისტები არ მოვიდენ, ასე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ კონფერენციის მაგიდა «რგვალი» აღარ გამოვიდა: მას აკლია უმთავრესი ნაწილი. ლორდ ირვინმა მეტა მისცა ორ ინდოელ ლიბერალს მისულიყვენ ციხეში და შეთანხმება ჩამოეგდოთ განდისთან და ნეჰრუსთან, რათა ისინი ლონდონის კონფერენციას დასწრებოდენ. განდიმ წინასწარ წამოაყენა მეტად მნიშვნელოვანი პირობები, კერძოდ ის, რომ ბრიტანეთის მთავრობას წინდაწინ უნდა გამოეცხადებინა ინდოეთისთვის დომინიონის უფლებათა აღიარების შესახებ; ცხადია, ლორდ ირვინმა ეს არ მიიღო და ამით მოლაპარაკებაც ჩაიშალა.

დღეს ლონდონში შეკრებილი არიან ბრიტანეთის სამივე პარტიის წარმომადგენლები, მაკდონალდის მეთაურობით, და ინდოეთის სხვა და სხვა რჯულის, კლასისა და მიმართულების წარმომადგენლები, გარდა ჰინდუს მთავარ ელემენტისა — განდისა და მისი მიმდევრებისა.

კონფერენცია გაიხსნა 1930 წ. ნოემბერში. რამოდენიმე დღის განმავლობაში, საჯარო სხდომებზე, როგორც ინგლისელებმა ისე ინდოელ წარმომადგენლებმა გამოსთქვეს თავისი აზრი ამ დიდი პრობლემის შესახებ. ინგლისელი კონსერვატორები — ლორდ პილის და ლიბერალები — ლორდ რიდინგის პირით, თუმცა ინდოეთის დომინიონად გახდომის მომხრე არიან, მაგრამ დღეს ამის განხორციელებას უტოპიად თვლიან და ამას მით ასაბუთებენ, რომ ინდოეთი თავის მრავალფეროვანებით თავის გარდაუვალ წინააღმდეგობებით ამისათვის ჯერ არ არის მომზადებულიო. სამაგიეროდ, ინდოეთის წარმომადგენლები, რა რჯულის, რა წოდების, ან რა პოლიტიკური მიმართულებისაც არ იყოს, შეთანხმებულად მოითხოვენ დომინიონის სტატუტს, სრულ პასუხისმგებელ მთავრობას. მათი საერთო აზრი შემდეგია: ჩვენ გვინდა ბრიტანეთის იმპერიის ფარგლებში დავრჩეთ; ჩვენ ბრიტანეთის იმპერიის პატრიოტები ვიქნებით, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ ბრიტანეთი ანგარიშს გაუწევს ინდოეთის ხალხის სულისკვეთებასა და ნებას, და მას მისცემს ამ ლიგაში შემავალ სხვა ერთა შორის თანასწორ ადგილსა და უფლებას; ჩვენ არ გვინდა, რომ გვიყურებდენ როგორც უფრო დაბალ ერს, ჩვენს შინაგან წინააღმდეგობებს ჩვენ თვითონ გადავლახავთ, მოგვეცით მხოლოდ თავისუფლება და თანასწორობა, თანაბარი მონაწილეობა ბრიტანეთის ერების ძმობაში; დრო არ იცდის, თქვენ აგვიანებთ; ეს ეხლა უნდა განახორციელოთ, თუ არა ის, რაც ჩვენ დღეს დაგვაკმაყოფილებს, ხვალ უკვე ჩვენთვის მიუღებელი იქნება.

ინგლისი ეხლა დიდი გარდაწყვეტის წინაშე სდგას. ინდოეთი ბრიტანეთის იმპერიის სიძლიერის საფუძველია. საკითხის სიდიადე ითხოვს ინგლისის მხრივ დიდ სახელმწიფოებრივ გამჭრიახობასა და შორმჭვრეტელობას.

«კავკ.» გამომცემლობა უგულითადეს მადლობას უხდის ქბ-ნ მერი კოსტს 280 ფრ. და ბ-ნ ექ. იოსებ ცინცაძეს 200 ფრ. შემოწირვისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კავკასიონი — წიგნი მეხუთე

შინაარსი

★ ნოე რამიშვილი (ბიოგრაფია)
რეო ამონი — ქ. ჩოლოყაშვილის სიმღერა 3
ვლასა მგელაძე — გოდება 4
მ. მარუშიძე — ვარდენი (მოთხრობა). 5
გიორგი ყიფიანი — გრძნობის ძახილი (ლექსი). . . . 38
გიორგი ქურული — «ნატვრის თვალი» (ნახულ-გაგონ) 39
გიორგი ყიფიანი შავი საათი (ლექსი) 50
ა. ქეიბური — ძველი რვეულიდან ნასესხები ამბები 52
ბ. ბებურიშვილი — მე, ბედი და შენ 61
თამ. ისახარ — დიდი ემიგრანტი (არჩილ მეფე) . . . 63
ი. მანწკავა — საბრალმდებლო ოქმი 84
მ ხუნდაძე — დიდი ბრიტანეთი და ინდოეთის პრობლემა 85

სარედაქციო კოლეგია

მისამართი : —

V. NOSADZÉ
48, rue de Bagneux, SCEAUX (Seine) France.

Imprimerie du Commerce, 8, Grande-Rue, Bourg-la-Reine.

ეროვნული
ბიბლიოთეკა